რედაქტორისგან

მასწავლებლებმა დიდი ხანია ვიცით, რომ თანამედროვე ცხოვრების წესმა და ყოფითმა მოთხოვნილებებმა ახალი პროფესიების გაჩენის აუცილებლობა წარმოშვა. როგორც ირკვევა, გაჩნდა ახალი მეცნიერებები და საგანმანათლებლო დისციპლინებიც, რომელთა ცოდნის გარეშე დღეს არსებულ ინფორმაციულ ოკეანეში არათუ გზის გაკვლევა, საკუთარი ადგილის პოვნაც კი ძნელია. ერთ-ერთი ასეთი დისციპლინაა მედიაწიგნიერება ანუ ინფორმაციული განათლებაა.

ზღვა ინფორმაციის არსებობისას ყოველთვის ჩნდება მისი გაფილტვრის, უფრო პირდაპირები რომ ვიყოთ, ცენზურის ფაქტორი, თუმცა ეს პროცესი თანამედროვე მსოფლიოში გაცილებით დემოკრატიულია. წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ზოგ ქვეყანაში პროპაგანდის სამინისტროები და ამ ტიპის სამსახურები საზოგადოების ტვინის გამორეცხვისა და ცარიელ ადგილას მთავრობისთვის ხელსაყრელი ინფორმაციის განთავსების პროცესს წარმართავდნენ. დღეს ამ ინფორმაციის ჩვენს ტვინებში მოთავსება ყველას შეუძლია, თანაც ისეთი ფორმით, რომ, სრულიად არარეალურიც კი დავიჯეროთ. რაც მთავარია, შეიძლება მივიღოთ და დავიტოვოთ ინფორმაცია, რომელიც საერთოდ არ გვაინტერესებს, არ გვაღელვებს და არასოდეს გამოვიყენებთ, რაც დროისა და შესაძლებლობების ცუდი მენეჯმენტის ტიპური მაგალითია. უფრო ნეგატიურ შედეგს კი მაშინ ვიღებთ, როდესაც ინფორმაცია ჩვენით მანიპულირების იარაღად იქცევა: ხმას ვაძლევთ პარტიას, რომელიც თვალისმომჭრელ სარეკლამო კამპანიას ეწევა, ვყიდულობთ ლამაზად შეფუთულ უვარგის ნივთს, ვბაძავთ ადამიანებს, რომლებიც ასევე წარმოადგენენ სხვის მიერ გასაყიდად შექმნილ „პროდუქტს“ და სხვა.

სწორედ აქ წარმოიშობა მედიაწიგნიერების აუცილებლობა, რომელიც ნებისმიერი ადამიანისთვის შეიძლება საიმედო ფილტრად იქცეს. მედიაწიგნიერს გაცილებით ადვილად შეუძლია, ინტერნეტიდან თუ მედიის სხვა საშუალებებიდან მისთვის ოპტიმალური ინფორმაცია მიიღოს, დაამუშაოს და პრაქტიკაშიც გამოიყენოს; მიღებული ინფორმაცია წორი მეთოდებით, სანდო წყაროს დახმარებით გადაამოწმოს და, სურვილის შემთხვევაში, გადამოწმებული ინფორმაცია დააბრუნოს. დღეს ამ უნარების ფლობას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ოდესღაც წერა-კითხვის ცოდნას ჰქონდა.

ჩვენ დიდი ხანია ვცხოვრობთ გარემოში, სადაც კომუნიკაციისთვის წერა-კითხვა ან საერთაშორისოდ აღიარებული ენების ფლობა არ კმარა; თვითგანვითარებისთვის გაცილებით მეტი თვისების შეძენა და, რაც მთავარია, მათი პრაქტიკაში გამოყენებაა საჭირო, რაც დასაქმებისა და სხვა სახის თვითრეალიზაციის წინაპირობად იქცევა. მედიაწიგნიერი ადამიანი გაცილებით ფართოდ აზროვნებს, შესწევს საკითხში ჩაღრმავების, პრობლემის აღმოჩენისა და მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახვის, კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც არჩევანს აადვილებს. ჩვენ ამაზე ფიქრი დავაგვიანეთ და გამოსავლის ძებნა ერთად უნდა დავიწყოთ.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N3(40), 2015

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, გიორგი გახელაძე, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თამარ მოსიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, ცვატა ბერძენიშვილი, ნინო ლომაძე, ია ვეკუა, მალინა საჯაია, მაია მენაბდე, თამთა კობახიძე, ნინო კაპანაძე, დავით ბოლქვაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

ანა ჯანელიძე

4 **მასწავლებლის პროფესია და სკოლამდელი განათლება**

სკოლამდელი განათლება საქართველოში გარდამავალ ეტაპზეა. სექტორის განვითარების შესახებ სახელმწიფოს ოფიციალური ხედვა ჩამოუყალიბებელია. უკანასკნელ წლებში სხვადასხვა დონეზე გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, სკოლამდელი განათლების მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ პროგრესი არ შეინიშნება.

მაია ფირჩხაძე

9 **შემოქმედებითი პედაგოგიური მოღვაწეობა**

გარკვეული დონის შემოქმედებაზეა დაფუძნებული პედაგოგიური მოღვაწეობაც. მკვლევარების მიხედვით, ამ მოღვაწეობას ყველაზე მეტად შეეფერება ცნება „შექმნა“: პედაგოგი შემოქმედებითი ძალისხმევით წინ წამოსწევს მოსწავლის შესაძლებლობებს და ზრუნავს მათ სრულყოფაზე.

თამარ მოსიაშვილი

12 **მედიაწიგნიერება – ფაქტის განხილვის ინსტრუმენტი**

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კრიტიკული აზროვნება ადამიანს ყოველთვის სჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა, რა წყაროს განიხილავენ. ინფორმაციას ბრმად არ უნდა ენდონ. ყოველთვის უნდა დასვან კითხვა: ეს სიმართლეა?

მანანა ბოჭორიშვილი

16 **სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტები და მოდალობა**

ამ სტატიაში განვიხილავთ, რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინოს, რომ არსებობს სწავლის განსხვავებული სტილი და სწავლის მოდალობები: ვიზუალური, კინესთეტიკური, სმენითი და კომბინირებული.

რეკომენდაცია

მალინა საჯაია

50 **როგორ დავეხმაროთ ტრავმირებულ ბავშვებს**

მშობლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ბავშვმა შეიძლება თავი დაიდანაშაულოს მის სიკვდილში. თუ ბავშვთან უშუალო კავშირში მყოფი ადამიანები შეძლებენ ამ განცდის განეიტრალებას, ბავშვის რეაბილიტაციის პროცესი უფრო გაიოლდება.

გამოცდილება

ცვატა ბერძენიშვილი

35 **მოსწავლეთა ქცევის წახალისების მეთოდები: პრემაკის პრინციპი**

პრემაკის პრინციპის თანახმად, მაღალი სიხშირის ქმედება (საყვარელი საქმიანობა) შეიძლება დაბალი სიხშირის ქმედების (ნაკლებსასურველი საქმიანობის) ეფექტური განმამტკიცებელი გახდეს.

რჩევა

ეკატერინე ყიფიანი

20 **შვიდი რჩევა კლასში სიმშვიდის შესატანად**

მასწავლებლების უმრავლესობა ალტრუიზმით და თავდადებით გამოირჩევა. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი მოუმზადებელია იმ სოციალური და ემოციური გამოწვევებისათვის, რაც საკლასო გარემოში ხვდებათ.

ინტერვიუ

ია ვეკუა

47 **„მოსწავლემ საკუთარი ასაკისა და შესაძლებლობის ადეკვატური მასალა უნდა ისწავლოს“**

თუ ბავშვს განვითარების უახლოესი ზონის მიღმა არსებულ ინფორმაციას მივაწვდით, რაც უნდა ვეცადოთ, მაინც ვერ აითვისებს. ამრიგად, უდავოა, რომ უნდა ვასწავლოთ შედარებით რთული მასალა, მაგრამ არ გავცდეთ კონკრეტულ საზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის განვითარებაში პროგრესს ვერ მივიღებთ.

შინაარსი

55

მოსაზრება

ქეთევან ოსიაშვილი

24 **ზრდასრულთა განათლება საქართველოში. რეალობა და პერსპექტივები**

განათლება ადამიანს ეხმარება როგორც შიშის დაძლევაში, ასევე ემოციური სტაბილურობის განცდაშიც, მომავლის რწმენას, იმედს უღვივებს მას და, აქედან გამომდინარე, უფრო დაცულადაც აგრძნობინებს თავს.



რესურსი

მაია ჯალიაშვილი

31 **სწავლების კომპლექსურობა**

მატერიალურ-ტექნიკურმა პროგრესმა დიდი ცვლილებები მოახდინა როგორც საზოგადოების ცხოვრებაში, ასევე ადამიანის ფსიქიკაშიც, შესაბამისად, სწავლების პროცესიც შეიცვალა, მაგრამ უცვლელია ფუნდამენტური ადამიანური ღირებულებები.

დავით ბოლქვაძე

38 **ემოციური ინტელექტი სასწავლო პროცესში**

სკოლას შეუძლია „ემოციური განათლების“ პროგრამის დანერგვა. ეს პროგრამა ასწავლის მოსწავლეებს ბრაზით, იმედგაცრუებით და მარტოობით გამოწვეული ემოციების მართვას.

მაია მენაბდე

53 **დათოს ფიქრის გეოგრაფია და ერთი თემის ნაღვლიანი ისტორია**

არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ დათოზე ვწერ. ჩემ გარშემო უამრავი „დათო“ ტრიალებს,ზოგი წავიდა უკვე სკოლიდან და თავისი გზა ნახა, ზოგი ახლა მიდის, ზოგი ხვალ ან ზეგ დაიწყებს თავისი გზის ძებნას და ზუსტად ვიცი, სანამ მათი ჩემ შორიახლო ტრიალი მავსებს, მახალისებს და ინტერესს მიჩენს, სანამ ისინი გრძნობენ ამ ყველაფერს, მანამდე არ მომზეზრდება მასწავლებლობა და არც დავბერდები.

ნინო კაპანაძე

44 **მეთოდი, რომელიც მთელ პედაგოგიურ არსენალს ააქტიურებს**

პროექტის როგორც მეთოდის განსაკუთრებულობა და უპირატესობა ის არის, რომ მის ფარგლებში გააქტიურებულია პედაგოგის მთელი პროფესიული არსენალი: ეს არის მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც იტევს მრავალფეროვან აქტივობებსა და მიდგომებს.

41 თამთა კობახიძე

სკოლის ლიდერი დღეს

როგორი უნდა იყოს სკოლის ლიდერი თანამედროვე გარემოში? კარგი მენეჯერი თუ უფრო მეტად შემოქმედებითი პიროვნება, რომელიც არ კმაყოფილდება მიღწეულით და მუდმივი განახლებისათვის იბრძვის?

55 ნინო ლომიძე

განსხვავებული რაკურსი

აღმოჩნდა, რომ სიტყვის ოსტატებს, პოეტებს, კონკრეტული სიტყვების გამოყენების გარეშეც შეუძლიათ გარკვეული სურათხატების წარმოჩენა. სათქმელის გადმოცემა, მკითხველზე სასურველი ზემოქმედების მოხდენა.

ანა ჯანელიძე

მასწავლებლის პროფესია და სკოლამდელი განათლება

შესავალი

საქართველოში საჯარო ბაგა-ბაღებში დაახლოებით 5400 აღმზრდელი და 3600 აღმზრდელის თანაშემწეა დასაქმებული (UNICEF, 2013). აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები წარმოადგენენ ძირითად პერსონალს, რომელიც სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უძღვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმზრდელთა თანაშემწის როლი ხშირად ბავშვების უსაფრთხოების უზუნველყოფითა და ჰიგიენურ-სანიტარიული ნორმების დაცვით შემოიფარგლება. რჩება აღმზრდელი, რომელსაც აკისრია სააღმზრდელო პროცესის სათანადოდ დაგეგმვის და წარმართვის ვალდებულება. სტატია განიხილავს საქართველოში ბაგა-ბაღის აღმზრდელის პროფესიას და პროფესიულ მახასიათებლებს.

პროფესიონალიზმი სკოლამდელ განათლებაში

ლილიან კათზი გვთავაზობს პროფესიათა რვა მახასიათებელს და მათი საშუალებით აანალიზებს ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლამდელი განათლების მასწავლებელთა პროფესიონალიზაციის „სტატუსს" (Katz, 1985). ეს მახასიათებლებია: სოციალური აუცილებლობა, ალტრუზიმი, ავტონომია, ეთიკის კოდექსი, კლიენტისგან დისტანცირება, საქმიანობის სტანდარტი, გახანგრძლივებული მომზადება და სპეციალიზებული ცოდნა. აღნიშნულ მახასიათებლებზე და საკითხთან დაკავშირებულ სხვა ნაშრომებზე დაყრდნობით ფრომბერგმა ჩამოაყალიბა ექვსი ძირითადი საკითხი, რომელთა საფუძველზეც შეაფასა სკოლამდელი განათლების მასწავლებლის პროფესია (Fromberg, 2003, გვ. 179):

- სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ეთიკური ქცევა;
- „ძირითადი" ექსპერტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაღალი დონე, რომელსაც თან ახლავს ახალ სიტუაციებში მოქნილობისა და ცოდნის სათანადოდ გამოყენების უნარი;
- სიღრმისეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფლობა, რაც არ აქვთ სხვა ადამიანებს;
- მნიშვნელოვანი ავტონომია საქმიანობის პროცესში და პროფესიაში შესვლის კონტროლი;
- სათანადო ანაზღაურება;
- პროფესიული ორგანიზაცია.

ქვემოთ განვიხილავთ საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელის პროფესიას ზემოაღნიშნული მახასიათებლების მიხედვით.

ვინაიდან საქართველოში, ეროვნულ დონეზე, სკოლამდელი განათლების სფეროს მარეგულირებელი ნორმები არ არსებობს, სტატიაში თბილისში არსებული სისტემის მაგალითი იქნება მოყვანილი. თბილისის მაგალითი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში დადის საქართველოს მასშტაბით სკოლამდელ განათლებაში ჩართული ბავშვების 40% (UNICEF, 2013), არამედ იმიტომაც, რომ ხშირად სხვა მუნიციპალიტეტების და ქალაქების თვითმმართველობები თბილისის გამოცდილებას ითვალისწინებენ საკუთარი რეგულაციების განსაზღვრის პროცესში.

უკანასკნელ წლებში საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, გაიზარდა სახელმწიფოს ინტერესი სკოლამდელი განათლების სფეროში (Oberhuemer, 2008). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნულმა ტენდენციებმა ხელი შეუწყო სფეროს პროფესიონალიზე-

ბას. სკოლამდელი განათლება საზოგადოებრივ წარმოდგენებში ჯერჯერობით კვლავ „ზრუნვის“, „მოვლის“ და „აღზრდის“ ფუნქციებს ატარებს და ნაკლებად – „განათლებისას“. ამასთანავე, გავრცელებულია წარმოდგენა, რომ ბაგა-ბაღის აღმზრდელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ქალი, რომლის დედობრივი დამოკიდებულებები და უნარებიც საკმარისია ადრეული ასაკის ბავშვების განათლებისთვის.

საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელის სტატუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება დაწყებითი განათლების მასწავლებლის სტატუსისგან. აღნიშნულზე მიუთითებს პროფესიის დასახელებაც, რომელიც ორიენტირებულია „აღზრდაზე“ და არა – „განათლებაზე“. „აღზრდის“ ცნება კი უფრო მეტად ფოკუსირდება ბიჰევიორულ და არა ზრუნვისა და განათლების ასპექტებზე. აღსანიშნავია, რომ „აღზრდა“ საფუძვლად უდევს სკოლამდელი განათლების სფეროში დამკვიდრებულ სხვა ტერმინებსაც, მაგ., „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“, „აღსაზრდელი“ და ა.შ.

ეთიკური ქცევა

ეთიკა სკოლამდელი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან საქმე ეხება მოწყვლად ჯგუფს (ბავშვებს) და საქმიანობა მიმდინარეობს მრავალფეროვან საზოგადოებაში (Fromberg, 2003; Dalli & Cherrington, 2009). აქედან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების მასწავლებლის/აღმზრდელის პროფესიას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ურთიერთობები (Dalli & Urban, 2010). ეთიკური კოდექსი შესაძლოა გვთავაზობდეს ეთიკური საქმიანობის ძირეულ პრინციპებს, მაგრამ რადგან პროფესია ურთიერთობებს ეფუძნება, გაუმართლებელი იქნებოდა მისი მიღება, როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში ეთიკური საქმიანობის წარმართვის „ჭეშმარიტი“ სტრატეგიისა (Dahlberg & Moss, 2005).

საქართველოში სკოლამდელი განათლების სფეროში რეგულაციებისა და კარგად დაგეგმილი პოლიტიკის სიმწირის ფონზე, სკოლამდელ განათლებაში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიულ ეთიკას ყურადღება თითქმის არ ეთმობა. მაგალითად, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია „ეთიკას“ ან „ეთიკურ ქცევას“ მთელ დოკუმენტში არსად ახსენებს (თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, 2011).

კვალიფიკაცია

დღეს საქართველოში არ არსებობს ეროვნული საკვალიფიკაციო სქემა სკოლამდელი განათლების აღმზრდელებისთვის. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემების მიხედვით, აღმზრდელთა 67%-ს აქვს გარკვეული განათლება სკოლამდელი განათლების დარგში, აქედან: 35%-ს – საშუალო-პროფესიული, 8%-ს – ბაკალავრის, ხოლო 24%-ს მაგისტრის დონეზე. აქედან გამომდინარე, აღმზრდელთა მესამედს არ აქვს მიღებული განათლება პროფესიულ დარგში (UNICEF, 2013). იმავდროულად, არ არსებობს კვლევები იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება ზემოაღნიშნულ აღმზრდელთა 67%-ის ცოდნა ხარისხიანი სკოლამდელი განათლების თანამედროვე პრინციპებსა და პრაქტიკას. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღმზრდელთა საშუალო ასაკი 44 წელია და პროფესიული განვითარების მიზნით მათ 40%-ს ერთდღიანი ტრენინგიც კი არ გაუვლია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი ცოდნა, ვერ უპასუხებს პროფესიაში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებსა და საჭიროებებს (UNICEF, 2013). როგორც დალი და ურბანი აღნიშნავენ, პროფესიონალიზმი არ არის უბრალოდ პიროვნების მდგრადი მახასიათებელი და, მიუხედავად ფორმალური კვალიფიკაციებისა, ის

> **საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელის სტატუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება დაწყებითი განათლების მასწავლებლის სტატუსისგან. აღნიშნულზე მიუთითებს პროფესიის დასახელებაც, რომელიც ორიენტირებულია „აღზრდაზე“ და არა – „განათლებაზე“.**

„სკოლამდელი განათლება საქართველოში გარდამავალ ეტაპზეა. სექტორის განვითარების შესახებ სახელმწიფოს ოფიციალური ხედვა ჩამოუყალიბებელია. უკანასკნელ წლებში სხვადასხვა დონეზე გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, სკოლამდელი განათლების მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ პროგრესი არ შეინიშნება."

ყოველთვის არის ინტერაქციისა და ცოდნის გაზიარების შედეგი (Dalli & Urban, 2010, გვ. 150).

ამჟამად ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო „ბაგა-ბაღის აღმზრდელს" განსაზღვრავს როგორც პროფესიულ სპეციალიზაციას. შესაბამისად, უმაღლესი განათლების საფეხურზე არც ერთი უნივერსიტეტი სტუდენტებს არ სთავაზობს საბაკალავრო პროგრამებს ამ მიმართულებით. მეტიც – იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი პროფესიული სტანდარტი, ვერც ერთი პროფესიული სასწავლებელი თუ უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული პროგრამის განხორციელებას სკოლამდელი განათლების სპეციალობით. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს სკოლამდელი აღზრდის ე.წ. მეორე (minor) საბაკალავრო პროგრამას. სტუდენტს შეუძლია მისი არჩევა ნებისმიერი სხვა დარგის ძირითად პროგრამასთან ერთად. თუმცა, სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული დაბალი ანაზღაურების გამო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ სტუდენტებს სურდეთ საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმება.

თბილისის ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია განსაზღვრავს აღმზრდელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, 2011). სტრატეგიის მიხედვით, აღმზრდელად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. თუკი პირს უმაღლესი განათლება არ აქვს სკოლამდელი განათლების სფეროში, მას უნდა ჰქონდეს გავლილი სერტიფიცირებული ტრენინგი სკოლამდელი განათლების საკითხებზე და მინიმუმ ექვსთვიანი მუშაობის გამოცდილება. დოკუმენტში არ არის მოცემული დამატებითი ინფორმაცია, რას გულისხმობს „სერტიფიცირებული ტრენინგი", რა ხანგრძლივობის უნდა იყოს ის, რა საკითხებს უნდა ფარავდეს და ა.შ. სტრატეგიაში ფორმალურ კვალიფიკაციასთან ერთად აღნიშნულია ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოეთხოვება კანდიდატს: „ბავშვის განვითარების თავისებურებების ცოდნა, ბავშვებთან ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის საგანმანათლებლო პრინციპები, ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის მიდგომა და ბავშვის უფლებების კონვენცია" (გვ. 68). ამასთანავე, აღმზრდელს მოეთხოვება პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება ბავშვებთან და მათ მშობლებთან, გაწონასწორებულობა და კრიზისულ სიტუაციებში თავის მართვის უნარი. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის დოკუმენტი რიგ შემთხვევებში „აღმზრდელის" ნაცვლად იყენებს „მასწავლებელს", რაც ალბათ პროფესიაში დღეს არსებული „ბუნდოვანების" მანიშნებელია.

პროფესიული განვითარება

საქართველოში დღეს არ არსებობს სკოლამდელი განათლების აღმზრდელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის სქემა. ადგილობრივ დონეზე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის სტრატეგიასა თუ სხვა დოკუმენტებში აღნიშნულია ეს საკითხი, თუმცა მათი უმრავლესობა შეზღუდული ფინანსური და ადამიანური (მაგ., მაღალკვალიფიციური ტრენერები) რესურსების გამო, ვერ ახერხებს აღმზრდელთა გადამზადებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახდენს ტრენინგის უზრუნველყოფას, ხშირად ტრენინგის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი იფარება თავად აღმზრდელთა ხელფასებიდან. ვინაიდან აღმზრდელთა ხელფასი მეტად დაბალია (2012 წლის მონაცემებით, საშუალოდ 235 ლარს შეადგენს, UNICEF, 2013), ნაკლებსავარაუდოა, ისინი მოტივირებულნი იყვნენ, დამატებით გაიღონ ხარჯები საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის.

ეროვნულ დონეზე არც ერთი ოფიციალური სამართლებრივი დოკუმენტი არ ახსენებს აღმზრდელთა პროფესიულ განვითარებას, მაგრამ თბილისის ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიაში განსაზღვრულია გარკვეული ამოცანები ამ მიმართულებით. დოკუმენტში აღნიშნულია: „ადმინისტრაცია ზრუნავს, ჰყავდეს მაღალკვალიფიციური პერსონალი და ამისათვის მუდმივად აძლევს მათ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შემდეგ თემებზე: ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, თემატური სწავლება, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ქცევის პოზიტიური მართვა, ბავშვთა ძალადობის პრევენცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის პრინციპები და ა.შ. (თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, 2011, გვ. 11). დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ პროფესიული განვითარების კუთხით საჭიროებების იდენტიფიკაცია და შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა უნდა მოხდეს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში და შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სატრენინგო ორგანიზაციის მიერ, ასევე ბაღში შიდა სემინარების სახით. აღნიშნული ჩანაწერი

მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სკოლამდელი განათლების სფეროს პროფესიონალიზების გზაზე. თუმცა უცნობია, რამდენად ახერხებენ სკოლამდელი განათლების დაწესებულებები ამ ამოცანის შესრულებას.

ამჟამად რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაგა-ბაღის აღმზრდელებს სთავაზობს ხანმოკლე (5-10 საკონტაქტო საათი) ტრენინგ-კურსებს, რომელთა შინაარსი შემოიფარგლება ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების შესაბამისი პრაქტიკის შესახებ ზოგადი ინფორმაციით. 2011 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს შედარებით ხანგრძლივი სატრენინგო პროგრამა აღმზრდელებისთვის.

უკანასკნელ წლებში პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაჩენა მიუთითებს სფეროს პროფესიონალიზების ზოგად ტენდენციაზე. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სატრენინგო კურსები ძირითადად არ არის კარგად კოორდინირებული, ხანმოკლეა და არ ხდება მათი ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასება.

ავტონომია

სკოლამდელი განათლების სექტორის ორგანიზება და დასაქმებულ ადამიანთა მიმართ არსებული მოლოდინები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოების და თავად ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების წარმოდგენებზე პროფესიის შესახებ (Oberhuemer, 2008). პროფესიული რეგულაციების და მკაცრი საკვალიფიკაციო მოთხოვნების არარსებობის ფონზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლამდელი განათლების აღმზრდელები საკმაო ავტონომიურობით სარგებლობენ. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მიზანმიმართულად მინიჭებულ პროფესიულ ავტონომიურობასთან, არამედ შესაბამისი პოლიტიკის არარსებობისა და საბავშვო-ბაღის ბავშვის „მოსავლელ“ დაწესებულებად აღქმის „გვერდით



ეფექტებთან“. შესაბამისად, ასეთი ავტონომიურობა ნაკლებად წარმოადგენს აღმზრდელის პროფესიონალიზმისადმი ინსტიტუციურ ნდობას.

სკოლამდელი განათლების სფეროში მონაწილე მხარეების დაინტერესების ზრდასთან ერთად შესაძლოა აღნიშნული სურათი შეიცვალოს. სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასთან ერთად შესაძლოა სახელმწიფომ სრულიად დაურეგულირებელი სფერო მთლიანად რეგულირებად სფეროდ აქციოს. მაგალითად, 2011 წლიდან თბილისის ბაგა-ბაღებში (და მოგვიანებით – სხვა მუნიციპალიტეტებშიც) დამტკიცდა სავალდებულო ზედმიწევნით სტრუქტურირებული პროგრამა წინასწარ განსაზღვრული ყოველდღიური აქტივობებით, რომლის განხორციელებაც თბილისის ყველა საბავშვო ბაღს მოეთხოვება. ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, ზღუდავს აღმზრდელის ავტონომიურობას და საქმიანობის მოქნილობას. საბავშვო ბაღის აღმზრდელი მოიაზრება როგორც ექსპერტთა მიერ დადგენილი საქმიანობების და აქტივობების ტექნიკური შემსრულებელი. ამგვარი მიდგომა ზღუდავს და აუფასურებს სკოლამდელ განათლებას როგორც პროფესიულ სფეროს (Osgood, 2006). მეორე მხრივ, აღნიშნული პოლიტიკა შესაძლოა მიუთითებდეს თვითმმართველობის არჩევანზე, შედარებით სწრაფად მიაღწიოს ხარისხის მინიმალურ სტანდარტს მოცემულ რეალობაში, სადაც სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა უმრავლესობა არ ფლობს სათანადო კვალიფიკაციასა და ცოდნას. თუმცა სადავოა, რამდენად ახერხებს ის აღნიშნული მიზნის მიღწევას მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერსპექტივაში.

ანაზღაურება და პროფესიის სოციალური სტატუსი

სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბაგა-ბაღის აღმზრდელის პროფესია არ არის დაფასებული. ამ ფაქტორებს შორისაა: დაბალი ანაზღაურება, პროფესიაში შესვლისთვის ფორმალური კვალიფიკაციის მოთხოვნების არარსებობა და, ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულება სკოლამდელი განათლების, მისი ფუნქციების მიმართ. ობერჰიუმერი აანალიზებს ოთხი ევროპული ქვეყნის სკოლამდელი განათლების პროფესიულ სამუშაო ძალას და ასკვნის, რომ იმ სისტემებში, სადაც გაყოფილია სისტემა 3 წლამდე (მაგ., ბაგა, ე.წ. „crèches") და 3-დან სასკოლო ასაკამდე ბავშვებისთვის, 3 წლამდე ბავშვების დაწესებულებები ძირითადად ზრუნვის ფუნქციის მატარებლად მოიაზრება (Oberhuemer, 2008). ამ დაწესებულებებში მომუშავეთა პროფესიული სტატუსი ჩამორჩება იმ მასწავლებლებისას, შედარებით უფროს ბავშვებთან რომ მუშაობენ სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებსაც უფრო მეტად საგანმანათლებლო დატვირთვა აქვთ. ვინაიდან საქართველოში სკოლამდელი დაწესებულებები მოიაზრება როგორც „სააღმზრდელო", პროფესიის დაბალი სტატუსი შესაძლოა ამ ძირითად ცნებასაც უკავშირდებოდეს, რადგან „აღზრდა" არც ისე რთული საქმეა და მეტ-ნაკლებად ყველა ზრდასრულს შეუძლია გაართვას თავი.

საქართველოში აღმზრდელები სკოლის მასწავლებლებთან შედარებით უფრო დაბალ ხელფასს იღებენ, ნაკლებად აღიარებულნი არიან და ვერ სარგებლობენ „მასწავლებლის" სტატუსთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებით (მაგალითად, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები). 2012 წლის მონაცემებით, ბაგა-ბაღის აღმზრდელის საშუალო ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასის ერთ მესამედს შეადგენდა (UNICEF, 2013; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015).

პროფესიული ორგანიზაცია

ამჟამად საქართველოში არ არსებობს ბაგა-ბაღის აღმზრდელთა პროფესიული კავშირი ან ასოციაცია. ვინაიდან აღმზრდელებს არ აქვთ „მასწავლებლის" სტატუსი, ისინი არ მიეკუთვნებოდნენ მასწავლებელთა პროფესიულ კავშირებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა პროფესიულმა კავშირებმა ბოლო წლებში აქტიურად დაიწყეს ბაგა-ბაღის აღმზრდელთა მიწვევა გასაწევრიანებლად.

სკოლამდელი განათლების პროფესიონალთა ორგანიზებული კოლექტიური აქტიურობის მაგალითები პრაქტიკულად არ არსებობს. იშვიათ შემთხვევებში, ერთეული აღმზრდელები თუ დირექტორები მედიის საშუალებით აფიქსირებენ პოზიციას აღმზრდელთა სტატუსის მასწავლებლების სტატუსთან გათანაბრების მოთხოვნით.

დასკვნა

სკოლამდელი განათლება საქართველოში გარდამავალ ეტაპზეა. სექტორის განვითარების შესახებ სახელმწიფოს ოფიციალური ხედვა ჩამოუყალიბებელია. უკანასკნელ წლებში სხვადასხვა დონეზე გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, სკოლამდელი განათლების მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ პროგრესი არ შეინიშნება. ცვლილებები, როგორც წესი, არასისტემური და არათანმიმდევრულია. სამწუხაროდ, აღმზრდელთა პროფესიასთან დაკავშირებით ეროვნულ დონეზე დღემდე არანაირი პოლიტიკა არ არსებობს. აღმზრდელთა პროფესიისადმი საერთო ეროვნული მიდგომის არარსებობა კი, სავარაუდოდ, პროფესიის არაკოორდინირებულობასა და პარალელურ სტანდარტებთან მიგვიყვანს (Fromberg, 2003).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dalli, C. & Cherrington, S. (2009). Ethical practice as relational work: A new frontier for professional learning? In S. Edwards, & J. Nuttall (Eds.), Professional learning in early childhood settings (pp. 60-81). Rotterdam: Sense Publishers.
2. Dalli, C. & Urban, M. (2010). Towards new understandings of early years profession: the need for a critical ecology. In C. Dalli & M. Urban (Eds.), Professionalism in early childhood education and care. International perspectives (pp. 150-155). London & New York: Routledge.
3. Dahlberg, G. & Moss, P. (2005). What ethics? Ethics and politics in early childhood education. Ch 3, pp. 64-85. London: Routledge.
4. Fromberg, D.P. (2003). The professional and social status of the early childhood educator. In J.P. Isenberg, & M.R. Jalongo (Eds.), Major trends and issues in early childhood education: challenges, controversies and insights (2nd ed., pp. 177-192). New York: Teachers College Press.
5. Katz, L. (1985). The nature of professions: Where is early childhood education. Talks with teachers of young children.pp. 219-235. New Jersey. Ablex Publishing Corp.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2015). დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი. ჩამოტვირთულია ვებ-გვერდიდან http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo 25/05/2015.
7. Oberhuemer, P. (2008). Who is an early years professional? Reflections on policy diversity in Europe. In Diverse contexts and policy approaches in Europe, pp. 131-141.
8. Osgood, J. (2006). Deconstructing professionalism in early childhood education: resisting the regulatory gaze. Contemporary Issues in Early Childhood 7 (1), 5-14.
9. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (2011). ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია. თბილისი.
10. UNICEF (2013). საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები. თბილისი, გაეროს ბავშვთა ფონდი.

შემოქმედებითი პედაგოგიური მოღვაწეობა

მაია ფირჩხაძე

დღეისათვის ბევრს ლაპარაკობენ, როგორი უნდა იყოს თანამედროვე წარმატებული ადამიანი, რა ცოდნას, უნარებს, კომპეტენციას უნდა ფლობდეს ის. ამ მოთხოვნებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს შემოქმედებით საქმიანობას როგორც ძალიან რთულსა და შრომატევადს. შემოქმედების საფუძველი წარმოსახვაა, რომელსაც თავის ტვინისთვის დამახასიათებელი დისოციაციის, ასოციაციისა და კომბინირების უნარი იწვევს (ლ. ვიგოტსკი). შემოქმედებითი საქმიანობით იბადება რაღაც ახალი, ჯერ არყოფილი, გამოცდილებაზე, ცოდნასა და უნარების ახალ კომბინაციაზე დაფუძნებული. ამიტომაა შემოქმედებითი საქმიანობა ასეთი საინტერესო და დაძაბული.

ხშირად გონებრივ შრომას შემოქმედებასთან აიგივებენ, მაგრამ გონებრივი შრომა არ შეიძლება პირდაპირ დავაკავშიროთ შემოქმედებასთან, რადგან ცოდნა განზოგადებული სოციალური გამოცდილებაა, რომელიც წინა თაობებისგან გადმოგვეცემა, შემოქმედების საფუძველი კი წარმოსახვაა, რომელიც ადამიანს ეხმარება გამოცდილების საფუძველზე ახალი სახეების შექმნაში.

გარკვეული დონის შემოქმედებაზეა დაფუძნებული პედაგოგიური მოღვაწეობაც. მკვლევარების მიხედვით, ამ მოღვაწეობას ყველაზე მეტად შეეფერება ცნება „შექმნა“: პედაგოგი შემოქმედებითი ძალისხმევით წინ წამოსწევს მოსწავლის შესაძლებლობებს და ზრუნავს მათ სრულყოფაზე.

ისევე, როგორც, ზოგადად, შემოქმედებითი, პედაგოგის შემოქმედებითი საქმიანობაც ხასიათდება მთელი რიგი ნიშნებით. ესენია:

- წინააღმდეგობა პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტაში (ანდა წინააღმდეგობა შემოქმედებითი დავალებების ხასიათში);
- საქმიანობის სოციალური და პიროვნული მნიშვნელობა (ანტისოციალური საქმიანობა, უბრალოდ, ბარბაროსობაა);
- ობიექტური (სოციალური, მატერიალური) წანამძღვრების და შემოქმედებითი პირობების არსებობა;
- შემოქმედებისათვის საჭირო სუბიექტური წანამძღვრები (პიროვნული ღირსებები - ცოდნა, უნარი, განსაკუთრებით დადებითი მოტივაცია, ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობები);
- პროცესის ანდა შედეგის სიახლე და ორიგინალურობა.

თუ დასახელებული ნიშნებიდან გამოვრიცხავთ თუნდაც ერთს, მაშინ შემოქმედებითი საქმიანობა ან არ არსებობს, ანდა საქმიანობას არ შეიძლება ეწოდოს შემოქმედებითი.

ამდენად, შემოქმედ პედაგოგად შეიძლება იწოდებოდეს მხოლოდ ერუდირებული, სიტუაციური ანალიზის უნარის მქონე, სპეციალურად მომზადებული ადამიანი, რომელსაც შეუძლია, შემოქმედებითი წარმოსახვით და გააზრებული ექსპერიმენტით იპოვოს ახალი, ორიგინალური გზა და პრობლემის გადაწყვეტის საშუალება.

ამავე დროს, როგორც ნებისმიერ შემოქმედებით ადამიანს, შემოქმედ პედაგოგსაც ახასიათებს მთელი რიგი პიროვნული თავისებურებები, რომლებსაც უწოდებენ შემოქმედებითი ადამიანის დამახასიათებელ ნიშნებს. დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულია:

თეორეტიკოსი-ლოგიკოსი – ესაა შემოქმედი პიროვნების ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფართო ერუდიცია, განზოგადებისაკენ

„გარკვეული დონის შემოქმედებაზეა დაფუძნებული პედაგოგიური მოღვაწეობაც. მკვლევარების მიხედვით, ამ მოღვაწეობას ყველაზე მეტად შეეფერება ცნება „შექმნა“: პედაგოგი შემოქმედებითი ძალისხმევით წინ წამოსწევს მოსწავლის შესაძლებლობებს და ზრუნავს მათ სრულყოფაზე.“

მისწრაფება, ინფორმაციის კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია. ასეთი ადამიანები კარგად გეგმავენ თავიანთ შემოქმედებით სამუშაოს, ფართოდ იყენებენ მეცნიერული კვლევის ცნობილ მეთოდებს; ეყრდნობიან უკვე არსებულ თეორიულ კონცეფციებს და შემდეგშიც ავითარებენ მათ; ყველაფერი, რასაც იწყებენ, მიჰყავთ ლოგიკურ დაბოლოებამდე და ამყარებენ მრავალრიცხოვანი პირველწყაროებით.

თეორეტიკოსი- ინტუიტივისტი – მისთვის დამახასიათებელია საკმაოდ კარგად განვითარებული ორიგინალური იდეების გენერირების უნარი. ასეთი ტიპის შემოქმედებითი ადამიანები არიან გამომგონებლები, რომლებიც ქმნიან ახალ სამეცნიერო კონცეფციებს, სკოლებს, მიმართულებებს. მათ არ ეშინიათ დაუპირისპირონ თავიანთი იდეები საყოველთაოდ მიღებულ იდეებს და ფლობენ დიდი ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარს.

პრაქტიკოს-ექსპერიმენტატორი – ის ყოველთვის მიისწრაფვის, რომ ექსპერიმენტებით შეამოწმოს თავისი ახალი ორიგინალური ჰიპოთეზები. ამ ტიპის ადამიანებს აინტერესებთ, უყვართ და შეუძლიათ კიდეც აპარატურასთან მუშაობა და, ზოგადად, პრაქტიკული საქმიანობა.



ორგანიზიტორი – მას, როგორც შემოქმედ ადამიანს, ორგანიზაციული მუშაობის საკმაოდ კარგად განვითარებული შესაძლებლობები აქვს, შეუძლია ჯგუფებთან მუშაობა იდეების შემუშავებისთვის და შესრულებისთვისაც. ასეთი ადამიანების ხელმძღვანელობით იქმნება ორიგინალური სამეცნიერო სკოლები და ყალიბდება შემოქმედებითი ჯგუფები; ისინი არიან ენერგიულები, კომუნიკაბელურები, შეუძლიათ, თავიანთ იდეებს დაუქვემდებარონ სხვები და წარმართონ მათი საქმიანობა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტისკენ.

ინიციატორი – ის გამოირჩევა ინიციატივების სიმრავლით, ენერგიულობით, განსაკუთრებით – ახალი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტისას. ასეთები, როგორც წესი, დიდხანს არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და მალე „გადაერთვებიან“ ხოლმე სიახლეებზე.

პედაგოგიური შემოქმედება, ზოგადად, პედაგოგის საქმიანობის ყველა მხარეს მოიცავს: ორგანიზაციულს, კომუნიკაციურს და გნოსტიკურს. მისი განხორციელებისთვის გარკვეული პირობები მაინც საჭიროა:

- დროებითი შემოქმედებითი იმპრესია (როდესაც დავალებებს და მათი გადაწყვეტის საშუალებებს შორის დროის არცთუ დიდი მონაკვეთია);
- პედაგოგისა და მოსწავლეების ერთობლივი საქმიანობა;
- საქმიანობის შედეგების პროგნოზირება;
- პრეზენტაციისთვის აუცილებელი ატმოსფერო;
- არატიპურ სიტუაციებთან სტანდარტული პედაგოგიური მიდგომების გაერთიანების აუცილებლობა.

პედაგოგი, როგორც ნებისმიერი მკვლევარი, თავის საქმიანობას აგებს ევრისტიკული ძიების საერთო წესების საფუძველზე, რომელშიც იგულისხმება:

- პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი (დიაგნოზი);
- საწყისი და მიღებული შედეგების შესაბამისობის დადგენა;
- არსებული საშუალებების ანალიზი, რომელიც ძიების რეზულტატისთვის აუცილებელია;
- მიღებული შედეგების შეფასება და ინტერპრეტაცია;
- ახალი ამოცანების ფორმულირება;
- სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კონსტრუირება და რეალიზაცია.

დღეისათვის პედაგოგიურ შემოქმედებად მიჩნეულია პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტის პროცესი, მაგრამ პედაგოგიური მოღვაწეობა მხოლოდ პედაგოგიური ამოცანის გადაწყვეტამდე არ დაიყვანება. შემოქმედებითი საქმიანობისას გამოიკვეთება პიროვნების შემეცნებითი, ემოციურ-ნებელობითი და მოტივაციურ-მოთხოვნილებითი კომპონენტები (მით უფრო, რომ სპეციალურად შერჩეული დავალებების გადაწყვეტა, რომლებიც შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენაა მიმართული, წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას პედაგოგის პიროვნული შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისათვის).

თუმცა მთავარი მაინც პიროვნული შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაა, რომელიც შემოქმედებით ინდივიდუალობას ანიჭებს პედაგოგს და ამით განსაზღვრავს კიდეც მის პროფესიულ ზრდას და სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზას.

თვითრეალიზებისკენ მისწრაფება პედაგოგის საქმიანობაში აუცილებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწყინდებათ მასაც და მის მოსწავლეებსაც. არსებობს ისეთი პრაქტიკული საქმიანობები, რომლებიც პედაგოგს თვითრეალიზებაში უწყობს ხელს. ერთ-ერთი ასეთი შემოქმედებითი საქმიანობა მასწავლებლისთვის არის პროექტული საქმიანობა. იგი სასწავლო მასალის მრავალფეროვნად მიწოდებას და ათვისებას უწყობს ხელს, სტიმულს აძლევს კრეატიულობას, ორიგინალური იდეების შემუშავებას და აქტიურ შემოქმედებით თვითგანვითარებას.

პროექტული საქმიანობის სპექტრი სხვადასხვანაირია. მათ შორისაა მოსწავლეთა მიერ დამზადებული პოსტერები, მოხსენებები, რეფერატები, დავალებები, სავარჯიშოები, კედლის გაზეთები, სასწავლო ფილმები, ბუკლეტები, ანკეტები, გრაფიკები, რუკები და სხვ.

პროექტულ საქმიანობასთან ერთად, მასწავლებლის შემოქმედებითი საქმიანობის საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტია თამაშის კომპონენტების ჩართვა მთლიანად სასწავლო პროცესში.

თამაში უღვიძებს მოსწავლეებს კრეატიულ თვისებებს, უბიძგებს წინა ცოდნის აქტივაციისაკენ, ეხმარება წარმოსახვის განვითარებაში. ის, შეიძლება ითქვას, მოსწავლის კლასგარეშე საქმიანობის ალტერნატივაა.

პედაგოგის შემოქმედების საინტერესო მხარეს წარმოადგენს ზღაპართან დაკავშირებული საქმიანობაც. ასაკობრივი ჩარჩოს მიუხედავად, ზღაპარი საოცრად ავითარებს მოზარდის წარმოსახვას და ხელს უწყობს სიტუაციის მოდელირებას, პიროვნების მეტყველებისა და ემოციური სფეროს განვითარებას. ზღაპრის პერსონაჟები გამოიყენება კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად: დიდი მოცულობის მასალის ათვისებისთვის და აქტიური ყურადღების განვითარებისათვის (უცხო ენის სპეციალისტები ზღაპართან ერთად აქტიურად იყენებენ სიმღერასაც); პედაგოგები ასევე იყენებენ სხვა შემოქმედებით მიდგომებსაც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთი გაკვეთილები გაცილებით საინტერესო და განმავითარებელია, ხელს უწყობს ფანტაზიისა და წარმოსახვის განვითარებას.

თვითრეალიზებაში პედაგოგს ხელს უწყობს ასევე არასტანდარტული გაკვეთილები, ექსკურსიები, პედაგოგიური ინოვაციები, ინტერნეტრესურსების გამოყენება და სხვ. ცხადია, ამ საქმიანობების რეალიზება და წარმატება მოსწავლეთა პიროვნულ შემოქმედებით თვისებებზეა დაფუძნებული. იგულისხმება ფანტაზია, წარმოსახვა, აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნება.

პედაგოგის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები შეიძლება გამოვლინდეს შიდა და გარე დონეებზე.

საგარეო შედეგები მრავალგვარია: საავტორო პროგრამების განხორციელება, მეთოდური მასალების შემუშავება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კრეატიული ორგანიზება.

შიდა შედეგები შემოქმედებითი სამუშაოს მოცულობაზეა დამოკიდებული და ყოველთვის მკაცრად განსაზღვრული არაა. ესენია: პედაგოგიური პროცესის სრულყოფა, პედაგოგის პროფესიული შესაძლებლობების განვითარება და ა.შ.

ყოველივე ამის შესაბამისად, პედაგოგიური შემოქმედების კრიტერიუმები შემდეგნაირად შეიძლება განვსაზღვროთ:

- მრავალმხრივი ცოდნა და კრიტიკული აზროვნება;
- პედაგოგიური და მეთოდური ცოდნის გადაყვანა პრაქტიკაში;
- თვითრეალიზებისა და თვითგანათლების უნარი და მისწრაფება;
- ახალი მეთოდებისა და ფორმების ორიგინალური სინთეზი;
- არსებული ცოდნის ეფექტური გამოყენება პრობლემურ სიტუაციებში;
- საკუთარი საქმიანობისა და შედეგების რეფლექსია;
- პედაგოგიური მოღვაწეობის ინდივიდუალური სტილის ფორმირება, რომელიც სანიმუშო იქნება სხვებისთვისაც;
- იმპროვიზაციისა და ვარირების საშუალება, რომელიც დაფუძნებულია ცოდნასა და ინტუიციაზე.

შემოქმედებითად გაზრდილი მოსწავლეები არაორდინარულად აზროვნებენ, შეუძლიათ როგორც საკუთარი თავის, ასევე გარშემო მყოფთა შეცვლა. ისინი ცხოვრების გზაზე მორალური ღირებულებებით და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით გამოირჩევიან. ამიტომაა, რომ საზოგადოებაში მათზე დიდი მოთხოვნაა, ხოლო შემოქმედებით პედაგოგს ყველაზე დიდი წვლილის შეტანა შეუძლია მოსწავლის პიროვნულ სრულყოფაში და, შესაბამისად, მომავლის განსაზღვრაში.

„შემოქმედებითად გაზრდილი მოსწავლეები არაორდინარულად აზროვნებენ, შეუძლიათ როგორც საკუთარი თავის, ასევე გარშემო მყოფთა შეცვლა. ისინი ცხოვრების გზაზე მორალური ღირებულებებით და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით გამოირჩევიან.“

თამარ მოსიაშვილი

მედიაწიგნიერება – ფაქტის განხილვის ინსტრუმენტი

მე მყავს ექვსი გულწრფელი მსახური.
მათ მასწავლეს ყველაფერი, რაც ვიცი.
მათი სახელებია: რა? რატომ? როდის? როგორ? სად? ვინ?

რადიარდ კიპლინგი

> **მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კრიტიკული აზროვნება ადამიანს ყოველთვის სჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა, რა წყაროს განიხილავენ. ინფორმაციას ბრმად არ უნდა ენდონ. ყოველთვის უნდა დასვან კითხვა: ეს სიმართლეა?**

სხვა ეპოქაა. ყოველდღე დაახლოებით 1500 ახალი წიგნი გამოიცემა მთელ მსოფლიოში (Fiore, 2011). თუ ამას რადიოთი, ტელევიზიითა და ჟურნალ-გაზეთებით, კომპიუტერითა და ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციას დავუმატებთ, წარმოდგენა გაგვიჭირდება, რა მოცულობის ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

ინფორმაციის რაოდენობის ამგვარი ზრდა მიუთითებს, რომ მის შექმნასა და გაზიარებაში გაცილებით მეტი ადამიანი მონაწილეობს, ვიდრე ეს რამდენიმე დეკადის წინ ხდებოდა.

დავფიქრებულვართ, რამდენ ინფორმაციას ვავრცელებთ ყოველდღიურად ელექტრონული ფოსტითა თუ სოციალური ქსელებით? რამდენ ფოტოს ან ვიდეოს ვუზიარებთ საზოგადოებას? ჩვენ, ერთი მხრივ, გვიწევს უდიდეს საინფორმაციო ნაკადთან გამკლავება და, მეორე მხრივ, თავად ვმონაწილეობთ ახალი საინფორმაციო ნაკადის შექმნაში.

შეიძლება საინფორმაციო ბუმის იგნორირება და საკლასო ოთახში მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენება? კითხვა რიტორიკულია და მას მოკლე პასუხი აქვს: არა!

თუმცა სკეპტიკოსები კვლავ განაცხადებენ, რომ კარგი სახელმძღვანელო არის ხსნა და გადაჭრის იმ პრობლემას, რომელსაც საინფორმაციო ნაკადთან გამკლავება ჰქვია.

მაგრამ როგორ შევუზღუდავთ მოსწავლეებს ინფორმაციის ნაკადებთან ურთიერთობასა და ახალი ინფორმაციის გაზიარების არხებს?

პასუხი ამ კითხვაზეც ერთია: შეზღუდვას ვერ შევძლებთ. მაშ, სად ვეძებოთ გამოსავალი? გამოსავალი შეიძლება იყო სასწავლო პროცესში მედიის ჩართვა და ასევე სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტების გაზიარება.

ამ პროცესს ბევრი რისკი ახლავს თან, მათ შორის – კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკიც, თუმცა ამ სტატიაში მას არ განვიხილავთ.

სწორედ შეცვლილი რეალობისა და სხვა ფაქტორების გავლენით დაიწყეს დასავლურმა ქვეყნებმა სასკოლო კურიკულუმში მედიაწიგნიერების ინტეგრირება. კურიკულუმში მედიაწიგნიერების ინტეგრირებისთვის მათ ადვოკატირების რთული გზა გაიარეს. ისინი იბრძოდნენ, ცდილობდნენ, სკეპტიკოსებისთვის დაესაბუთებინათ მედიაწიგნიერების მნიშვნელობა, მისი როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. ქვეყნებს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ, მასწავლებლები არ იყვნენ მზად, გაკვეთილზე გამოეყენებინათ საინფორმაციო ტექნოლოგიები. ბევრი სწავლების პარადიგმის ცვლილებას პროტესტსაც უცხადებდა.

ყველა ქვეყანა განვითარების საკუთარ გზას გადის და საქართველოც დგამს ამ სფეროში ნაბიჯებს. განვითარების გზა ჩვენს ქვეყანას განსხვავებული აქვს. ცვლილებები 2005 წელს დაიწყო. პროექტი „ირმის ნახტომი“ მიზნად ისახავდა სკოლების კომპიუტერიზაციას. 2009-2013 წლებში ყველა პირველკლასელს საჩუქრად გადაეცა „ბუკი“ და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები. 2009 წლიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების ტრენინგები. საქართველოს სკოლების მასწავლებლებმა წლების განმავლობაში შეიძინეს კომპიუტერსა და ინტერნეტთან მუშაობის უნარები; სკოლაში შემცირდა კომპიუტერისა და მოსწავლის თანაფარდობა. დღეს კომპიუტერი და ინტერნეტი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია.

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მედიაწიგნიერებას განსაზღვრავს როგორც გამჭოლ კომპეტენციას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწიგნიერების უნარები მოსწავლეს ყველა საგნობრივ ჯგუფში უნდა განუვითარდეს. მოსწავლემ უნდა შეძლოს როგორც ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, ასევე მედიასამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა") და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.

ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯი იყო. საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მედიაწიგნიერებას დადებითი გავლენა აქვს სამოქალაქო ჩართულობაზე (Kahne, 2011). ახალგაზრდები, რომლებიც იმ სკოლებში დადიოდნენ, სადაც მედიაწიგნიერება ისწავლებოდა, პოლიტიკურად აქტიურები არიან და შეხედულებების ფართო სპექტრით გამოირჩევიან. მედიაწიგნიერების მაღალი დონის მქონე ახალგაზრდების 84% მიიჩნევს, რომ მათ ეს უნარები სკოლაში განივითარეს.

მედიაწიგნიერების დანერგვა სკოლებში, ქართულ კონტექსტზე მორგებული რესურსების შექმნა და ამ მასალის პოპულარიზება ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ნიადაგი ამისთვის მზადაა. საქართველოს სკოლებში შესაძლებელია მედიაწიგნიერების დანერგვა და ამ გზით სასკოლო კულტურის ცვლილება, რადგან ქართველი მასწავლებლების ნაწილი საინფორმაციო ტექნოლოგიებს კარგად ფლობს. მედიაწიგნიერების სფეროში ქართული გამოცდილების შესახებ საუბარი ჯერ ადრეა, რადგან მხოლოდ ახლა ხდება პატარა ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. კერძოდ, თუ მედიაწიგნიერებას განვიხილავთ, ერთი მხრივ, ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირების, ინფორმაციის გაფილტვრის და, მეორე მხრივ, ახალი ინფორმაციის/ცოდნის შექმნისა და გაზიარების ინსტრუმენტად, იოლად დავინახავთ მის კავშირს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. ინფორმაციის გაფილტვრა რთულია კრიტიკული აზროვნების უნარის გარეშე, ხოლო ახალი ინფორმაციის შექმნას სჭირდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

2014 წლიდან სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობს მედიაწიგნიერების საკითხებზე. გვსურს, გაგიზიაროთ ამ სფეროში დაგროვილი მცირე გამოცდილება. პირველი ისაა, რომ საკითხით დაინტერესებული მასწავლებლები ცდილობენ, მედიაწიგნიერება დანერგონ სასწავლო პროცესში. მაგალითად, ისტორიული მოვლენების სხვადასხვა კუთხით განხილვის მიზნით მასწავლებელმა გაკვეთილზე შეიტანა მედიარესურსები კატინის ტრაგედიის შესახებ, მოსწავლეებს სთხოვა, გაეანალიზებინათ სხვადასხვა ქვეყნის მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კატინის ტრაგედიაზე. ბიოლოგიის მასწავლებელმა გაკვეთილზე გააანალიზა სატელევიზიო მედიის მიერ გავრცელებული სიუჟეტი საქართველოში შემოსული ჰიბრიდული სიმინდის შესახებ.

სწორედ მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა, დასკვნისა და არგუმენტების შეფასება, მტკიცებულებების მოძიება და წყაროს სანდოობის შეფასება აყალიბებს მოზარდს დამოუკიდებელ მოაზროვნედ. ეს ინტელექტუალური პროცესები თანდათანობით ავტომატიზებული ხდება და ზრდასრულ ასაკში ამ უნარებში გაწაფული პიროვნება მედიამანიპულაციის მსხვერპლი ნაკლებად გახდება. მედიაწიგნიერება მოზარდს ეხმარება, დამოუკიდებლად შეაფასოს მოვლენები, განივითაროს კრიტიკული აზროვნება და სოციალური აქტიურობის გზით შეეცადოს შეცვალოს გარემო.

ახლა შემოგთავაზებთ, როგორაა შესაძლებელი ურბანული ლეგენდებისა და გაბატონებული მითების გადაფასება სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენებით.

ურბანული ლეგენდა – ფართოდ გავრცელებული ჭორი ან ამბავი, რასაც მთხრობელი გვაწვდის, როგორც სიმართლეს, ყველანაირი მტკიცებულების გარეშე; ურბანული ლეგენდების გავრცელების წყარო მედიაა. სად გადის ზღვარი ფაქტის უტყუარობასა და შეთხზულ ამბავს შორის? ურბანული ლეგენდების მოძიება ქართულ მედიაში საკმაოდ ადვილია. მთავარია, მედიაში გავრცელებული ტექსტური, აუდიო- და ვიზუ-

როდესაც ვსაუბრობთ გაკვეთილზე ურბანული ლეგენდების განხილვის მნიშვნელობაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სწავლა-სწავლების მიზნები. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მეცნიერული მტკიცებულებების ვალიდურობის განხილვა, გამოკვლევა და ურბანული ლეგენდების შემოწმება.

ალური ინფორმაცია შეესაბამებოდეს შესასწავლ საკითხსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ილუსტრირებისთვის შემოგთავაზებთ ცნობილ ამერიკულ ურბანულ ლეგენდას ლემინგების შესახებ. ამ ამბის გაკვეთილზე განხილვა მოსწავლეებს დაეხმარება გაიაზრონ, რომ ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადები ხშირად ადამიანებს არასწორ შეხედულებებს უყალიბებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ნებისმიერი წყაროსა და ნებისმიერი ადამიანის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სკეპტიკურად განხილვა და არა ბრმა ნდობა.

მოსწავლეებს უთხარით, რომ ლემინგები პატარა ზომის ცხოველები არიან. ისინი ზღვის გოჭებს ჰგვანან. შესაძლოა, საქართველოში მათ შესახებ ბევრს არაფერი სმენია, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლემინგი საკმაოდ პოპულარული ცხოველია. რა განაპირობებს მის პოპულარობას? ლემინგების პოპულარობაში მედიამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ტუნდრის ბინადრებზე იქაურებს სწორი წარმოდგენა აქვთ. ადამიანებს სჯერათ, რომ ლემინგები კლდიდან ხტებიან და ისე ამთავრებენ სიცოცხლეს. საიდან გაჩნდა ეს ლეგენდა?

ახალ ამბებსა და დოკუმენტურ ვიდეოებს ხშირად ინფორმაციის სანდო წყაროდ მიიჩნევენ. 1958 წელს დისნეიმ გადაიღო დოკუმენტური ფილმი პოლარული ტუნდრის ბინადარ ცხოველებსა და ჩიტებზე. ფილმს „თეთრი უდაბნო“ ჰქვია. დისნეი საუკეთესო დოკუმენტური ნამუშევრისთვის დაჯილდოვდა აკადემიის ჯილდოთი (Academy Award for Best Documentary Feature). მოსწავლეებს აჩვენეთ ამ ფილმის 2-წუთიანი კადრი.

კადრი ასეთია: დრამატული მუსიკის ფონზე კომენტატორი გვიყვება ლემინგების ამბავს: „როდესაც ლემინგები საკვებს ვეღარ შოულობენ, მათ გონებაში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებთ: წავიდეთ, წავიდეთ, არ გავჩერდეთ. მათ არ ეშინიათ ბარიერების, რადგან მოძრაობა აქვთ გადაწყვეტილი“.

ფილმში მოჩანს პოლარული ნაპირი და ზღვა. პატარა ცხოველები წინ მიიჩქარიან.

მოძრაობის დაუოკებელი სურვილის გამო, ისინი ვერ ჩერდებიან. ლემინგები უფსკრულს უახლოვდებიან. მათ უკან დახევის ბოლო შანსი აქვთ. თუ გაჩერდებიან, გადარჩებიან. მაგრამ პატარა ლემინგები გზას აგრძელებენ და უფსკრულში იჩეხებიან (ვიდეოს ნახვა შეგიძლიათ youtube-ზე).

ფილმის ნაწყვეტის ჩვენების შემდეგ:

- სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ კომენტატორის ხმას და მუსიკას, ასევე, დააკვირდნენ ლემინგების ქცევას;
- ჰკითხეთ მოსწავლეებს, რატომ ისმის დრამატული მუსიკა და კომენტატორის ტრაგიკული ხმა, როდესაც ის ლემინგების თვითმკვლელობაზე საუბრობს;
- ჰკითხეთ მოსწავლეებს, დოკუმენტური ფილმი სანდო მტკიცებულებაა თუ არა?
- საკმარისი მტკიცებულებაა თუ არა დისნეის დოკუმენტური ფილმი ლემინგების სუიციდის შესახებ?
- როგორ მოვძებნოთ სიმართლე ლემინგების ცხოვრების წესის შესახებ?

რეკომენდებულია, მოსწავლეებმა მცირე ჯგუფებში იმუშაონ, გამოიკვლიონ, მართლა ხტებიან თუ არა ლემინგები კლდიდან ისე, როგორც ამას დოკუმენტური ფილმი გვიჩვენებს. ამის შემდეგ მათ კვლევის ანგარიში უნდა წარმოადგინონ. ანგარიში უნდა შეიცავდეს კვლევისას მათ მიერ გამოყენებულ საძიებო ტერმინებს, ვებგვერდების ნუსხას. სასურველია, მოსწავლეები ფლობდნენ ინგლისურ ენას ან ინგლისურის მასწავლებელთან ერთად მოიძიონ ინფორმაცია, რადგან ლემინგების შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე მწირია. ბავშვებს ალბათ გაუკვირდებათ, რომ დისნეის ეს წარმატებული დოკუმენტური ფილმი არის ავტორის მიერ წარმატების მოპოვების მიზნით მაყურებლის ემოციებზე

ზემოქმედების კარგი ნიმუში. სინამდვილეში ლემინგები შიმშილის გამო არსად გარბიან და არც კლდიდან ხტებიან. ეს ცრურწმენა კი შეთხზული დოკუმენტური ფილმისა და სხვა მედიასაშუალებების დახმარებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და დღესაც განაგრძობს არსებობას ურბანული ლეგენდის სახით. ფილმში გადაღებულია ლემინგების კლდეზე აცოცება და არა კლდიდან ვარდნა, თუმცა კადრში საპირისპიროს ვხედავთ. ვხედავთ, როგორ ხტებიან ლემინგები კლდიდან. და ეს კადრები საკმაოდ სარწმუნო ჩანს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები სიმართლეს დაადგენენ, აუცილებელია, კლასში გაიმართოს დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

რატომ გადაწყვიტეს კინორეჟისორებმა, ლემინგების კლდიდან გადახტომა ფილმში შეეტანათ?

განიხილეთ რეჟისორების გადაწყვეტილება - ლემინგების კლდიდან ხტომის ჩვენება - ეთიკის თვალსაზრისით.

დისკუსია ამ საკითხებზე მარტივი არ არის და ეხება ეთიკას. ამგვარი დისკუსიები მიზანშეწონილია გაიმართოს სწავლების მესამე საფეხურზე.

ლემინგების ისტორიის შესწავლის საბოლოო ფაზა შეიძლება მოხსენების მომზადება იყოს. შესაძლოა, მოხსენება ვიკიპედიაშიც განთავსდეს.

მოსწავლეებს სთხოვეთ, მოძებნონ სტატია ვიკიპედიაში. წაიკითხონ, განაახლონ ან შეცვალონ ჩანაწერი. მთავარია, მათ შეძლონ შეცვლილი ან განახლებული ინფორმაციის წყაროს დასაბუთება. ასეთი საქმიანობით მოსწავლეები გაიაზრებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ცოდნის ერთობლივი შექმნა ან განახლება იმ თემის ან საკითხის შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოში კარგადაა ცნობილი.

ინფორმაციის წყაროები

ხშირად მასწავლებლები ვჩქარობთ და თავად ვწყვეტთ, დავალების შესასრულებლად რომელი წყაროა სანდო. თან გვინდა, რომ მოსწავლეებმა გადაწყვეტილება თავად მიიღონ, დამოუკიდებლად შეარჩიონ თემის შესასწავლად საჭირო წყაროები. იფიქრონ, სად შეძლებენ ინფორმაციის მოპოვებას, სკოლაში, შინ თუ ბიბლიოთეკაში. მოსწავლეები ჩართეთ წყაროების შერჩევის პროცესში. კლასში მათთან ერთად იმსჯელეთ, რა სახის წყაროები შეიძლება გამოვიყენოთ ახალი თემის შესასწავლად. დროთა განმავლობაში მოსწავლეების ლექსიკაში გაჩნდება სიტყვები: „ამ ამბის წყაროა...“

განვრცობა და ადაპტაცია

საქართველოში მრავალი ურბანული ლეგენდა არსებობს, რომელთა განხილვა გაკვეთილზე შესასწავლ საკითხთან მიმართებით საინტერესოა. გთავაზობთ ბოლო ხანებში პოპულარულ ურბანულ ლეგენდებს, რომლებიც მასწავლებლებთან შეხვედრებზე შევაგროვე:

- გველი წყალში შესვლამდე ქვაზე ტოვებს შხამს და წყლის გველი უვნებელია;
- ღამურა შეიძლება თმაში ჩაგაფრინდეს და სერიოზულად დაგაზიანოს;
- კოღო შიდსის გადამტანია;
- ნასამ დააფიქსირა, რომ სვეტიცხოვლიდან ნათელი ამოდის;
- შოკოლადი ვნებს ძაღლებს;
- ჩინეთის დიდი კედელი მთვარიდან შეუიარაღებელი თვალით ჩანს;
- ბიჭები უფრო ნიჭიერები არიან მათემატიკაში, ვიდრე გოგონები;
- ტარანტულები შხამიანები არიან და მათ ნაკბენს ადამიანის მოკვლა შეუძლია;
- კოკა-კოლა კოკაინს შეიცავს;
- მარილის დაბნევა ჩხუბის მომასწავებელია;
- ჩვენ ტვინის მხოლოდ 10%-ს ვიყენებთ.

ამ ურბანული ლეგენდების განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში სწავლების სამივე საფეხურზე.

დასკვნა

როდესაც ვსაუბრობთ გაკვეთილზე ურბანული ლეგენდების განხილვის მნიშვნელობაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სწავლა-სწავლების მიზნები. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მეცნიერული მტკიცებულებების ვალიდურობის განხილვა, გამოკვლევა და ურბანული ლეგენდების შემოწმება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა:

- შეიძინონ შესასწავლ საკითხზე მონაცემების მოგროვების გამოცდილება;
- გაიწაფონ დეტალურ დაკვირვებასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პასუხების მომზადებაში;
- გაიწაფონ აუდიოვიზუალური მედიამესიჯების ანალიზში;
- განივითარონ მედიაპროდუქტების შექმნის ტექნიკა;
- გაიაზრონ, რა გავლენას ახდენს მედია სამყაროს შესახებ ადამიანების წარმოდგენებზე.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კრიტიკული აზროვნება ადამიანს ყოველთვის სჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა, რა წყაროს განიხილავენ. ინფორმაციას ბრმად არ უნდა ენდონ. ყოველთვის უნდა დასვან კითხვა: ეს სიმართლეა?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011
2. მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2014
3. (Kahne, 2011)(2011). Youth online activity and exposure to diverse perspectives. New Media & Society, 14(3), 492–512

მანანა ბოჭორიშვილი

სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტები და მოდალობა

> მოსწავლები განსხვავდებიან სწავლის სტილით. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და ერთი იდეალური ხერხი, რომლითაც ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება მასწავლებელი.

სწავლების სხვადასხვა თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები (ტომლინსონი, 1999). ამ დასკვნის საფუძველზე შემუშავებულია სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, მაღალი სტანდარტიდან გადახვევის გარეშე განსაკუთრებული პირობები შეუქმნას სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებს. კვლევები ადასტურებს, რომ ეფექტურია სწავლება, როდესაც ხდება სასწავლო მასალების, სასწავლო რესურსების, საწავლო გარემოს მოდიფიკაცია. მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა (ტომლინსონი, 1999) აუცილებელი. ესენია: სწავლის შესაძლებლობა, სწავლის მოტივაცია, სწავლის ეფექტიანობა. სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ მოსწავლის მზადყოფნას, ინტერესსა და სწავლას.

მოსწავლები განსხვავდებიან სწავლის სტილით. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და ერთი იდეალური ხერხი, რომლითაც ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება მასწავლებელი.

ამ სტატიაში განვიხილავთ, რამდენად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინოს, რომ არსებობს სწავლის განსხვავებული სტილი და სწავლის მოდალობები: ვიზუალური, კინესთეტიკური, სმენითი და კომბინირებული.

ვიზუალურად შემსწავლელები კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარმა მოსწავლეებმა უნდა „დაინახონ“ სასწავლო მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, მათთვის გვქონდეს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შეძლებენ „ინფორმაციის დანახვას“. მათ სჭირდებათ სურათები, გრაფიკული სახელმძღვანელოები, ოთახში გამოკრული ინფორმაცია და ვიზუალიზაციის ხელშემწყობი პირობები.

ტაილსტონი (2000) გვთავაზობს ვიზუალურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას: მოსწავლეებს უჭირთ სახელების დამახსოვრება, თუმცა სხვა დეტალებს უკეთესად აღიქვამენ. ისინი შესანიშნავად ითვისებენ ცოდნას, თუკი ვიზუალური საშუალებები ხელმისაწვდომია ამ ცოდნის ასახსნელად; მათ ურჩევნიათ, თავად წაიკითხონ და არა სხვამ წაუკითხოს მოთხრობა; ისინი ჩამოწერის მეშვეობით ალაგებენ აზრებს; უჭირთ სმენით მიღებული დირექტივების დამახსოვრება; ხშირად ააშკარავებენ ემოციებს გამომეტყველების მეშვეობით; უყვართ „ფაზლები“ და ვიზუალური ხელსაწყოები. კლასში ვიზუალური სტიმულის შემოტანით ჩვენ ხელს ვუწყობთ ამგვარ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში. უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის „დანახვა“.

სპეციალისტები ასეთ რეკომენდაციას გვთავაზობენ – ვასწავლოთ მოსწავლეებს არალინგვისტუ-

რი სასწავლო რესურსების გამოყენება. არალინგვისტური სახელმძღვანელოები წარმოადგენს ვიზუალურ რუკებს, რომლებშიც სიტყვები შეზღუდული რაოდენობითაა მოცემული, სამაგიეროდ უხვადაა სიმბოლოები, ფერები და კონსტრუქციები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის ორგანიზებაში.

სმენით შემსწავლელები – ისინი კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა მულტიმედიის, დღევანდელობის ბრალია, რომ იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა. ამგვარი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოსმენა, იქნება ეს ლექცია თუ დისკუსია, მაგრამ მათ უნდა მივცეთ ლაპარაკის საშუალებაც.

სპრენჯერი (2002) წერს: „როდესაც ამ კატეგორიის მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ან ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც არ კითხულობენ, ხშირად შევამჩნევთ, რომ ისინი ამოძრავებენ ტუჩებს ან ბუტბუტებენ. საერთოდ, ასეთ მოსწავლეებს საკუთარ თავთან ლაპარაკის მიდრეკილება აქვთ". სპრენჯერი გვიხსნის, რომ ასეთი მოსწავლეები ხანდახან სმენით ინფორმაციას თანმიმდევრულად ინახავენ და ამ ინფორმაციის აღდგენაც თანმიმდევრულად უნდა მოხდეს.

ტაილსტონი (2000) გვთავაზობს სმენით შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას: სმენით შემსწავლელები სახელებს უკეთესად იმახსოვრებენ, ვიდრე სახეებს; მოუსვენრობას ავლენენ, თუკი საკლასო ოთახში დიდხანს უწევთ ჯდომა; რეაგირებენ ფიზიკურ წახალისებაზე, როგორიცაა, მაგალითად, მხარზე ხელის გადასმა; ურჩევნიათ კონკრეტული თემის შესახებ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ წაკითხვა; გრძნობენ ოთახის კომფორტულობის დონეს და ექცევიან მისი გავლენის ქვეშ; ადვილად ეფანტებათ ყურადღება ხმაურისაგან; კარგი მეზღაპრეები არიან; წერით სამუშაოს ამჯობინებენ ზეპირ გამოსვლას.

კინესთეტიკურად შემსწავლელები – სპრენჯერი (2002) ამბობს: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. აიღეთ ეს მოძრაობა და ხშირად გაიმეორეთ იგი. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა". სიმართლე რომ ვთქვათ, მასწავლებლები, რომლებიც ლექციური ტიპის გაკვეთილებს ანიჭებენ უპირატესობას, დიდ სირთულეებს გადააწყდებიან კინესთეტიკურად შემსწავლელებთან ურთიერთობისას. ამგვარ მოსწავლეებს მოძრაობა სჭირდებათ. მათ აგრეთვე სჭირდებათ სასწავლო მოდელები, რომლებსაც ხელში დაიჭერენ და შეეხებიან. ამგვარ მოსწავლეებს სჭირდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლი მასალა მათთვის გასაგები იყოს.

ტაილსტონი (2000) გვთავაზობს კინესთეტიკურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას: უკეთესად იმახსოვრებენ იმას, რაც კეთდება, ვიდრე იმას, რასაც ხედავენ და ესმით; პრობლემის გადაჭრისას ხშირად ირჩევენ ისეთ ხერხს, რომელიც მაღალ ფიზიკურ აქტიურობას საჭიროებს; არ უყვართ მონაწილეობა პროცესში, რომელსაც მხოლოდ უნდა უყურო; უყვართ იმიტაციები, დრამა და აქტივობები ღია ცის ქვეშ; უყვართ მოდელები და ხშირად აგებენ მოდელებს დამოუკიდებელი პროექტებისათვის; თავიანთ ემოციებს გამოხატავენ „სხეულის ენის" მეშვეობით.

მოდალობების გათვალისწინება და საკლასო ოთახში გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომით:

1. **სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა მოდალობის მოსწავლეზეა გათვლილი;**
2. **კლასში ჯგუფების ფორმირება ხდება სწავლის მოდალობის მიხედვით და თითოეული ჯგუფისთვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო.**

პირველი მიდგომა ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე სწავლობს ყველა მოდალობით, მაგრამ დომინანტური ერთ-ერთი მოდალობაა და ამ ფორმატით მიმდინარე სწავლების დროს მასალის მაქსიმალურ გააზრებას იმ აქტივობით მიაღწევს თითოეული მოსწავლე, რომელი მოდალობაც მისთვისაა დომინანტური. ამიტომ ამ ფორმატით სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად ახერხებს მასწავლებელი აქტივობების დონეზე დიფერენციაციის თეორიის რეალიზებას.

მეორე მიდგომა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ მთავარია, მოსწავლემ იმ მოდალობით ისწავლოს, რომელიც მისთვის დომინანტურია. ამ ფორმატის სწავლების ეფექტურობა დამოკიდებულია

ორ ფაქტორზე: 1. რამდენად სწორად მოახერხა მასწავლებელმა ჯგუფების დაკომპლექტება შესაბამისი მოდალობის მიხედვით; 2. რამდენად სწორადაა ადაპტირებული სასწავლო აქტივობა კონკრეტული მოდალობის ფარგლებში.

პრაქტიკაში მეორე მოდალობა უფრო პოპულარულია, თუმცა განათლების სპეციალისტები მუდმივად აღნიშნავენ პირველის ეფექტურობას. ასაკობრივ განვითარებასთან ერთად შერეული მოდალობით სწავლების ხარისხი იზრდება, თუმცა დომინანტური მოდალობა ადამიანს ბოლომდე უნარჩუნდება.

განვიხილოთ პირველი მიდგომა კონკრეტულ აქტივობებზე დაყრდნობით.

თემა – მკვდარი ზღვა
კლასი – მეხუთე

გაკვეთილის სასწავლო მიზანი – მოსწავლემ შეძლოს შემეცნებითი ტექსტის „მკვდარი ზღვა“ წაკითხვა და რეზიუმირება, მოახდინოს ტექსტში აღწერილი სტრუქტურის მოდელირება, გააანალიზოს ტექსტში აღწერილი პროცესი, სადემონსტრაციო ექსპერიმენტის საბოლოო შედეგი დაუკავშიროს სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს.



აქტივობა – 1

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ავალებს, წაიკითხოს ტექსტის „მკვდარი ზღვა“ ის ნაწილი, რომელიც ჯგუფისთვის არის განკუთვნილი. მოსწავლეებს ევალებათ, წაიკითხონ და თავიანთ ჯგუფებში მოახდინონ წაკითხულის „რეზიუმირება“.

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას მიცემულ დროში და თითოეული ჯგუფი აკეთებს შესრულებული დავალების პრეზენტაციას.

აქტივობა – 2

მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს მიუთითებს ტექსტის ერთ-ერთ ნაწილზე, რომელშიც მოცემულია მკვდარი ზღვის სტრუქტურული აღწერა (მანამდე, სანამ ამ ზღვაში სიცოცხლე იყო) და აძლევს დავალებას – დარიგებული რესურსების (ჭიქა, წყალი, ქვები, კენჭები, ნიჟარები, წყალმცენარე...) გამოყენებით მოახდინონ აღწერილი ტექსტის შესაბამისი „სტრუქტურის“ მოდელირება.

მოსწავლეები მიცემულ დროში ასრულებენ დავალებას – აკეთებენ მინიაკვარიუმებს და შემდეგ ახდენენ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია.

აქტივობა – 3

წაკითხული ტექსტის იმ ნაწილის გასააზრებლად, რომელშიც აღწერილია ზღვის დამლაშების პროცესი (რომელიც იმით დასრულდა, რომ მასში ცოცხალი ორგანიზმები განადგურდნენ; ასევე მან შეიძინა თვისება, რომ მასში ცოცხალი ორგანიზმები ტივტივებენ და არ იძირებიან) მასწავლებელი ატარებს სადემონსტრაციო ცდას: იღებს ქილას, შუამდე ასხამს წყალს, მეორე ქილაში ამზადებს ნავჯერ მარილწყალს; პირველ ქილაში დებს კვერცხს. ყველა ხედავს, რომ ის ჩაიძირა წყალში. შემდეგ მასწავლებელი პირველ ქილაში ულუფებად ასხამს მარილიან წყალს და წყალში ჩაძირული კვერცხი ნელ-ნელა იწყებს ვერტიკალურად მოძრაობას. ბოლოს ის წყლის ზედაპირზე ტივტივებს. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო შესაბამის გვერდზე, სადაც მოცემულია მკვდარ ზღვაზე გადაღებული ფოტოები (ფოტოზე ჩანს, რომ ზღვაზე „წამოწოლილი“ ბავშვი კითხულობს

ჟურნალს) და სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ ცდის საბოლოო შედეგი და სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები.

მოსწავლეები აანალიზებენ, რა კავშირია ცდის საბოლოო შედეგსა და სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციას შორის.

დაგეგმა თუ არა მასწავლებელმა ეს სამი აქტივობა სხვადასხვა მოდალობის გათვალისწინებით, ანუ მასალის გასააზრებლად შეთავაზებული აქტივობები გათვლილი იყო თუ არა სხვადასხვა მოდალობით შემსწავლელ მოსწავლეებზე?

მარტივი სქემის გამოყენებით შეგვიძლია გავაანალიზოთ, რა ურთიერთმიმართებაა თითოეულ აქტივობასა და მოდალობებს შორის.

ამისათვის აუცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს განათლების სპეციალისტების პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. აუცილებელია სწავლებისას სხვადასხვა მეთოდიკის გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ხედვის, სმენისა და მოძრაობის ჩართვას სასწავლო აქტივობებში;
2. სასურველია, აუხსნათ მოსწავლეებს მოდალობები, რათა მათ იცოდნენ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები;
3. სასურველია, მოსწავლეებს მიაწოდოთ იდეები, რომლებიც დაეხმარება მათ იმპულსურობის კონტროლში და აუმაღლებს მოტივაციას, თუ სწავლა წარიმართება მათთვის არასასურველ მოდალობაში;
4. საჭიროა, მოსწავლეებს ჰქონდეთ სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობითაც სწავლა მათთვის მნიშვნელოვანი გახდება.

> **მასწავლებელმა უნდა შეძლოს სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე.**

მოდალობა	აქტივობა 1	აქტივობა 2	აქტივობა 3
ვიზუალური			
სმენითი			
კინესთეტიკური			

სქემიდან ნათლად ჩანს, რომ დაგეგმვა ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე სწავლობს ყველა მოდალობით. თუმცა თითოეული აქტივობის ფარგლებში ჩანს, რომ ერთი მოდალობა დომინანტურია. მნიშვნელოვანია დავსვათ კითხვა:

რა ხდება შემდეგ?

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია, გონების ფილტრები იმოქმედებს იმაზე, თუ როგორ უნდა გადამუშავდეს ეს ინფორმაცია. აზროვნების პროცესი განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად შეძლონ მასალის ღრმად გააზრება და ერთმანეთთან დაკავშირება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელმა უნდა შეძლოს სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე.

მაგალითად, ასწავლეთ მათ არალინგვისტური და ლინგვისტური სახელმძღვანელოების გამოყენება სწავლის პროცესის მოწესრიგებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016
2. Tomlinson, C. (1999). The Differentiated Classroom: Responding to the Needs of All Learners. Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.
3. Tomlinson, C. (2000). "Reconcilable differences? Standards-based teaching and differentiation." Educational Leadership, 58(4), 6-11.
4. Tomlinson, C. (2001). How to Differentiate Instruction in Mixed-Ability Classrooms (2nd ed.). Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.
5. Tomlinson, C., (2003). Fulfilling the Promise of the Differentiated Classroom: Strategies and Tools for Responsive Teaching. Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

ეკატერინე ყიფიანი

შვიდი რჩევა კლასში სიმშვიდის შესატანად

პატრიცია ჯენინგის მიხედვით

მასწავლებლების უმრავლესობა ალტრუიზმით და თავდადებით გამოირჩევა. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი მოუმზადებელია იმ სოციალური და ემოციური გამოწვევებისათვის, რაც საკლასო გარემოში ხვდებათ. ურთიერთობა მოსწავლეებთან, რომლებსაც ძალიან მნიშვნელოვანი საატესტატო, სასტიპენდიო ან საოლიმპიადო გამოცდები ელით ან მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ, იოლი არაა. საბოლოოდ, მასწავლებლები თავს უიმედოდ და სასოწარკვეთილადაც კი გრძნობენ, ბოლოს კი იწყებენ იმაზე ფიქრს, რომ მასწავლებლობა შეწყვიტონ და აღარასდროს დაუბრუნდნენ სკოლას.

მასწავლებლების ტრენინგებიც, უმეტესწილად, ყურადღებას ამახვილებს სასწავლო პროგრამასა და პედაგოგიკის საკითხებზე. სწავლებასთან გადაჯაჭვული სოციალური, ემოციური და კოგნიტური ფაქტორების განხილვა და გათვალისწინება კი ხშირად ყველას ავიწყდება. სტატიის ავტორი გვეუბნება, რომ შესაძლებელია გონივრული ქცევის, როგორც უნარის, დასწავლა და გაუმჯობესება. გონივრულობა გულისხმობს ყურადღების გადატანას მიმდინარე პროცესებზე, ემოციებზე, ფიქრებზე და გარემოს აღქმას მისი გაკრიტიკების გარეშე. ამგვარი გონივრულობა შეგვაქმნევინებს მშვიდ და უფრო სასიამოვნო განწყობას კლასში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაზრდას. გონივრულობის წყალობით შევძლებთ კლასში კონფლიქტების შემცირებას და მოსწავლეებს შორის კეთილგანწყობის შექმნას. ეს კი სამსახურით მეტ კმაყოფილებას გვაგრძნობინებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუდმივად უნდა ვაკვარჯიშოთ ჩვენი გონება, რათა უკეთ შევიგრძნოთ, რა ხდება ჩვენში და ჩვენ ირგვლივ, ვისწავლოთ ემოციების მართვა.

პატრიცია ჯენინგი ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში „Mindfulness for Teachers“ აღწერს რამდენიმე სახის ვარჯიშს, რომლებიც გონივრული ქცევის ხელშემწყობია. მასწავლებლებს შეუძლიათ, ბავშვებსაც განუვითარონ გონივრული ქცევები და თვითონაც ყოველდღე მეტი გონივრულობით წარმართონ სასწავლო პროცესი.

1 რჩევა

გონივრულობა მასწავლებლებს საკუთარი ემოციების მართვაში გვეხმარება

გაკვეთილის დროს მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ გაკვეთილის სწორად წარმართვაზე და ვერ აცნობიერებენ, რა ხდება ირგვლივ. მათ აქვთ განსაზღვრული მოლოდინები, რაც ხელს უშლით არსებული სინამდვილის აღქმაში. გაკვეთილის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ მოლოდინებს შეცდომაში შეჰყავს მასწავლებელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მასწავლებლებში იწვევს წუხილს, ემოციურ არამდგრადობას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათ აღქმაზე. ისინი საშიშროებას გრძნობენ. მოსწავლის უდისციპლინობას წინასწარ განზრახულ ხელისშემშლელ ქცევად მიიჩნევენ, სინამდვილეში კი ეს იმ ბავშვების ჩვეულებრივი საქციელია, რომლებსაც თავის მართვა ჯერ არ შეუძლიათ. თუ მასწავლებელი პირადად მიიღებს ამ ყველაფერს, მაშინ თავს ნაწყენად იგრძნობს, შეიძლება დაკარგოს წონასწორობა და ისეთი კომენტარი გააკეთოს, რაც უფრო დაძაბავს სიტუაციას.

გონივრულად თუ მივუდგებით მსგავს შემთხვევებს, შევძლებთ ჩვენი ემოციური მდგომარეობის შეფასებას და საკუთარი ქცევის დარეგულირებას, კორექტულ რეაგირებას მოვახდენთ ხელისშემშლელ სიტუაციაზე და არ ვიქნებით რეაქციულები. მაშინ სამსახური მოგვანიჭებს სიხარულს, მოსწავლეებს გვერდით დავუდგებით, გავიზიარებთ ჩვენი მოსწავლეების სევდას და მწუხარებას.

> „მასწავლებლებს შეუძლიათ, ბავშვებსაც განუვითარონ გონივრული ქცევები და თვითონაც ყოველდღე მეტი გონივრულობით წარმართონ სასწავლო პროცესი.“

რჩევა 2

გონივრულობა გვეხმარება მოსწავლეებთან ეფექტურ ურთიერთობაში

დამწყები მასწავლებლები გრძნობენ, როგორ უჭირთ მოსწავლეების ყურადღების სწორად წარმართვა გაკვეთილზე. მიაჩნიათ, რომ თუ კარგად მოექცევიან მოსწავლეებს, მათ კეთილგანწყობას დაიმსახურებენ. სინამდვილეში სულ სხვა რამ ხდება, მოსწავლეები არ ემორჩილებიან დამთმობ მასწავლებელს, რომელსაც თანდათან უჩნდება მოუთმენლობის და იმედგაცრუების გრძნობა.

ხშირად გარეშე პირები უკეთ ამჩნევენ მასწავლებლის სუსტ მხარეებს, მაგალითად, იმას, რომ დამთმობი მასწავლებლები საუბრის დროს მოსწავლეებისგან ითხოვენ თანხმობას უმნიშვნელო საკითხებზეც კი. სხვისი მითითების გათვალისწინება ან საკუთარი თავის სხვისი თვალით დანახვა ხელს შეგვიწყობს, მოვიშალოთ ისეთი გამოთქმები, რაც მოსწავლეების თვალში დამთმობად წარმოგვაჩენს.

რჩევა 3

რჩევა მესამე: გონივრულობით შესაძლებელია რთული მოსწავლეების მომხრობა

ყველა მასწავლებელს გამოუცდია კლასში რთული მოსწავლის ყოლა, რომლის ქცევაც გაკვეთილის ჩაშლის მიზეზი შეიძლება გახდეს. გონივრულობა იმით გამოიხატება, რომ უნდა დავფიქრდეთ, რა ხდება ამ ბავშვის თავს, რა იწვევს მასში რთული ქცევების განვითარებას.

მოსწავლე შეიძლება ცუდად იქცეოდეს, თუ განვითარებით არ შეესაბამება სწავლების საფეხურს. ტრავმაგადატანილი ბავშვები გამოირჩევიან ზემგრძნობელობით. ისინი მუდმივად მოელიან საფრთხეს და ამის გამო სხვა მოსწავლეებთან შედარებით უფრო ნელა სწავლობენ. ისინი გარემოს უმნიშვნელო ცვლილებებზეც კი მკვეთრად რეაგირებენ.

„არ განიკითხო“ - ესაა სწორი მიდგომა ამ შემთხვევაში. მოვლენები ისე უნდა მივიღოთ, როგორც ხდება. ჩვენ კი განსჯა უფრო გვჩვევია - ძალიან ძნელია მისგან თავის შეკავება. მაგრამ თუ შევძლებთ და გავაცნობიერებთ იმ მომენტს, როდესაც მოსწავლეს განვიკითხავთ და მოვუწოდებთ ჩვენს თავს, განსჯა შევწყვიტოთ, დავმშვიდდებით და თანდათანობით მოვიშლით სხვების განსჯას.

> პროექტებით სწავლება პატარა სასკოლო საზოგადოების შექმნის საუკეთესო მეთოდია. მასწავლებელმა უნდა იფიქროს და თითოეული მოსწავლე უნარების შესაბამისად ჩართოს პროექტში. სამუშაოს დანაწილება დადებით კლიმატს შექმნის მოსწავლეებს შორის.

განკითხვას და გაკიცხვას თან ახლავს სირცხვილისა და ბრალეულობის განცდა. ზოგჯერ მასწავლებლები არც კი იაზრებენ, რა სიმკაცრით კიცხავენ მოსწავლეს, რა დიდ ბრალს უყენებენ და როგორ არცხვენენ მას. შესაძლოა, მათ ამგვარი ქცევა საკუთარი მშობლებისგან ისწავლეს. მრავალი გამოკვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნულის შემდეგ ბავშვს ეუფლება წყენის, უნდობლობის და შურისძიების გრძნობა.

გონიერების მეშვეობით უნდა მოვახერხოთ იმ ემოციების გაცნობიერება, რასაც ვგრძნობთ მოსწავლის მიმართ. მხოლოდ ამ დროსაა შესაძლებელი ამოცნობა, თუ რატომ იქცევა ის ასე უწესოდ. თავს განაწყენებულად მაშინ ვგრძნობთ, როცა ბავშვი სინამდვილეში ჩვენს ყურადღებას მოითხოვს. როცა გვეჩვენება, რომ ბავშვები გვემუქრებიან, ეს მათი შურისძიების მცდელობაა ჩვენ მიერ გამოჩენილ უყურადღებობაზე. თუ თავდაჯერებულობა მოგვაკლდა, მოსწავლეებს სწავლის სურვილი ეკარგებათ. ამ გრძნობების გაცნობიერებით უფრო შესაფერისი რეაგირებაა შესაძლებელი მოსწავლის ქცევაზე. ასეთ შემთხვევაში უარყოფითი კომენტარების გაკეთების ნაცვლად თანაგრძნობის განცდა გაგვიჩნდება ბავშვების მიმართ.

4 რჩევა

გონივრულობით შესაძლებელია დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა

მცდარია აზრი, თითქოს მასწავლებლებს შეუძლიათ და ევალებათ მოსწავლეების ქცევის კონტროლი. როცა პედაგოგები ამას ცდილობენ, კლასში იწყება ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ამ ბრძოლას აღვივებს სწორედ მასწავლებლის მცდელობა, გააკონტროლოს ბავშვების ქცევა.

უმჯობესი იქნება, თუ ვეცდებით ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე გააკონტროლებს საკუთარი ქცევას. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ კომუნიკაციის სტილი, ქცევები და ჩვენი ადგილი ოთახში. შეგვიძლია მოვითხოვოთ და განვამტკიცოთ ქცევები და დავადგინოთ საზღვრები. შეგვიძლია გავაკონტროლოთ საკლასო გარემოს სივრცე ისე, რომ მეტად შეუწყოს ხელი ეფექტურ სწავლებას.

მოსწავლეების შინაგანი მდგომარეობისა და საკლასო სივრცის სწორად განაწილების ცოდნა აუცილებელი ფაქტორია კლასში სოციოემოციური ჰარმონიის დასამყარებლად. გონების მოკრებაა საჭირო მიმდინარე მოვლენების სწორად აღქმისა და გაანალიზებისათვის, რათა ამოვიცნოთ, რა ხდება სინამდვილეში კლასში. ამის ცოდნა შესაძლებლობას მოგვცემს, უკეთესი გადაწყვეტილებები მივიღოთ პრობლემების გადასაჭრელად.

5 რჩევა

გონივრულობა გააუმჯობესებს ჩვენს ურთიერთობას მოსწავლეებთან

მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კარგი ურთიერთობა ეფექტური სწავლის საწინდარია. რაც უნდა კარგი შინაგანაწესი შევიმუშაოთ სკოლისთვის, თუ მოსწავლეები არ გვენდობიან და პატივს არ გვცემენ, ან მიაჩნიათ, რომ ჩვენ არ ვცემთ მათ პატივს, დიდი სირთულეები დაგვხვდება წინ.

თითოეულ მოსწავლეს სჭირდება ყურადღება და გულისხმიერება თუნდაც სულ მცირე ხნით. აგრძნობინეთ, რომ თქვენ მას ხედავთ. ამგვარი კავშირით ატყობინებთ, რომ მას აფასებთ.

სკოლის მიზანი სწავლაა, ამიტომ უნდა ვაგრძნობინოთ მოსწავლეებს ისიც, რომ მათ მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს ვუყენებთ. ასევე დიდი ყურადღებაა საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლეებს განვუვითაროთ ურთიერთდახმარების, შემოქმედებითობის, პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მოგვარების უნარები. მოსწავლეები მაშინ გრძნობენ კავშირს მასწავლებლებთან, როცა იციან, რომ უფროსი მათ ნამდვილად ამჩნევს და აფასებს.

6 რჩევა

სწავლების პროცესის სისწრაფე გონივრულად უნდა განვსაზღვროთ და შევანელოთ ტემპი, როცა საჭიროა

დამწყები მასწავლებლები ცდილობენ მიჰყვნენ გაკვეთილის გეგმას, რომელშიც ხშირად შეტანილია იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე ერთი გაკვეთილი დაიტევს. მასწავლებლები ჩქარობენ, რათა შეასრულონ გეგმა. სჯობს, სწავლების ტემპი იყოს უფრო ნელი და დავიტოვოთ დრო იმისთვის, რომ აღვიქვათ, რას გრძნობენ მოსწავლეები და რა სჭირდებათ მათ.

მოსწავლეებს განსხვავებული დრო სჭირდებათ ერთი და იმავე ინფორმაციის გადასამუშავებლად. ზოგი მოსწავლე მოსმენილ მასალას უფრო სწრაფად გადაამუშავებს, ვიდრე ნანახს. სხვები – პირიქით. პატარა მოსწავლეებს უფროსკლასელებთან შედარებით უფრო მეტი დრო სჭირდებათ, თუმცა პედაგოგებს ეს ხშირად ავიწყდებათ. თუ ცოტა დროს გამოვყოფთ იმისთვის, რომ მოსწავლე დაუფიქრდეს კითხვას, განზრახ დავაყოვნებთ პასუხის მოსმენას, ამით ხელს შევუწყობთ უკეთ სწავლას.

ხშირია შემთხვევები, როცა განზრახ ვუშლით ხელს მოსწავლეს – დაუფიქრებლად მოვითხოვთ მისგან პასუხს. პატარა პაუზების გაკეთება კარგია ლექციის ტიპის გაკვეთილის დროსაც, რათა მოსწავლემ აღიქვას, გაიაზროს და გონებაში გაიმეოროს მოსმენილი. საკლასო სამუშაოს შესასრულებელი დროც უნდა გავახანგრძლივოთ ამავე მიზეზების გამო. ეს უფრო მშვიდს და სასურველს გახდის საგაკვეთილო პროცესს.

თუ ვჩქარობთ მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ თვითონ ვართ აფორიაქებულები, მაშინ ვერ შევძლებთ საფუძვლიან სწავლებას. გონივრულობა გვასწავლის დალოდებას, მოთმინებას და პაუზების სწორად განაწილებას.

7 რჩევა

გონივრულობა ქმნის საზოგადოებას სკოლაში

მოსწავლეებსაც, ყველა ადამიანის მსგავსად, აქვთ სურვილი მიკუთვნებულობისა და საზოგადოებაში წვლილის შეტანისა. ჩვენ მათ უნდა გავუღვივოთ ეს სურვილი, გულდასმით მოვუსმინოთ მოსწავლეებს და ვიზრუნოთ მათზე.

თუ შევქმნით ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლეები დაეხმარებიან ერთმანეთს, ითანამშრომლებენ, შეასრულებენ გუნდურ სამუშაოებს, ხელს შევუწყობთ მოსწავლეთა თანასაზოგადოების შექმნას. ბავშვები დაეხმარებიან ერთმანეთს და თან გაიაზრებენ, რა გააკეთეს, რა სჭირდებათ სხვებს. მათ განუვითარდებათ ემპათიის გრძნობა.

პროექტებით სწავლება პატარა სასკოლო საზოგადოების შექმნის საუკეთესო მეთოდია. მასწავლებელმა უნდა იფიქროს და თითოეული მოსწავლე უნარების შესაბამისად ჩართოს პროექტში. სამუშაოს განაწილება დადებით კლიმატს შექმნის მოსწავლეებს შორის.

ამ გზით მასწავლებელი გამოავლენს თავის საუკეთესო მხარეს. თუ ის მშვიდად და გააზრებულად ჩაერევა მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში, სწავლებას სასიამოვნოს გახდის.

წყარო: http://greatergood.berkeley.edu/article/item/seven_ways_mindfulness_can_help_teachers

ქეთევან ოსიაშვილი

ზრდასრულთა განათლება საქართველოში

რეალობა და პერსპექტივები

სწავლა სიბერემდეო, გვასწავლის ქართული ანდაზა. ბევრი იზიარებს და მისდევს ამ ბრძნულ გამონათქვამს, თუმცა უმეტესობა ამას მხოლოდ თვითგანათლებით ახერხებს.

რა მდგომარეობაა საქართველოში ზრდასრულთა განათლების მხრივ? ათეულობით წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ადამიანი ერთხელ ირჩევდა პროფესიას და შეცდომა არ უნდა დაეშვა, ვინაიდან მთელი სიცოცხლე ამ პროფესიით მოუწევდა მუშაობა. ამასთან, პროფესიასაც დროულად უნდა დაუფლებოდა, ვინაიდან რამდენიმე წლის შემდეგ განათლებაზე ფიქრი მისთვის შესაძლოა ოცნებადვე დარჩენილიყო. ასეთივე მიჯაჭვულობა იგრძნობოდა სამსახურის მიმართაც: როცა ამა თუ იმ პროფესიის ადამიანი მუშაობას იწყებდა, დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილამდე იქ იმუშავებდა, ამიტომ, თუ რაიმე მიზეზით სამსახურის დატოვება მოუწევდა, ეს სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასად მიაჩნდა. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ათწლეულებში რაიმე სერიოზული ძვრა ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა. უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების მსურველთა ასაკი დღესაც მკაცრად არის განსაზღვრული. ზრდასრულთა განათლება საქართველოში დღეს უმთავრესად განსაზღვრული პროფესიის მქონე პირთა შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვით შემოიფარგლება და ეს, როგორც წესი, ტრენინგების ფორმატით მიმდინარეობს. წლების განმავლობაში მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან არსებული სასწავლო კურსები საშუალებას აძლევდა მსურველს, რამდენიმე გამოცდის ჩაბარების შემდეგ პედაგოგის პროფესიას დაუფლებოდა, თუმცა აქ წინაპირობა ის იყო, რომ მას უკვე უნდა ჰქონოდა ნებისმიერ სხვა სფეროში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ კურსებმა ბევრი კარგი პედაგოგი შემატა საქართველოს. ისინი დღესაც წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას ჩვენს სკოლებში.

ზრდასრულთა განათლებისადმი ინტერესი ხშირად ამა თუ იმ საგრანტე პროგრამის განხორციელებისას წარმოიშობა და მისი დასრულებისთანავე ქრება. ბევრ სხვა საინტერესო პროგრამასთან ერთად ასეთი ბედი ეწია ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების პროგრამასაც, რომელიც წლების წინ გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით წარმატებით ამოქმედდა. ის მიზნად ისახავდა მშობლებში პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო განათლების გავრცელებას. ამ პროგრამის ფარგლებში ბევრი სასიკეთო და სასარგებლო რამ გაკეთდა: მომზადდა პოპულარული საკითხავი ლიტერატურა 3 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების საკითხებზე, დაიწერა სცენარი და გადაღებულ იქნა ვიდეოფილმები, ტელეკომპანია „იმედის“ მხარდაჭერით მომზადდა გადაცემების ციკლი სახელ-

წოდებით „პირველი ნაბიჯი“, გაიმართა ტრენინგების სერია მშობლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას მშობელთა მხრიდან დიდი მოწონება, აღიარება, მხარდაჭერა ხვდა წილად, მან მხოლოდ ორი წელი იმუშავა და დაიხურა, როდესაც ჩვენს ქვეყანას უკვე დამოუკიდებლად, საგარეო დახმარების გარეშე უნდა ეზრუნა მომავალი თაობის მშობელთა შემდგომ განათლებაზე. ამ პროგრამის დახურვით ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის, მშობელთა განათლების, მოგვარება კიდევ ერთხელ დავაყენეთ კითხვის ნიშნის ქვეშ. და ეს მაშინ, როცა მშობლების განათლებისა და მშობლობისთვის მათი მომზადების კუთხით თითქმის არაფერი კეთდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მშობლობაც პროფესიაა და, თამამად შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული პროფესია, ამასთან, ბავშვის აღზრდაში მშობლების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება მოგვიანებით ხშირად შეუძლებელიცაა, ალბათ ეჭვს არ უნდა ბადებდეს, რომ ზრდასრულთა განათლების სისტემის ამოქმედების შემთხვევაში მის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მიმართულებად მშობელთა განათლება უნდა იქცეს. ამასთან, მშობლობისთვის ადამიანის მომზადება ჯერ კიდევ მაშინ უნდა დაიწყოს, როცა ის ბავშვის ყოლას გადაწყვეტს. სწორედ ამ დროიდან უნდა დაიწყოს ბავშვის განვითარების, მისი სწავლებისა და აღზრდის საკითხების შესახებ მომავალი მშობლის განათლება, და ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა სწორედ ზრდასრულთა განათლების პროგრამას შეუძლია.

„რა მდგომარეობაა საქართველოში ზრდასრულთა განათლების მხრივ? ათეულობით წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ადამიანი ერთხელ ირჩევდა პროფესიას და შეცდომა არ უნდა დაეშვა, ვინაიდან მთელი სიცოცხლე ამ პროფესიით მოუწევდა მუშაობა.“

> **განათლება ადამიანს ეხმარება როგორც შიშის დაძლევაში, ასევე ემოციური სტაბილურობის განცდაშიც, მომავლის რწმენას, იმედს უღვივებს მას და, აქედან გამომდინარე, უფრო დაცულადაც აგრძნობინებს თავს. ასეთი ადამიანი სასიკეთო საქმეების საკეთებლად არის მომართული, რაც, თავის მხრივ, ქვეყანას აძლიერებს.**

თამამად და გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ზრდასრულთა განათლების საკითხებზე ჩვენს ქვეყანაში ყველაზე აქტიურად და ნაყოფიერად პროფესიული კოლეჯები მუშაობენ, მაგრამ თუ ამ საწავლებლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები დროულად არ მოგვარდა, შესაძლოა, იქ მომუშავე პედაგოგები დიდ სირთულეებს შეეჯახონ. უპირველეს ყოვლისა, ყურადსაღებია, რომ პროფესიული კოლეჯების სასწავლო ჯგუფები საკმაოდ არაერთგვაროვანია, ხშირად გვერდიგვერდ უწევთ სწავლა 14-15 წლის მოზარდს და 40-50 წლის ზრდასრულს. ცხადია, ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც საბაზისო ცოდნით, ასევე ცხოვრებისეული გამოცდილებით, სასწავლო მოტივაციითა და სამომავლო მიზნებითაც. რასაკვირველია, ყველაფერში დადებითი მხარე უნდა ვეძებოთ. ამ შემთხვევაშიც მდგომარეობა შეიძლება სასწავლო მიზნებს დავუკავშიროთ და სასიკეთოდაც გამოვიყენოთ, შევქმნათ ისეთი სიტუაციები, რომ 14-15 წლის მოზარდმა უფროსი მეგობრისგან ბევრი საჭირო რამ ისწავლოს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ზრდასრულთა განათლება სპეციფიკურია და ძირეულად განსხვავდება მოზარდთა განათლებისგან, ცხადი გახდება, რომ პროფესიული კოლეჯების პედაგოგებს სერიოზული დახმარება სჭირდებათ ზრდასრულთა სწავლების საკითხებზე ცოდნის გაღრმავებისა და ახალი ინფორმაციის მიღების კუთხით, რათა ასეთ არაერთგვაროვან ჯგუფებშიც წარმატებით მოახერხონ სასწავლო პროცესის წარმართვა და მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილება.

ალბათ ბევრს გაუჩნდება კითხვა, რატომ უნდა ზრუნავდეს ქვეყანა ზრდასრულთა სწავლებაზე, როცა მას უამრავი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ქვეყნის ძლიერება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად დაცულად, უსაფრთხოდ, იმედიანად და მშვიდად გრძნობენ თავს მისი მოქალაქეები, რამდენად აქვთ მათ ემოციური სტაბილურობის განცდა და ახერხებენ თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში განათლების მიღებაზე ფიქრს ადამიანი საკმაოდ ადრე ამთავრებს და ამით მომავალში საკუთარ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების იმედსაც კარგავს, რაც მასში ემოციური არასტაბილურობის განცდას ბადებს. ცხადია, ასეთი ადამიანი სასიკეთოს ბევრს ვერაფერს გააკეთებს ქვეყნისთვის და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებაც დაუკმაყოფილებელი დარჩება. არარეალიზებული ადამიანი კი ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმია საზოგადოებისთვის და ასოციალურ ქცევას სწორედ მისგან უნდა მოველოდეთ.

განათლება ადამიანს ეხმარება როგორც შიშის დაძლევაში, ასევე ემოციური სტაბილურობის განცდაშიც, მომავლის რწმენას, იმედს უღვივებს მას და, აქედან გამომდინარე, უფრო დაცულადაც აგრძნობინებს თავს. ასეთი ადამიანი სასიკეთო საქმეების საკეთებლად არის მომართული, რაც, თავის მხრივ, ქვეყანას აძლიერებს.

ზრდასრულთა სწავლების სისტემის დამკვიდრება და ამოქმედება საქართველოში გაცილებით იმედიანებს გახდის ადამიანებს, რაც საზოგადოების ემოციურ ფონზეც აისახება, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პარალელურად ხელისუფლება დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლადაც დაიწყებს ზრუნვას და დასაქმების ასაკიც მნიშვნელოვნად გაიზრდება. დღეს, როცა 30-35 წლის ადამიანი მრავალი სამსახურისთვის უკვე ხანდაზმულად ითვლება და დასაქმებაზე უარს ეუბნებიან, საეჭვოა, ზრდასრულმა მოქალაქეებმა თავიანთ მომავალ განათლებაზე დაიწყონ ზრუნვა.

განათლებული ადამიანების სიმრავლე ქვეყანას აძლიერებს. ძლიერი საქართველო განათლებული მოქალაქეების გარეშე წარმოუდგენელია. ვიზრუნოთ ადამიანების განათლებაზე, რა ასაკისაც უნდა იყვნენ ისინი; მუდამ გვახსოვდეს, რომ სწავლისთვის მეტისმეტად ხნიერი არავინ არის.

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

როგორ დავინახოთ სპილო

შორენა ტყეშელაშვილი

რას გააკეთებდით, განათლების სიტემის შეცვლა რომ შეგეძლოთ? – ასეთ კითხვას უსვამენ სელინჯერის ერთ პატარა მოთხრობაში ათი წლის ვუნდერკინდ ბიჭს, სახელად ტედის.

– იცით რა... არც კი ვიცი კარგად, რას გავაკეთებდი. ის კი ვიცი, რომ არ დავიწყებდი იმით რითაც სკოლები ჩვეულებრივ იწყებენ. ვფიქრობ, თავიდან ბავშვებს ერთად შეეკრებდი და მედიტირებას ვასწავლიდი. ვეცდებოდი, დამენახვებინა მათთვის, ვინ არიან ისინი. დავეხმარებოდი მათ ყველაფერ იმის თავიდან გამობერტყვაში, რაც მშობლებისგან და სხვებისგან უსწავლიათ. იმის თავიდან გამობერტყვაშიც კი, თუ მშობლებმა ასწავლეს, რომ სპილო დიდია. სპილო მხოლოდ რაიმეს ან ვინმეს გვერდითაა დიდი, მაგალითად, ძაღლის ან ქალის გვერდით. იმასაც კი არ ვეტყოდი, რომ სპილოს ხორთუმი აქვს, მე მხოლოდ ვაჩვენებდი მათ სპილოს, თუკი ამის საშუალება იქნებოდა. ნებას მივცემდი, მისულიყვნენ სპილოსთან ისე, რომ მეტი არ სცოდნოდათ მის შესახებ. ასევე ვიზამდი ბალახზე და სხვა რამეებზე, იმასაც კი არ ვეტყოდი, რომ ბალახი მწვანეა. ფერები მხოლოდ სახელებია, – პასუხობს ტედი.

ტედი ათი წლისაა. ის იმაზე მეტად გონიერია, ვიდრე უნდა იყოს, ის იმაზე მეტად მარტოსულია, ვიდრე უნდა იყოს, ის იმაზე მეტს ხედავს, ვიდრე სხვები ხედავენ. ალბათ, მართლა არსებობენ ტედისნაირი – ათი წლის ვუნდერკინდი ბიჭები, რომელთაც თავიანთი, მკაფიო და ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვთ სხვადასხვა სერიოზულ საკითხზე – განათლებაზე, სიყვარულზე, ინდივიდუალიზმზე, ღმერთზე...

„ჰო, რა თქმა უნდა, მიყვარს, მაგრამ მიყვარს სენტიმენტალობის გარეშე. მას არასოდეს უთქვამს, რომ ის სენტიმენტალურად უნდა ჰყვარებოდათ. მე რომ ღმერთი ვიყო, არ მენდომებოდა, რომ ადამიანებს სენტიმენტალურად ვყვარებოდი. ეს მეტისმეტად არასაიმედოა“, – ამბობს ტედი.

როცა ამ პატარა მოთხრობას ვკითხულობდი, ვფიქრობდი, რამდენი ასეთი პატარა ფილოსოფოსი ცხოვრობს ჩვენ გარშემო, რომელთაც ხშირად ვერ ვამჩნევთ ან კიდევ სერიოზულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ მათ აზრებს. პატარა ადამიანები, რომლებიც სრულიად ახლებურ სააზროვნო სივრცეს ქმნიან და მუდმივად თავისუფლების ძიებაში არიან. მათ კარგად ესმით, რა ზღუდავს მათ თავისუფლებას და ისიც იციან, რამდენ რამეს აშავებენ უფროსები, როცა მათ პირად სივრცეში დაუკითხავად იჭრებიან. აიძულებენ, ისე იფიქრონ, როგორც მათ სურთ, ისე მოიქცნენ, როგორც უფროსებს სურთ იქცეოდნენ, ისე იცხოვრონ, როგორც მათ მშობლებს მიაჩნიათ სწორად. ისინი კი მაინც ჯიუტად ებრძვიან ქცევის შეთავაზებულ მოდელებს და ძლიერი ნაბიჯებით იკვალავენ საკუთარ გზას.

ჩვენი შვილები იზრდებიან და განათლებაზე ბჭობა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ჩვენ ყველას ინდივიდუალური წარმოდგენა გვაქვს განათლების სისტემაზე, კარგ სასკოლო განათლებაზე, ინდივიდუალური წარმოდგენა გვაქვს სხვადასხვა პედაგოგიურ მეთოდზე. მაგრამ მიზანი, რომელიც ყველას გვაერთიანებს, ერთია – ჩვენმა შვილებმა განათლების საშუალებით იპოვონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, სწორად განსაზღვრონ ცხოვრებისეული ორიენტირები, ჰქონდეთ საშუალება, პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული ცოდნა და, რაც მთავარია, დარჩნენ თავისუფალ ადამიანებად, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ ყველანაირ პასუხისმგებლობას.

ყოველდღიურ პრობლემებთან შეჯახებისას, სხვადასხვა უსამართლობასთან გასამკლავებლად ერთადერთ სწორ გზად და გადამწყვეტ მექანიზმად სწორედ განათლება და განათლებული ადამიანები გვესახება. თუ დააკვირდებით, რა ხშირად ვამბობთ ამ სიტყვებს. ერთგვარ მანტრასავითაა განათლებაზე ლაპარაკი. „ჩვენ მხოლოდ განათლება თუ გვიშველის, მხოლოდ განათლებას შეუძლია მოაგვაროს ეს პრობლემა, მხოლოდ განათლებულ საზოგადოებაში შეიძლება ცვლილებების განხორციელება“ და ა.შ. და ა.შ. ეს ის სიტყვებია, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურად წარმოვთქვამთ და ყველას თანაბრად გვესმის განათლების მნიშვნელობა და მისი როგორც ერთ-ერთი მთავარი ღირებულების ფასი. ღირებულებისა, რომლის მისია სწორედ ის არის, რომ ადამიანებმა შეძლონ პოზიტიური ცვლილებების გამოწვევა საზოგადოებრივ სივრცეში. დაინახონ და ჰქონდეთ სურვილი პრობლემებთან გასამკლავებლად. ყველამ ვიცით, რომ კარგი განათლებით აღჭურვილი ადამიანი უფრო წელგამართულად გამოიყურება ცხოვრებისეულ ასპარეზზე და უფრო უშიშრად იგერიებს სხვადასხვა გამოწვევას.

ეს კი შეუძლებელია განხორციელდეს კარგი სასკოლო განათლების გარეშე, რომელიც ერთგვარ ფუნდამენტს წარმოადგენს ახალგაზრდა ადამიანისთვის ცხოვრებისეულ ასპარეზზე გასვლის წინ.

სელინჯერის ამ პატარა მოთხრობის გმირი კი ყოველთვის შეგვახსენებს, როგორი მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსწავლეების ძალიან საინტერესო და ხშირად შეუმჩნეველი პიროვნული სამყარო, გავითვალისწინოთ მათი შეხედულებები და არ ვეცადოთ მოვაქციოთ ისინი ჩვენი აზრებისა და შეხედულებების ტყვეობაში. ვაცადოთ მათ, თავად დაარქვან მოვლენებს და საგნებს თავიანთი სახელი.

ნიუ ვიჟენ NEW VISION
საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი UNIVERSITY HOSPITAL

როცა ეძებ საუკეთესოს

2012 წლიდან დღემდე ჩატარებულია 6 000 მდე ოპერაცია ყველა ქირურგიული პროფილის მიმართულებით

კლინიკაში შეკრებილია საქართველოში საუკეთესო ქირურგიული და კლინიკური სპეციალისტების გუნდი

ირაკლი კოხრეიძე

მედიცინის დოქტორი - მამოლოგი

მამოლოგიის და ძუძუს ონკოპლასტიკური ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი



ზაზა ციციშვილი

მედიცინის დოქტორი - ონკოგინეკოლოგი

გინეკოლოგიური და ონკოგინეკოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი

ალექსანდრე ცალუღელაშვილი

მედიცინის დოქტორი პროფესორი

ქირურგიულ დაავადებათა ცენტრის დირექტორი

ალექსანდრე ჩინჩალაძე

ზოგადი და თორაკალური ქირურგი

თორაკალური, თავ კისრის ქირურგიული და ონკოქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელი

პაციენტის გამოკვლევისა და დიაგნოსტირების თანამედროვე სტანდარტები და მაღალკვალიფიციური სამედიცინო სერვისი

თბილისი, ლუბლიანას 2/6, მე-6 სართული; ტელ : (+995 32) 2 48 72 27

ცოტნე სამადაშვილი

ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი

გადაუდებელი მედიცინისა და ვიტალური ფუნქციების მართვის ცენტრის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის უფროსი

გოჩა ფირცხალაიშვილი

მედიცინის დოქტორი - ენდოსკოპიური ქირურგი

ენდოსკოპიური ქირურგიისა და დიაგნოსტიკური მიმართულების ხელმძღვანელი

ოლეგ კვიციანი

მედიცინის დოქტორი - ზოგადი ქირურგი

ლაპაროსკოპიული, მცირე ინვაზიური და ზოგადქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელი

გიორგი (გოგა) ბაქრაძე

მედიცინის დოქტორი - ონკოპროქტოლოგი

ონკოპროქტოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი

24/7 სამედიცინო მომსახურება
EMERGENCY DIGOMI

კახაბერ თოდუა

ონკოქირურგი

კანის, რბილი ქსოვილისა და ძვლის სიმსივნეების ონკოქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელი

კოკა ჩაჩავა

ექიმი რენტგენოლოგი

რენტგენოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი

არჩილ ალადაშვილი

მედიცინის დოქტორი - ონკოქირურგი

ქირურგიულ დაავადებათა ცენტრის სამეცნიერო მიმართულების ხელმძვანელი

კობა დიასამიძე

ტრავმატოლოგ-ორთოპედი

ტრავმატოლოგია-ორთოპედიული მიმართულების ხელმძღვანელი

ეკატერინე კლდიაშვილი

მედიცინის დოქტორი

მოლეკულური პათოლოგიების და ადრეული დიაგნოსტიკის ცენტრის დირექტორი

ბექა კევლიშვილი

პროქტოლოგი

მცირე პროქტოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი

სტაციონალური მკურნალობის სერვისი ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში

ლევან მოთიაშვილი

ონკოუროლოგი

ურولოგიური და ონკოუროლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი

ჯონი ჯორბენაძე

ბავშვთა ქირურგი

ბავშვთა ქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელი

ნანა ჩიხლაძე

სამედიცინო ონკოლოგი (ქიმიოთერაპევტი)

მარტინ დ. აბელოფის კიბოს კვლევის ცენტრის სამედიცინო ონკოლოგი (ქიმიოთერაპევტი)

ნიკა გოგოლაძე

ექიმი ურولოგი

შორენა კრაწაშვილი

ექიმი რადიოლოგი

ულტრაბგერითი მიმართულების ხელმძღვანელი

მცირე ინვაზიური, ლაპარასკოპიული
და ენდო-ვიდეოსკოპიური ოპერაციები

ელ. ფოსტა : hospital@newvision.ge



ანი კოპალიანი

ბლოგერი ბავშვის ძიებაში

ერთხელ, ადრე, „მასწავლებლის“ მთავარმა რედაქტორმა მკითხა, რამე ახალი იდეა ხომ არ მქონდა ჩვენ ინტერნეტგამოცემისათვის; მაშინ არაფერი გამახსენდა, მერე კი ისე მოხდა, რომ მოსწავლეთა ეროვნული ოლიმპიადის ნაწერებს ვასწორებდი და ჩემს საწერ მაგიდასთან ხშირად გაისმოდა ხოლმე გულაჩუყებული, ალერსიანი ფრაზები, რადგან არ არსებობს მსოფლიოში უფრო მშვენიერი სანახაობა, ვიდრე იმ ბავშვის სახის გამომეტყველებაა, რომელმაც ძალიან კარგი თხზულება დაწერა (ეს, რასაკვირველია, თვითონაც იცის) და მოაქვს შენთან, მაგიდაზე გიდებს და მისი თვალები შეკავებულ მოუთმენლობას ასხივებენ, ერთი სული აქვთ, როდის წაიკითხავ და როდის დაუმოწმებ, რომ ის მართლაც სწორად აზროვნებს, უფრო მეტიც, მძაფრად გრძნობს და ყველაზე უკეთესი, ნაფიქრსაც და ნაგრძნობსაც შესანიშნავად გამოხატავს. და მე ეკრანის მიღმა, ეკრანის იქით და ეკრანის მიუხედავად ვხედავდი ამ სახეებს, ზედიზედ რომ ჩნდებოდნენ ჩემ წინ და ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.

მერე კი, როცა ემოციები ცოტათი ჩაცხრა, ვიფიქრე, რომ ყველაზე ცუდი რამაა, გქონდეს ნიჭი და მას არ გააჩნდეს ყოველდღიური პრაქტიკული გამოყენების ასპარეზი და ითვლებოდეს ისეთივე მშვენიერ, მაგრამ უსარგებლო ტალანტად, როგორიც, მაგალითად, ჩიტივით სტვენაა; მე კი მინდა, რომ წერის უნარით დაჯილდოებული ბავშვები სკოლაში ისეთივე პოპულარულები იყვნენ, როგორიც საუკეთესო ფეხბურთელები არიან. ამისთვის კი დღესდღეობით საუკეთესო ვარიანტი სკოლის ბლოგერობაა.

ჰო, დღესდღეობით ბლოგი საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა, ამიტომ, როცა ინტერნეტში საყოველთაო ძიებას ვატარებდი, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ჩვენი სკოლების მოსწავლეები აქტიური ბლოგერები იქნებოდნენ. აღმოჩნდა, რომ დედაქალაქის თითქმის ყველა პრესტიჟულ სკოლას, როგორც კერძოს, ასევე საჯაროს, აქვს თავისი საიტი. ხოლო რაიონისა და სოფლის სკოლებს უფრო ხშირად ბლოგები აქვთ, თუმცა მას, ძირითადად, სწორედ საიტის დანიშნულებით იყენებენ ანუ მათზე ვრცელდება სკოლის ოფიციალური ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებების, განათლების სამინისტროს სიახლეების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებების შესახებ. განსაკუთრებით მიხარია, როცა სოფლის სკოლების ბლოგებს გადავაწყდები ხოლმე. მაგალითად, ეს ფარცხანაყანევის საჯარო სკოლის ბლოგია (მართლა ბლოგი და არა ოფიციალური საიტი), მისი დახმარებით უამრავი რამ გავიგე ამ სოფელზე: http://parcxanayanevis1sajaro.blogspot.com/;

ასევე შემხვდა რამდენიმე სკოლის ე.წ. „კედლის გაზეთი“, რომლებშიც, სკოლაში ჩატარებული ღონისძიებების გარდა, მოსწავლეთა მხატვრული ნაწარმოებებიც იყო შეტანილი. ისინი ნამდვილად თვალისმომჭრელად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ჩემ მიერ მოპოვებულმა მთელმა ამ მასალამ პასუხი ვერ გასცა ერთ მთავარ კითხვას:

არიან თუ არა ბლოგერი სკოლის მოსწავლეები, რომლებიც წერენ თავისუფლად, ლაღად, ყოველგვარი ჩარჩოების გარეშე იმაზე, რაც თვითონ აინტერესებთ? თუნდაც იმაზე, რაც თავიანთ სკოლაში არ მოსწონთ და აღიზიანებთ? არის თუ არა სკოლა, რომელიც ამ მიზნით თავის ინტერნეტსივრცეს დაუთმობდა მოსწავლეებს? ამგვარი რამ ჯერჯერობით ვერ ვიპოვე, თქვენი დახმარების იმედი მაქვს.

მანამდე კი საზღვარგარეთის სკოლების ბლოგებს გადავავლე თვალი, ზღვა მასალა იყო და, გამოგიტყდებით, მხოლოდ გამარჯვებულსა და რეიტინგულ ბლოგებს გავეცანი, ისეთებს, რომლებსაც ყველაზე მეტად კითხულობენ ბლოგერის თანასკოლელები. ერთს წავაწყდი, უზარმაზარი რეიტინგი ჰქონდა, სულ თავისი სკოლის მოჭიდავეთა გუნდზე წერდა (თავად გუნდის კაპიტანი იყო), ეტყობოდა, უყვარდა თავისი საქმე, არ გამკვირვებია მისი წარმატება, ოღონდ მხოლოდ ორიოდე პოსტს თუ გავუძელი.

კიდევ ერთი ბიჭი იყო, ჯოზი, სასაცილო ბიჭი ჩანდა. ასე აღწერდა შობას:

„შობა ყველაზე უკეთესი რამაა მთელი ზაფხულის არდადეგების განმავლობაში. ოჯახი, ხორციანი ღვეზელი და ჰო, კიდე, საჩუქრები, რასაკვირველია. წელს ძალიან კარგი დრო გავატარეთ, რადგან მთელი სანათესაო შევიკრიბეთ. სადილად – დედის მხარე, ვახშმად – მამის. საჩუქრებიდან, არ ვიცი, რომელი გამოვყო: 2015 წლის გინესის რეკორდების წიგნი თუ თვალწარმტაცი, ღია ვარდისფერი ვინტაჟის სტილის პალტო. ძალიან ვიმხიარულე“.

ეს კი ჩემი საყვარელი ქართველი ბლოგერია, ბექა ადამაშვილი, დიდი ხანია სკოლის მოსწავლე აღარ არის, მაგრამ, როცა იყო, მაშინაც ზედმიწევნით იცნობდა ცხოვრებას:

„10-15 წლის წინ:
– ზღაპარს მომიყევი რა...
10-15 წლის შემდეგ:
– ზღაპრებს ნუ მიყვები...
ცხოვრება“
დანარჩენი იხილეთ აქ: http://doin.ge/

მე კი მინდა, რომ ეს ბავშვები, რომლებმაც ასე შესანიშნავად გაართვეს თავი ოლიმპიადას, ყოველდღე თხზავდნენ თავიანთი სკოლებისათვის, თავიანთი თანატოლებისათვის, წერდნენ მათ პრობლემებსა და სიხარულზე. იყვნენ პოპულარულები, მაგალითს აძლევდნენ სხვებს. იმართებოდეს მათ შორის კონკურსები, ზოგი იმარჯვებდეს, ზოგი კი უბრალოდ იმ გამოცდილებას იღებდეს, რომელიც მომავალში აქცევს გამარჯვებულად.

და ვოცნებობ, ოდესმე ჩვენი ჟურნალის ბლოგების სვეტშიც გაჩნდეს მოსწავლის ბლოგი, სადაც ყოველ კვირა სხვადასხვა ნიჭიერი მოწაფე დაწერს თავისი სკოლის და ზოგადად სკოლების პრობლემების, მოსწავლეთა ინტერესებისა და სურვილების შესახებ, მიიღებს ხელფასს და ამაყად იტყვის, რომ ის უკვე მუშაობს, რადგანაც ასე კარგად წერს.

სწავლების კომპლექსურობა

მაია ჯალიაშვილი

სწავლება რთული და მრავალფეროვანი ფენომენია, რომელსაც საუკუნეებია იკვლევენ, აანალიზებენ და აღწერენ პედაგოგიკის მკვლევარები. მისი სრულყოფილი შესწავლა წარმოუდგენელია მეცნიერების სხვა სფეროებთან კავშირის გარეშე. უპირველესი კი ფსიქოლოგიაა, რომელიც პედაგოგიკას ეხმარება, ზუსტად და სიღრმისეულად გაიაზროს მოსწავლისა და კლასის, ჯგუფის ფსიქიკისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ამის საფუძველზე შეისწავლოს სწავლების პროცესები და მოვლენები.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟი, კარგად აღზრდილი, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი, სახელმწიფოს გონიერი მართვისთვის გამზადებული უფლისწული, მამას ქებაზე ასე პასუხობს: „ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირიან. პირველად: კარგის ნერგის ხილი ვარ, მეორედ: ხელოვანის მებაღის შეწვრთილი, მესამედ: ფრთხილის შემნახავის ბარებული. უბრძანა მეფემან: – ეგენი ვინ არიან? შვილმან მოახსენა: – ნერგი – თქვენა, რომელმან მშევით: მებაღე – სედრაქ ვაზირი, რომელმან აღმზარდა, და შემნახავი – ლეონ, რომელი მასწავლის“.

ამ ნათქვამში სამი რამ არის გამოკვეთილი: ბუნებრივი, თანდაყოლილი ნიჭი, გარემო (რომელსაც სედრაქი განასახიერებს) და მასწავლებელი. სამივეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, ამიტომაც ყველაფერი, რაც აღზრდასთან არის დაკავშირებული, კომპლექსურად უნდა შეისწავლებოდეს და ანალიზდებოდეს. თანამედროვე პედაგოგიკა სწორედ ამგვარი მულტიდისციპლინური მეთოდოლოგიებით ხასიათდება.

მატერიალურ-ტექნიკურმა პროგრესმა დიდი ცვლილებები მოახდინა როგორც საზოგადოების ცხოვრებაში, ასევე ადამიანის ფსიქიკაში, შესაბამისად, სწავლების პროცესიც შეიცვალა, მაგრამ უცვლელია ფუნდამენტური ადამიანური ღირებულებები, რომელთა დაცვა და გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოების ზნეობრივ-სულიერი სიჯანსაღისათვის.

აკაკი ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“ იხსენებს, როგორ განსხვავებულად შეაქქეს და დაარიგეს მშობლებმა, როდესაც გაიგეს, რომ გამოცდა წარმატებით ჩააბარა. „მე კი არ ვიცოდი?! – წამოიძახა მამამ. – კვიცი ყოველთვის გვარზე მიდისო. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშვობისას, ყველას ვჯობდიო, რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდნენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე, გავათავე: ღრამატიკა, ანგარიში, ისტორია, ღეოღრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდნენ, თვარა, რომ მოეცადა, არისტოტელის კატეღორიასა და ლოღიკას სულ ბდღვირს გავადენდიო. შენც, შვილო, ოჯახის შვილი რომ ხარ, სხვებზე უფრო მეტი უნდა ისწავლო და ვიგინდარები არ გაიტოლოო!“ სტუმრებმაც

> **თანამედროვე პედაგოგიკა ადამიანური გამოცდილების ყველა სფეროდან იღებს მისთვის საჭირო და აუცილებელ მასალას მეთოდოლოგიების განვითარებისა და სრულყოფისთვის, სწავლების ახალი გზების მოსაძებნად და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.**

ამგვარივე დარიგება მომცეს. დედა კი თავისთვის იჯდა თავჩაღუნული, თითქო ამისთვის სულერთიაო და არც კი შეუმჩნევივარ". საღამოს, ძილის წინ კი: ალერსიანად მითხრა: ხომ ილოცეო?.. – როგორ არა-მეთქი! – დღეს დილას, სანამ კლასში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებია? – როგორ დამავიწყდებოდა!.. და მერე მით უფრო, რომ განსაცდელში მივდიოდი. – ჰო, კიდეც მიტომ უხსნიხარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. უღმერთოდ, რაც უნდა იცოდე, მაინც ვერას გააწყობ! მამაშენმა რაც გითხრა დღეს, ის მართალი კი ნუ გგონია, იმან ისე იცის ხუმრობა. – რა? – რა-და, სხვებმა რომ გაჯობოს, სირცხვილიაო. აბა, სხვები რომ კარგები იყონ, შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ის არის, როცა შენ შენდა თავად არ ვარგხარ და არ ცდილობ სწავლას. შენ სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე! შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველგვარ სიკარგეზე და, თუ სხვებიც შენისთანები იქნებიან და კიდევ უკეთესიც, შენ იმითი რას დაჰკარგავ? შენ კიდეც უნდა გიხაროდეს მათი სიკეთე. შენ ხომ კარგად დაგიჭერია დღეს ეგზამენი, აი რა კარგ გუნებაზე ხარ! ისინი კი, შენი ამხანაგები, ვინ იცის, რა გულდაწყვეტილები არიან! – ტიროდნენ, დედა! – მერე არ შეგეცოდა? – შემეცოდა კი არა, კინაღამ მეც ვიტირე... – იმათაც შენსავით რომ გაემარჯვათ, ხომ გეამებოდა? – ნეტავ მართლა!.. – ჰო, შვილო! სხვისი შური და სიხარბე გულში არ უნდა შეუშვა, – ესენი ორივე ეშმაკის კიბის საფეხურები არიან. ეშმაკი ჯერ შეგიტყუებს ზედ ნელ-ნელა და მერე უცბად გკრავს ხელს და გადაგაგდებს. – მე პირჯვარი დავიწერე, დედამ მაკოცა მხურვალედ, ორჯერ-სამჯერ ჩამეკონა გულში, პირჯვარი გადამსახა და მომშორდა: „დაიძინეო". ჩემს ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დიდხანს თვალი ვეღარ დავხუჭე, და, რომ დამეძინა, სიზმრებმა წამიღეს: სულ ანგელოზებში დავფრინავდი და ვთამაშობდი".

აკაკის დედის დარიგება ითვალისწინებს იმას, რომ ადამიანმა საზოგადოებაში, გარკვეული ფასეულობებისა და შეხედულებების გარემოში, უნდა იცხოვროს და თუ თავიდანვე არ ექნება ზნეობრივი პრინციპების ერთგულება, პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება. აქ უბრალო ენით შემოთავაზებულია ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომლებსაც მეცნიერების სხვადასხვა დარგი იკვლევს.

სოციოლოგია და ფილოსოფია ის მეცნიერებებია, რომლებიც საზოგადოებისა და გარემოს უზოგადეს კანონებს შეისწავლის, ეხმარება პედაგოგიკას, რომ სწავლებისა და აღზრდის პროცესში გათვალისწინებული იყოს ადამიანისა და ცხოვრების სოციალური თავისებურებები.

ფიზიოლოგია საშუალებას იძლევა, რომ სწავლების პროცესში პედაგოგმა გაითვალისწინოს ადამიანის აგებულების თავისებურებები, ნერვული სისტემის მუშაობის პრინციპები. ის ეხმარება მასწავლებელს, გაითვალისწინოს ადამიანის ბუნებრივი მონაცემები აღზრდისა და განვითარების პროცესში.

პედაგოგიკისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ეკონომიკური მეცნიერებანი, რომლებიც მას აძლევენ შესაძლებლობას, გაითვალისწინოს ის ეკონომიკური გარემოებანი, რომლებიც მოცე-

მულ ვითარებაში საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახავს. განათლების სპეციალისტის ენდი ჰარგრივსის აზრით, ბევრ სკოლაში „მართვა ისევ საათითა და ზარით, შესვენებებითა და გაკვეთილებით ხდება; კლასებში ბავშვები ასაკის მიხედვით არიან დაჯგუფებული, იზეპირებენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მასალას და აბარებენ ტრადიციულ ტესტებს. ჩვენი სასკოლო სისტემის ტრადიციული „მოდერნიზმი" დიდწილად ისევ შენარჩუნებულია დღევანდელი პროფესიონალებისა და ბიუროკრატების მიერ, რომლებიც მოსწავლეების, მშობლებისა და თემის საჭიროებების ნაცვლად, ტრადიციებით, საკუთარი გამოცდილებითა და ცოდნით ხელმძღვანელობენ". იგი ფიქრობს, რომ „ცოდნის საზოგადოება იგივე სწავლის საზოგადოებაა. ეკონომიკური წარმატება და მუდმივი ინოვაციების კულტურა დასაქმებული ადამიანების სწავლისა და სწავლების უნარზეა დამოკიდებული. ცოდნის ეკონომიკა არა მექანიზაციას, არამედ გონების – აზროვნების, სწავლისა და ინოვაციის ძალას ეფუძნება. ინდუსტრიულ ეკონომიკაში საჭირო იყო მანქანა-დანადგარებზე მომუშავე პერსონალი, ცოდნის საზოგადოებაში კი ცოდნის მუშაკებია საჭირო". „ყველაფერი, რაც ცოდნის ეკონომიკაში ბრწყინავს, ოქრო არ არის და საინფორმაციო ერაც ადამიანურ გამოცდილებასა და შესაძლებლობებს სარგებელსაც აძლევს და რეალურ საფრთხეებსაც უქმნის. მაგრამ აუცილებელია, რომ სკოლები და მასწავლებლები საკუთარ ვალდებულებებს პასუხისმგებლობით მოეკიდონ, რათა ახალგაზრდებს ცოდნის, ინფორმაციის, კომუნიკაციისა და ინოვაციის სამყაროში ჩართულობის შესაძლებლობა შეუქმნან. თითოეული ბავშვი სათანადოდ უნდა მომზადდეს ცოდნის საზოგადოებისა და ეკონომიკისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საკმარისი ვერ იქნება მხოლოდ მეტი განათლების მიწოდება არსებული ფორმით. საჭიროა უფრო ეფექტური გაკვეთილები, რომლებიც სწავლებასა და სწავლაზე ამახვილებს ყურადღებას და არა ქცევის მართვაზე; მეტი დრო უნდა დაეთმოს წიგნიერებასა და სხვა არსებით საკითხებს; აუცილებელია მეტი საზაფხულო და შაბათის სკოლები იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც მეტი დრო სჭირდებათ სასწავლო მასალის დასაძლევად; მეტი სასწავლო საათი, მეტი სასწავლო დღე წლის განმავლობაში – ყოველივე ეს აუცილებლად მოახდენს კარგ ზეგავლენას მოსწავლის მიღწევებზე. თუმცა, რა თქმა უნდა, მიღწევები არსებული სისტემის ფარგლებში მოხდება, ვინაიდან შედეგის შინაარსი არ იცვლება, თუ მოსწავლეებს იმავე კატეგორიის მეტი რაოდენობის სასწავლო მასალას მივაწვდით".

მისივე აზრით: „მასწავლებლები, ყველა სხვა პროფესიის წარმომადგენლებზე მეტად, ვალდებულნი არიან, შექმნან მსწავლელთა საზოგადოება, ცოდნის საზოგადოება და განავითარონ ინოვაციის, მოქნილობისა და ცვლილებებისადმი მზადყოფნის შესაძლებლობები, ვინაიდან დღეს ეკონომიკურ კეთილდღეობას სწორედ ეს განაპირობებს. იმავდროულად, მასწავლებლებს იმ ფართომასშტაბიან პრობლემებთან ბრძოლაც ევალებათ, რომლებსაც თავად ცოდნის საზოგადოება ქმნის. ასეთი პრობლემების მაგალითებია: გადაჭარბებული მომხმარებლობა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის მზარდი სხვაობის გაჩენა. მასწავლებლებს ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების განხორციელება ერთდროულად უწევთ".

აღზრდისა და სწავლების პროცესი გარკვეულ პოლიტიკურ გარემოსა და იდეოლოგიების გარემოცვაში მიმდინარეობს, ამიტომ მნიშვნელოვანია პოლიტოლოგიური კვლევების გათვალისწინება, რადგან პოლიტიკური თავისებურებანი, რომლებიც ამა თუ იმ იდეოლოგიას ეყრდნობა, დიდწილად განსაზღვრავს სწავლების პროცესს.

საბჭოური რეჟიმის დროს სწავლების პროცესი ითვალისწინებდა ათეისტური, კომუნისტური (პარტიის მიერ შემუშავებული დირექტივებით განსაზღვრული) იდეალების ერთგულებას. ტოტალიტარული იდეოლოგიის პირობებში სწავლების პროცესი იყო შეზღუდული და ადამიანის უფლებათა შემლახველი.

ეთნოლოგია პედაგოგიკას ეხმარება, გაითვალისწინოს ადამიანთა ნაციონალური თავისებურებანი, ის წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები, რომელთაც ფესვები ფსიქიკის ღრმა შრეებში აქვთ გადგმული და ადამიანთა ქცევას და სამყაროს მიმართ დამოკიდებულებას განსაზღვრავენ.

ისტორიული მეცნიერებანი ადამიანისა და საზოგადოების, აღზრდის სხვადასხვა სისტემის განვითარების ისტორიულ გზას წარმოაჩენენ, რაც პედაგოგიკას ეხმარება წინაპართა გამოცდილების გათვალისწინებაში, ტრადიციისა და ნოვაციის გონივრულ სინთეზში. უძველესი დროიდან მოყო-

> **მატერიალურ-ტექნიკურმა პროგრესმა დიდი ცვლილებები მოახდინა როგორც საზოგადოების ცხოვრებაში, ასევე ადამიანის ფსიქიკაში, შესაბამისად, სწავლების პროცესიც შეიცვალა, მაგრამ უცვლელია ფუნდამენტური ადამიანური ღირებულებები, რომელთა დაცვა და გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოების ზნეობრივ-სულიერი სიჯანსაღისათვის.**



ლებული, კაცობრიობა აგროვებდა და იაზრებდა სხვადასხვა ხალხისა და ტომის გამოცდილებას. დასავლეთში არსებობდა ათენისა და სპარტის აღზრდის სკოლები, განსხვავებული მიზნებითა და ამოცანებით. ურბანულ და სოფლურ გარემოში სხვადასხვაგვარად ყალიბდებოდა საერო თუ სამონასტრო აღზრდის სისტემები, რომლებზეც უდიდეს გავლენას ახდენდა რელიგიური მრწამსი და შეხედულებანი.

დიდი საეკლესიო მოღვაწენი: ტერტულიანე, ნეტარი ავგუსტინე, თომა აკვინელი, იოანე ღვთისმეტყველი და სხვანი, – თავიანთ საღვთისმეტყველო ნაშრომებში წარმოაჩენდნენ ქრისტიანული აღზრდის მნიშვნელობას ადამიანის სულიერი ხსნისათვის. გასათვალისწინებელია შუა საუკუნეების მწერალთა და მოღვაწეთა ნააზრევიც, მათ შორის – რუსთაველისა: „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

აღმოსავლეთში, კერძოდ, ჩინეთში, სასკოლო აღზრდის საფუძველი იყო სწავლება ოთხი დისციპლინისა: მორალის, ენის, პოლიტიკისა და ლიტერატურის. სწორედ ამ სამყაროში ჩამოყალიბდა კონცეფცია იდეალური ადამიანისა, რომლის სრულყოფილებასაც განსაზღვრავდა არა წარმომავლობა, არამედ სწავლა-აღზრდა. არაბი და ირანელი მოაზროვნენი ყოველთვის ცდილობდნენ განათლების საყოველთაო ღირებულების წარმოჩენას, ხაზს უსვამდნენ სისტემატური და მუდმივი განსწავლის აუცილებლობას; დიდ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანის ფიზიკური და სულიერი მხარეების განვითარებას, იმგვარი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: უფროსთა პატივისცემა, სამართლიანობა, სიმამაცე, თავაზიანობა.

მეოცე საუკუნიდან, ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, პედაგოგიკის განვითარებაც სწრაფი ტემპით გაგრძელდა ყველა მიმართულებით (სკოლამდელი განათლება, სასკოლო, საოჯახო და სხვ.).

მეთოდოლოგიური საფუძვლები (პედაგოგიკის ზოგადი, სპეციალური და კერძო მეთოდოლოგია) პედაგოგიკას საშუალებას აძლევს გაიაზროს გარემოს საგნები და მოვლენები, შეიმეცნოს მათ შორის ფუნქციური კავშირების სპეციფიკა. სწორედ ამგვარ გამოცდილებას ეყრდნობა განათლების სტრატეგია და ტაქტიკა, აღზრდა, სწავლება, განვითარება და ფსიქოლოგიური მომზადება. გარდა ამისა, ერთი შეხედვით, პედაგოგიკისგან სრულიად დაშორებულ მეცნიერების დარგებსაც კი დაეძებნებათ მასთან შეხების წერტილები (მათემატიკური, კომპიუტერული გამოკვლევები).

თანამედროვე პედაგოგიკა ადამიანური გამოცდილების ყველა სფეროდან იღებს მისთვის საჭირო და აუცილებელ მასალას მეთოდოლოგიების განვითარებისა და სრულყოფისთვის, სწავლების ახალი გზების მოსაძებნად და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

მოსწავლეთა ქცევის წახალისების მეთოდები: პრემაკის პრინციპი

ცვატა ბერძენიშვილი

ბევრი ფსიქოლოგი ურჩევს მასწავლებლებს, „ჩაულრმავდნენ პოზიტიურს“ – შეაქონ მოსწავლეები კარგი საქციელისთვის და უგულებელყონ ცუდი. ზოგი მეცნიერი იმასაც კი მიიჩნევს, რომ ქებისა და ყურადღების სისტემატური გამოყენება შესაძლოა ყველაზე ძლიერი მამოტივირებელი მეთოდი და კლასის მართვის საშუალება იყოს მასწავლებლისთვის. ამასთან დაკავშირებული სტრატეგიებია განმასხვავებელი განმტკიცება ან შეუფერებელი ქცევის იგნორირება, ასევე – კარგი საქციელის წახალისება. მაგალითად, თუ მოსწავლე მიჩვეულია უსარგებლო კომენტარების კეთებას, კარგი იქნება, თუ ამგვარ წამოძახილებს უყურადღებოდ დატოვებთ, მაგრამ როგორც კი თავს იჩენს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გააქტიურდება, მაშინვე უნდა აღნიშნოთ და ხაზი გაუსვათ საკითხთან დაკავშირებულ კომენტარს.

ქება-იგნორირების ამგვარი გამოყენება შესაძლოა სასარგებლო იყოს, მაგრამ გახსოვდეთ ისიც, რომ ამ გზით საკლასო მენეჯმენტის ყველა პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება. რამდენიმე გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ხელის შემშლელი ქცევა ნარჩუნდება, როცა მასწავლებელი პოზიტიურ შედეგებს (ძირითადად – ქებას) საკლასო მენეჯმენტის ერთადერთ სტრატეგიად იყენებს. როცა პრობლემური ქცევა თანატოლთა ყურადღებას იქცევს, მასწავლებლის მხრივ მისი იგნორირება ასევე ვერ იქნება დიდად მომგებიანი და წარმატებული.

არსებობს მეორე შეხედულებაც ქების გამოყენების შესახებ. კვლევებით აღმოჩენილი დადებითი შედეგები თავს იჩენს, როცა მასწავლებლები ფრთხილად და სისტემატურად აქებენ მოსწავლეებს. მხოლოდ „კომპლიმენტების ჩამორიგება“ ვერ გამოასწორებს ქცევას. იმისთვის, რომ ქება შედეგიანი იყოს: (1) იგი უნდა განამტკიცებდეს ქცევას; (2) მან ცხადად და ხაზგასმით უნდა გამოკვეთოს ის საქციელი, რომლის განმტკიცებაც უნდა; (3) იგი უნდა იყოს დამაჯერებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქება უნდა იყოს გულწრფელი აღიარება კარგად ჩამოყალიბებული ქცევისა ისე, რომ მოსწავლემ კარგად გაიგოს, რა გააკეთა აღიარების მისაღებად. მასწავლებლები, სამწუხაროდ, ხშირად არღვევენ ამ პირობებს.

> **“ რამდენიმე გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ხელის შემშლელი ქცევა ნარჩუნდება, როცა მასწავლებელი პოზიტიურ შედეგებს (ძირითადად – ქებას) საკლასო მენეჯმენტის ერთადერთ სტრატეგიად იყენებს. “**

მრავალი ფსიქოლოგის აზრით, ქება განაწყობს ბავშვს არა საკუთრივ სწავლისთვის, არამედ იმისთვის, რომ ქება დაიმსახუროს. ალბათ, საუკეთესო რჩევა იქნებოდა, კარგად გაგვეცნობიერებინა ქების ზედმეტი ან არასწორი გამოყენების პოტენციური საფრთხე და ამის შესაბამისად მოგვეხდინა ლავირება.

ეფექტიანი განმამტკიცებლების არჩევაში დაგვეხმარება **პრემაკის პრინციპი**, რომელსაც სახელი დავიდ პრემაკის პატივსაცემად ეწოდა. პრემაკის პრინციპის თანახმად, მაღალი სიხშირის ქმედება (საყვარელი საქმიანობა) შეიძლება დაბალი სიხშირის ქმედების (ნაკლებსასურველი

საქმიანობის) ეფექტური განმამტკიცებელი გახდეს. ამას ხშირად „ბებოს წესსაც“ უწოდებენ: „ჯერ ის გააკეთე, რაც მე მინდა, მერე კი შეგიძლია აკეთო, რაც თავად გსურს“.

რა უნდა აკეთოს მოსწავლემ, თუ არ ისწავლა? ამ კითხვაზე პასუხი მრავალ განმამტკიცებელს შეიძლება გულისხმობდეს და მოიცავდეს. ბევრი მოსწავლისთვის საუბარი, კლასში გადაადგილება, მეგობრის გვერდით ჯდომა, დავალებებისა და ტესტების მოშორება, ჟურნალების კითხვა, კომპიუტერთან მუშაობა ან თამაში საყვარელ საქმიანობას წარმოადგენს. საუკეთესო გზა მოსწავლეთა განმამტკიცებლების გასარკვევად შესვენების დროს მათ საქმიანობაზე დაკვირვებაა.

იმისთვის, რომ პრემაკის პრინციპი ეფექტური იყოს, საჭიროა, ჯერ დაბალი სიხშირის (ნაკლებსასურველი) საქმიანობა განხორციელდეს. მომდევნო დიალოგში დააკვირდით, როგორ კარგავს მასწავლებელი პრემაკის პრინციპის გამოყენების იდეალურ შანსს:

მოსწავლეები: „არა, რა! აუცილებელია, დღეს გრამატიკაზე ვიმუშაოთ? სხვა კლასებში ის ფილმი განიხილეს, ამ დილით აუდიტორიაში რომ ვნახეთ“.

მასწავლებელი: „მაგრამ სხვა კლასებმა გუშინ დაასრულეს გრამატიკაზე მუშაობა. ჩვენც თითქმის მოვრჩით. თუ გაკვეთილი არ დავასრულეთ, გუშინ ნასწავლი წესები დაგავიწყდებათ“.

მოსწავლეები: „იქნებ წესები გაკვეთილის ბოლოს განვიხილოთ, ახლა კი კინოზე ვისაუბროთ“.

მასწავლებელი: „კარგი, ოღონდ სიტყვა მომეცით, რომ გაკვეთილის ბოლოს წინადადებებს მივუბრუნდებით“.

ფილმის განხილვა შესაძლოა გაკვეთილის დასრულების განმამტკიცებელი გამხდარიყო, ასე კი კლასმა შესაძლოა მთელი გაკვეთილი ფილმზე საუბარში გაატაროს. როცა განხილვა ყველაზე საინტერესო ხდება, მასწავლებელი იძულებულია, შეწყვიტოს ის და გრამატიკას მიუბრუნდეს.

ფორმირება: რა ხდება, როცა მოსწავლე მუდმივად განმამტკიცებლის გარეშე რჩება, რადგან დავალების შესრულება არ შეუძლია? განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:



> „პრემაკის პრინციპის თანახმად, მაღალი სიხშირის ქმედება (საყვარელი საქმიანობა) შეიძლება დაბალი სიხშირის ქმედების (ნაკლებსასურველი საქმიანობის) ეფექტური განმამტკიცებელი გახდეს. ამას ხშირად „ბებოს წესსაც“ უწოდებენ: „ჯერ ის გააკეთე, რაც მე მინდა, მერე კი შეგიძლია აკეთო, რაც თავად გსურს“.“

მეოთხეკლასელი უყურებს მათემატიკაში თავისი ბოლო საკონტროლოს შედეგებს: „ამოცანათა ნახევარში ძალიან ცუდი ნიშნები მივიღე, იმიტომ რომ თითოეულში სულელური შეცდომა მომივიდა. ვერ ვიტან მათემატიკას!“

მეათეკლასელი ყოველდღე ცდილობს, გამოიგონოს რაიმე საბაბი, რათა თავიდან აიცილოს ბურთით თამაში ფიზკულტურის გაკვეთილზე. ბავშვი

ვერ იჭერს ბურთს და ამიტომ ცდაზეც კი უარს ამბობს.

ვერც ერთ შემთხვევაში მოსწავლეები განმტკიცებას ვერ იღებენ თავიანთი სამუშაოსთვის, რადგან მათი მუშაობის შედეგი არც ისე კარგია. არსებობს იმის მტკიცების საფუძველიც, რომ მოსწავლე სულ მალე გადაიყვარებს კლასს, საგანს და, შესაძლოა, მასწავლებელსა და სკოლასაც კი. ამის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაა ფორმირება. მას თანდათანობით მიახლოებასაც უწოდებენ. ფორმირება გულისხმობს პროგრესის განმტკიცებას, ნაცვლად იმისა, რომ სრულყოფილებას ველოდოთ.

ფორმირების მისაღწევად მასწავლებელმა უნდა აიღოს ის კომპლექსური ქცევა, რომლის დაუფლება და მიღწევაც სურს მოსწავლეს და მცირე ნაბიჯებად დაყოს. ამის ერთ-ერთი საშუალება, სამუშაო დავალებების ანალიზი, რ. ბ. მილერმა შეიმუშავა. ეს ტექნიკა მან იმისთვის გამოიგონა, რათა დახმარებოდა შეიარაღებულ ძალებს პერსონალის წვრთნასა და მომზადებაში. მილერის სისტემა იწყება მიზნის, ანუ იმ შედეგის განსაზღვრით, რომლის მიღწევაც მოსწავლეს პროგრამის დასასრულს უნდა შეეძლოს. შემდეგ ხაზგასმულია თითოეული ნაბიჯი, რომელმაც მოსწავლე მიზნამდე უნდა მიიყვანოს. ეს პროცედურა უნარებსა და პროცესებს ქვეუნარებად და ქვეპროცესებად შლის.

განვიხილოთ სამუშაო დავალებების ანალიზის მაგალითი. ვთქვათ, მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ბიბლიოთეკურ კვლევაზე დაფუძნებული მოხსენება. რა მოხდება, თუ მასწავლებელი ამ დავალებას აუხსნელად მისცემს მათ? ზოგმა მოსწავლემ შესაძლოა ერთ-ორ ენციკლოპედიაში მოძებნოს მასალები, მერე კი მხოლოდ ენციკლოპედიაში ამოკითხულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწეროს მოკლე რეზიუმე. მოსწავლეთა მეორე ჯგუფმა შესაძლოა იცოდეს კომპიუტერის, სათაურებისა და ინდექსების გამოყენება, მაგრამ დასკვნების გამოტანა გაუჭირდეს. მათ შესაძლოა ჩააბარონ სქელტანიანი ნამუშევრები, სადაც სხვადასხვა იდეა იქნება გაშლილი. სხვებმა შესაძლოა დასკვნების გამოტანა მოახერხონ, მაგრამ მათი ნაწერი გაურკვეველი და გრამატიკულად დაულაგებელი იყოს და მასწავლებელი ვერ მიხვდეს, რას გულისხმობენ მოსწავლეები. ამრიგად, დავალების შესრულებას ვერც ერთი ჯგუფი ვერ შეძლებს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით.

სამუშაო დავალების ანალიზი იძლევა ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული ნაბიჯების სურათს, რომელსაც საბოლოო მიზნამდე მივყავართ. ამ თანმიმდევრობის ცოდნამ შესაძლოა მასწავლებლებს იმის გარკვევის საშუალება მისცეს, აქვთ თუ არა მოსწავლეებს საჭირო უნარები და შესაძლებლობები. ამასთან, თუ მოსწავლეები სირთულეებს წააწყდნენ, მასწავლებელს შეუძლია, ზუსტად დაადგინოს პრობლემური ადგილები. ფორმირების გზით მრავალი საქციელის გამოსწორება შეიძლება. განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც მოითხოვს დაჟინებას, გამძლეობას, დიდ გულმოდგინებას, დიდ სიჩქარესა და პრაქტიკას. ვინაიდან ფორმირების პროცესი ბევრ დროს მოითხოვს, არ შეიძლება მისი გამოყენება მაშინ, როცა წარმატების მიღწევა შესაძლებელია უფრო ადვილი მეთოდებითაც, მაგალითად, სიგნალით.

რეკომენდაციები ქების სწორად გამოყენების თაობაზე

- ეცადეთ, ქება ყოველთვის რაიმე კონკრეტულ ქმედებას მოჰყვეს.
- აუცილებელია, მოსწავლე ხვდებოდეს, რა სპეციფიკური ქმედებისა და მიღწევისთვის აქებენ. უთხარით: „შენ დავალება დროზე ჩამაბარე, თანაც კარგადაა შესრულებული" და არა: „პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა გაქვს" ან „კარგი ბიჭი/გოგო ხარ".
- დააჯილდოეთ განსაზღვრული მიზნის მიღწევისთვის და არა მხოლოდ მონაწილეობისთვის.
- ნუ დააჯილდოებთ მოსწავლეებს, რომლებიც პროცესში არ მონაწილეობდნენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩუმად იყვნენ და კლასს ხელს არ უშლიდნენ.
- ქება მოაყოლეთ მოსწავლის გაუმჯობესებულ კომპეტენციას ან მიღწევის ხარისხს. უთხარით: „შევამჩნიე, რომ შენ პასუხები ორჯერ გადაამოწმე. ნიშანიც შენი დაკვირვებული მუშაობის შედეგია".
- შეაქეთ მოსწავლე, თუ ხედავთ პროგრესს წარსულთან შედარებით ან ქებით აღნიშნეთ მისი ახალი მიღწევები.
- ეცადეთ, მოსწავლემ ყურადღება საკუთარ მიღწევებსა და პროგრესზე გაამახვილოს და არა სხვებისაზე.
- ნუ გაავრცელებთ კლასში მოსაზრებას, რომ წარმატება დამოკიდებულია იღბალზე, სხვის დახმარებაზე ან მასალის სიადვილეზე.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, გიამბონ, რა პრობლემებს წააწყდნენ მუშაობისას და როგორ გადაჭრეს ისინი.
- ნუ ეცდებით, რამდენიმე მოსწავლის შექებით გავლენა მოახდინოთ დანარჩენებზე. ეს ტაქტიკა ხშირად წამგებიანია, რადგან შესაძლოა უხერხულობა აგრძნობინოთ მოსწავლეს, რომელსაც აქებთ.
- ნუ შეაქებთ მოსწავლეებს დაუმსახურებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ შეცდომები დააბალანსოთ. ეს იშვიათადაა ნუგეშის მიმცემი და ხშირად ხაზს უსვამს მოსწავლის უუნარობას, ნამდვილად დაიმსახუროს ქება.

დავით ბოლქვაძე

ემოციური ინტელექტი სასწავლო პროცესში

უდავოა, მშობლების უმეტესობა ცდილობს შვილების განათლებაზე თავიდანვე ზრუნვას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათ მიერ დროისა და თანხის სახით ჩადებული ინვესტიცია მათი შვილების წარმატებული მომავლის გარანტი იქნება. სკოლაში შესვლამდე მშობლები გატაცებით უკითხავენ შვილებს საღამოობით, ასწავლიან თვლას და ანგარიშს, მათთან ერთად ხატავენ, ხოლო ბავშვების სკოლაში შესვლის შემდეგ პასუხისმგებლობით ამოწმებენ საშინაო დავალებებს, ეხმარებიან სწავლაში და ა.შ. ალბათ შეამჩნევდით, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა აქტივობა აკადემიურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ეს არცაა გასაკვირი – როცა მშობლებს შვილები სკოლაში შეჰყავთ, მათ უპირველესად ბავშვების აკადემიურ სფეროში წარმატების სურვილი აქვთ და იმედოვნებენ, რომ ისინი ისწავლიან კითხვას, წერას, მათემატიკას და ა.შ. მაგრამ მონდომებულ მშობლებსაც არცთუ იშვიათად ელით იმედგაცრუება. თქვენს ყურადღებას სწორედ ამ იმედგაცრუების ერთ-ერთ მიზეზს მივაპყრობთ, რომელიც მშობლების მხრიდან თითქმის იგნორირებულია, თუმცა უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ იგი არანაკლებ და უფრო მეტადაც არის აუცილებელი ბავშვების მომავალი წარმატებისათვის, ამასთანავე, მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული აკადემიური მიღწევების დონეც. ამ სტატიაში ემოციურ ინტელექტზე ვისაუბრებთ. რა შეიძლება ითქვას მოკლედ ემოციურ ინტელექტზე? რამდენად აუცილებელია ემოციური ინტელექტი წარჩინებისა და წარმატებისათვის? არის თუ არა შესაძლებელი მისი სწავლა?

ემოციური ინტელექტის თეორიის ავტორი ამერიკელი ფსიქოლოგი დანიელ გოლმანი გახლავთ, თუმცა ამ ფენომენზე მანამდეც მუშაობდნენ და თეორიის შემდგომი განვითარება დღესაც გრძელდება. დროთა განმავლობაში მეცნიერებს დაუგროვდათ კითხვები და დაიწყეს კვლევა, რატომ არ იყო დამოკიდებული ადამიანების წარმატება მხოლოდ გონებრივ შესაძლებლობებსა და აკადემიურ უნარებზე, როგორ ახერხებდა ზოგიერთი პიროვნება გონებრივად მასზე აღმატებულ ადამიანებთან შედარებით წარმატების მიღწევას, რატომ არ არის ინტელექტის მაჩვენებელი საკმარისი პროგნოზების გასაკეთებლად. მათ მიაგნეს ახალი ტიპის ინტელექტს, რომელსაც გოლმანმა „ემოციური ინტელექტი" უწოდა. მეცნიერების განმარტებით, ეს არის ადამიანის უნარი, გაიგოს საკუთარი გრძნობები, გამოხატოს სხვის მიმართ ემპათია და მოახდინოს ემოციების ეფექტური რეგულირება/მართვა. საინტერესოა, რომ ემოციური ინტელექტის დონე/ხარისხი არ დგინდება გონებრივი ინტელექტის საზომი ტესტებით. ემოციურ ინტელექტს IQ-სგან (გონებრივი, კოგნიტური ინტელექტი) ისიც განასხვავებს, რომ ემოციური ინტელექტის ზრდა შესაძლებელია. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის წარმატების წინასწარმეტყველებისთვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი დონის ემოციური ინტელექტის ქონა, ვიდრე მაღალი დონის ზოგადი ინტელექტისა. ამ ემოციურ უნარს სხვანაირად

„ადამიანური ურთიერთობის“ უნარსაც უწოდებენ. საინტერესოა მკვლევრების ერთი დასკვნაც. როგორც ისინი ფიქრობენ, ემოციური კომუნიკაციის 90% არავერბალურია. ემოციურ ინტელექტს, ისევე როგორც რომელიმე სხვა უნარს, ზოგიერთი ბავშვი თავიდანვე ავლენს. ასეთი ბავშვები კონტროლს უწევენ საკუთარ იმპულსებს, ნაკლებად მიდრეკილნი არიან ტანტრუმის და სხვა მსგავსი ქცევების მიმართ. ადრეულ ასაკში ემოციური ინტელექტის მიმანიშნებელია ისეთი ერთი შეხედვით უბრალო მოქმედება, როგორიცაა დესერტის მშვიდად დალოდება მაგიდასთან, სანამ სხვები სადილს დაამთავრებენ. ემოციურად ინტელექტუალური ბავშვები ხალისიანები არიან. ისინი უკეთესად ახერხებენ სასკოლო სირთულეებისათვის თავის გართმევას, ინარჩუნებენ სიმშვიდეს რთულ ვითარებაში, აკონტროლებენ ემოციებს, შეუძლიათ გამოიცნონ ახლობელი ადამიანების გრძნობები და შესაძლო რეაქციები.

მივუბრუნდეთ ჩვენ მიერ უკვე დასმულ კითხვას – არის თუ არა შესაძლებელი ემოციური ინტელექტის სწავლა? როგორც ვთქვით, ემოციური ინტელექტის გამოვლენას ბავშვები ადრეული ასაკიდან იწყებენ, 3 წლის ბავშვებს უკვე შეუძლიათ ემპათიის გამოხატვა (მაგ: სხვა ბავშვის ტირილზე), თუმცა ამ უნარის განვითარებისათვის საჭიროა უფროსებმა შეამჩნიონ და ხელი შეუწყონ პატარების ემოციების განმტკიცებას. განსაკუთებით მნიშვნელოვანია ემოციური ინტელექტის უნარ-ჩვევების განვითარება სკოლაში. სკოლას შეუძლია „ემოციური განათლების“ პროგრამის დანერგვა. ეს პროგრამა ასწავლის მოსწავლეებს ბრაზით, იმედგაცრუებით და მარტოობით გამოწვეული ემოციების მართვას. განათლების სპეციალისტები მიუთითებენ ამგვარი უნარ-ჩვევების განვითარების დიდ მნიშვნელობაზე, რადგან მოსწავლეები, რომლებიც დეპრესიაში ან გაბრაზებულნი არიან და კონფლიქტები აქვთ თანატოლებთან, ვერ შეძლებენ სწავლაში წარმატების მიღწევას.

დონა ჰიუსმენი, ფსიქოლოგიის სპეციალისტი მასაჩუსეტსიდან, ამბობს, რომ ემოციური ინტელექტის სწავლა სავსებით შესაძლებელია. მან თანამოაზრეებთან ერთად შექმნა სოციალ-ემოციური სწავლის (Social-emotional learning; SEL) პროგრამა, რომელიც ახდენს ჰუმანიტარული მიმართულების სასკოლო საგნებთან ისეთი სასიცოცხლო უნარების ინტეგრირებას, როგორებიცაა ძიება, აქტიური სწავლა, რეფლექსია, საკუთარი თავის და სხვების შეცნობა. „უამრავი კვლევით და თითქმის 30 წლის განმავლობაში ემოციური ინტელექტის ჩვენი სკოლის კურიკულუმში ჩართვით დავამტკიცეთ, რომ მოსწავლეებს, ხდებიან რა თავიანთი ემოციების მცოდნენი, ეფექტურად შეუძლიათ მათი მართვა და უკეთესად ართმევენ

სკოლას შეუძლია „ემოციური განათლების“ პროგრამის დანერგვა. ეს პროგრამა ასწავლის მოსწავლეებს ბრაზით, იმედგაცრუებით და მარტოობით გამოწვეული ემოციების მართვას. განათლების სპეციალისტები მიუთითებენ ამგვარი უნარ-ჩვევების განვითარების დიდ მნიშვნელობაზე, რადგან მოსწავლეები, რომლებიც დეპრესიაში ან გაბრაზებულნი არიან და კონფლიქტები აქვთ თანატოლებთან, ვერ შეძლებენ სწავლაში წარმატების მიღწევას.

„დროთა განმავლობაში მეცნიერებს დაუგროვდათ კითხვები და დაიწყეს კვლევა, რატომ არ იყო დამოკიდებული ადამიანების წარმატება მხოლოდ გონებრივ შესაძლებლობებსა და აკადემიურ უნარებზე, როგორ ახერხებდა ზოგიერთი პიროვნება გონებრივად მასზე აღმატებულ ადამიანებთან შედარებით წარმატების მიღწევას, რატომ არ არის ინტელექტის მაჩვენებელი საკმარისი პროგნოზების გასაკეთებლად.“

თავს სწავლაზე კონცენტრირებას“, – ამბობს ჰაუსმანი. ის თვლის, რომ საუკეთესო შედეგი დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან აღირიცხა.

ჰაუსმანის თანამოაზრე ჯონ პეიტონი იკვლევდა, რა შედეგები მოჰქონდა სოციალ-ემოციურ სწავლებას აკადემიური შედეგების თვალსაზრისით. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 300-ზე მეტი კვლევა 300,000-ზე მეტ მოსწავლეს შორის (ასაკი – 6-13 წელი). დადგინდა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც სოციალ-ემოციური სწავლების პროგრამაში იყვნენ ჩართული, 11-17%-ით უფრო უკეთეს შედეგებს აღწევდნენ, ვიდრე ისინი, ვინც ამ პროექტის მიღმა დარჩა. „ჩვენ შევძელით დაგვემტკიცებინა, რომ სოციალ-ემოციური სწავლება არ არის მოსწავლის ძვირფასი დროის არააკადემიური მიმართულებით ამაო ხარჯვა. მოსწავლეების აკადემიური მიღწევები იზრდება, მათი სოციალური და ემოციური უნარები უმჯობესდება, ცუდი ქცევა და აგრესია მცირდება“, – ამბობს პეიტონი.

კონფლიქტის კრეატიულად გადაჭრის პროექტი (The Resolving Conflict Creatively Project) ემოციურ ინტელექტზე დაფუძნებული კიდევ ერთი პროგრამა გახლავთ. პროექტის დასახელება გვიჩვენებს, რომ იგი მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეებს კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიებაში, უვითარებს მათ ინტერპერსონალურ უნარებს. ჯოან დაფელი, პროექტის ავტორი და ბავშვთა კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი, ამბობს: „ეს ის უნარებია, რომლებიც ბავშვებს ამშვიდებს გაბრაზებისას, ეხმარება მეგობრების შეძენაში, ასწავლის სხვების აზრის გათვალისწინებით კონფლიქტების გადაჭრას, უყალიბებს ეთიკური და უსაფრთხო გადაწყვეტილებების არჩევის უნარს“.

ამრიგად, სპეციალისტები გამოყოფენ სამ გარემოებას :

- სოციალ-ემოციური სწავლების პროგრამას სკოლაში მოაქვს მოსწავლეთა გაუმჯობესებული თვითშეფასება, უკეთესი სოციალური უნარები და შემცირებული ძალადობის ფაქტები;
- ემოციური ინტელექტის სწავლება სკოლაში შესაძლებელია აკადემიური უნარების დამცრობის გარეშე, უფრო მეტიც, სოციალ-ემოციური სწავლება აუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს;
- ემოციური ინტელექტის სწავლება უფრო ადვილია ადრეულ ასაკში, როცა ბავშვის ხასიათი გაცილებით დამყოლია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ემოციური ინტელექტის თეორიამ უკვე მოასწრო მოწინააღმდეგეთა ბანაკის გაჩენა. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორი მარტინ ქილდაფი ერთ-ერთი მათგანია. ქილდაფი და მისი თანამოაზრეები მიიჩნევენ, რომ ემოციური ინტელექტი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უნარი, შეიძლება როგორც კეთილ, ასევე ბოროტ საქმეს ემსახუროს. მაგალითად, ემოციური ინტელექტის მატარებლები „შეგნებულად აყალიბებენ თავიანთ ემოციებს ისე, რომ საკუთარ თავზე კარგ შთაბეჭდილებას ქმნიან, ემოციების მიზანმიმართული მალვა და სხვების გრძნობებით სტრატეგიული მანიპულირება არა მხოლოდ შექსპირის პიესებში, არამედ ოფისებსა და დერეფნებშიც გვხვდება, სადაც სასწორზე დევს ძალაუფლება და გავლენა“, – ასეთია მათი ერთ-ერთი საინტერესო დასკვნა. პროფესორ ქილდაფისა და მისი კოლეგების აზრით, „დროა შეწყდეს ემოციური ინტელექტის დაკავშირება დადებით ზნეობრივ თვისებებთან“.

დაბოლოს, სპეციალისტების რჩევები მშობლებს :

- არ არის საჭირო ბავშვების თანდასწრებით ემოციების ვერბალურ გამოხატვაზე უარის თქმა. ეს ისედაც ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მთავარია, ამ დროს იყოთ კორექტულები და გამოიყენოთ ისეთი ლექსიკა, რომელსაც ბავშვი გაიგებს. ბავშვები, რომლებიც იზრდებიან გრძნობების მიღებისა და გაგების გარემოში, ხდებიან უფრო მდგრადები ემოციების მიმართ, მათ შეუძლიათ საკუთარი გრძნობების ყველასთვის მისაღები გზით გამოხატვა.
- გამოიყენეთ ბავშვების საყვარელი ამბების გმირებთან იდენტიფიცირების ბუნებრივი უნარი. წაუკითხეთ ბავშვებს წიგნები, რომლებშიც გმირები სხვადასხვა ემოციას გამოხატავენ, მათთან ერთად განიხილეთ, როგორ იგრძნობდნენ ისინი თავს ანალოგიურ სიტუაციაში. პატარა ბავშვებთან სასარგებლოა სურათებზე ასახული ადამიანების გრძნობათა ამოცნობა.

სკოლის ლიდერი დღეს

თამთა კობახიძე

ლიდერობის როგორც ტერმინის მრავალგვარი განმარტება არსებობს. მენეჯმენტის თეორიებში მას განიხილავენ როგორც იდეების განხორციელებას, მიზნების ჩამოყალიბებაში ჯგუფზე გავლენის მოხდენის უნარს; თვლიან, რომ ლიდერებს ერთმანეთისაგან განასხვავებთ წარმატება და მარცხი. ბევრი კვლევის მიუხედავად, არ არსებობს ზუსტი ჩამონათვალი მახასიათებელი თვისებებისა. მთავარი კითხვა: რა თვისებებს უნდა ატარებდეს ჭეშმარიტი ლიდერი, – მაინც პასუხგაუცემელია. როგორი უნდა იყოს სკოლის ლიდერი თანამედროვე გარემოში? კარგი მენეჯერი თუ უფრო მეტად შემოქმედებითი პიროვნება, რომელიც არ კმაყოფილდება მიღწეულით და მუდმივი განახლებისათვის იბრძვის?

იმის გასაგებად, როგორი უნდა იყოს სკოლის ლიდერი, თავდაპირველად საჭიროა განვმარტოთ, რა არის თავად სკოლა და მოკლედ ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

- რა არის სკოლის მიზანი?
- როგორია მისი სოციალური დანიშნულება?
- რამდენად მნიშვნელოვანია იგი საზოგადოებისათვის?

სკოლა ღია სოციალური სიტემაა, რომელსაც აქვს 4 მნიშვნელოვანი ელემენტი, ანუ ქვესისტემა :

- სტრუქტურული;
- ინდივიდუალური;
- პოლიტიკური;
- კულტურული.

სწავლა-სწავლების პროცესი კი მისი როგორც სისტემის ტექნიკური ბირთვია. სკოლის დანიშნულებაა აღზარდოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ადამიანებს შესძინოს და განუვითაროს სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, რათა მათ შეძლონ სწავლა, მუშაობა მრავალფეროვან საზოგადოებაში. განათლების მიზანია, ადამიანს მისცეს შესაძლებლობა, მუდმივად განაგრძოს განვითარება. სწავლის საგანი და სწავლის შედეგად მიღებული ცოდნა კი სწორედ ამის საშუალებას იძლევა.

სკოლა საზოგადოების განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იგი ერთგვარი სარკეა ამ უკანასკნელისა, რადგან სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულება ასახავს იმ ღირებულებებსა და მისწრაფებებს, რაც საზოგადოებაში არსებობს. სკოლას როგორც სოციალურ სისტემას გააჩნია განვითარების, თვითგანახლების უნარი; პირდაპირ განიცდის ყველა იმ ცვლილებას, რაც საზოგადოებაში ხდება. საზოგადოებამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რას ითხოვს სკოლისაგან და მოვალეობებს აკისრებს მას. სკოლის ძირითადი და რა უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწავლა-სწავლების პროცესია. სწორედ ესაა ის მთავარი ელემენტი, რაც შემდგომ განვითარებას, განახლებასა და გაუმჯობესებას ექვემდებარება (რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი). საგანმანათლებლო დაწესებულება, მთელი თავისი შემადგენელი ნაწილებით (მოსწავლეები, პედაგოგები, ადმინისტრაცია), ორიენტირებული უნდა იყოს

> **„დღეს არსებული პირობები დიდ პასუხისმგებლობებს აკისრებენ სკოლის ლიდერებს. რადგან ისინი თავადაც არიან პასუხისმგებელნი საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებზე. ძირითადი მიზნებისა და ფასეულობების ერთიანი ხედვა ორგანიზაციის მიერ სწავლების გაუმჯობესებისაკენ წინსვლის პირობაა.“**

მის სრულყოფაზე, გაუმჯობესებისაკენ. გაუმჯობესებაზე, როცა ორგანიზაციას შეუძლია აჩვენოს, რომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმის გზით იგი თავის მიზანს მიუახლოვდა. აქედან გამომდინარე, ამ პროცესის მართვისას მთავარი პასუხისმგებლობა სკოლის ლიდერს ეკისრება.

ვინ არის სკოლის ლიდერი? ბევრი თვლის, რომ იგი არის პიროვნება, რომელსაც სწავლების პროცესის გაუმჯობესებისაკენ წარმართვა ხელეწიფება, ვინც ნამდვილად ზრუნავს სწავლებაზე, რომელსაც ისეთი ფართომასშტაბიანი ქმედებების განხორციელება შეუძლია, რომელიც მიმართული იქნება ისევ და ისევ სასწავლო პროცესის პროგრესისკენ.

მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სკოლის კარგად მართვისათვის მხოლოდ მენეჯერული უნარების ქონა იყო საკმარისი, წარსულს ჩაბარდა. ფასეულობათა ცვლილებამ, ტექნიკურმა პროგრესმა და მრავალმა სხვა ფაქტორმა განათლების სისტემებიც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სწავლა-სწავლება გახდა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პროცესი. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში აუცილებელია, სკოლის ლიდერი, პირველ რიგში, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ლიდერი იყოს, რათა თავიდან აიცილოს რუტინული განათლების საშიშროება, სწავლა გახადოს შინაგან მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პროცესი და შედეგი, არა გარეგნულად თავს მოხვეული თამაშის ნაწილი.

სკოლის ლიდერობა თანამედროვე პირობებში არის უნარი, რომელიც ლიდერს აძლევს სხვა ადამიანის თვალსაწიერის გაფართოების საშუალებას; განაპირობებს მათი მწარმოებლობის მაღალი სტანდარტების მიღწევას. იგი ხელს უწყობს მოსწავლეს წარმატების მიღწევაში, აღნიშნულს კი ახორციელებს სკოლის კულტურის დაცვით, ზრუნვით და თანამშრომლების პროფესიული ზრდისა და მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ათვისების უზრუნველყოფით.

სკოლის ადმინისტრატორებმა უნდა მართონ თავად სწავლების პროცესები. თუკი ისინი მართავენ სკოლას და არ აკონტროლებენ საგანმანათლებლო პროცესებს, ირიდებენ პასუხისმგებლობებს, ფაქტობრივად, ისინი არ მართავენ სკოლას და მისი ძირითადი ფუნქციების განხორციელების პროცესს. საგანმანათლებლო ლიდერობაში ვგულისხმობთ არა მხოლოდ ტექნიკური პროცესების მართვას, არამედ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას, პრობლემების გადაჭრას, სამომავლო გზების დასახვას აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის, ზრუნვას თანამშრომლების პროფესიულ განვი-

თარებაზე და ინოვაციური იდეების წახალისებას, ხელშეწყობას ჯანსაღი სასკოლო კლიმატის შექმნისათვის, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებას და ა.შ.

არსებობს კონკრეტული მითითებები, როგორი უნდა იყოს სკოლის ლიდერი თანამედროვე პირობებში:

- ლიდერობის მიზანს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება უნდა წარმოადგენდეს;
- კოლექტიური სწავლა ყველა დონეზე;
- ლიდერები თავად უნდა იძლეოდნენ ფასეულობებისა და ქცევის მაგალითს;
- სასკოლო კულტურის ცვლილებამ უნდა გამოიწვიოს ის, რომ ადამიანებმა პატივი სცენ ჯანსაღ კრიტიკასა და განსხვავებულ აზრს;
- ლიდერები პასუხისმგებელნი არიან დაეხმარონ ადამიანებს იმის მიღწევაში, რასაც მათგან მოითხოვენ.

დღეს არსებული პირობები დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სკოლის ლიდერებს, რადგან ისინი თავადაც არიან პასუხისმგებელნი საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებზე. ძირითადი მიზნებისა და ფასეულობების ერთიანი ხედვა ორგანიზაციის მიერ სწავლების გაუმჯობესებისაკენ წინსვლის პირობაა. ლიდერობა მიზნად ისახავს სწავლების პროცესის წარმართვის, ასევე სწავლების შესახებ ცოდნის შეძენის, პროცესებისთვის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების გადანაწილებას.

საგანმანათლებლო ლიდერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ფუნქციების სწორად განაწილება უნდა წარმოადგენდეს. სკოლა მთელი თავისი პერსონალით მოწოდებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისაკენ. ამისათვის მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთი სასკოლო კლიმატი, რომელიც მოახდენს პედაგოგების მოტივირებას თანამშრომლობისა და კოლეგიალობისთვის. ამაში ადმინისტრატორს ნამდვილად დაეხმარება ისეთი ერთეულების ჩამოყალიბება, როგორიც პროფესიული თანამეგობრობა და „კრიტიკულ მეგობართა ჯგუფია“. თავიანთი შინაარსით ისინი მოწოდებული არიან, თანამშრომლობით გადაჭრან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სირთულეები და დასახონ ამ უკანასკნელის გაუმჯობესების გზები. აღნიშნული გაერთიანებები ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო ლიდერს, უკეთ მართოს შიდა და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული პროცესები, შექმნას ჯანსაღი სასკოლო კლიმატი. ფუნქციების განაწილება გაზრდის თანამშრომელთა პასუხისმგებლობას, დადებითად იმოქმედებს შინაგანი მოტივაციის გაზრდაზე, რადგან ისინი გააანალიზებენ საკუთარ და კოლეგების პედაგოგიურ გამოცდილებასა და პრაქტიკას. ასე რომ, ეს გაერთიანებები „მომგებიანი სვლა“ იქნება ადმინისტრატორისათვის როგორც ადმინისტრაციული, ასევე „საგანმანათლებლო მართვის“ თვალსაზრისით.

საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რთულია იყო საგანმანათლებლო ლიდერი. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სისტემა მუდმივ ცვლილებებს განიცდის. რაც არ შეიძლება ყოველთვის დადებითად ისახებოდეს სასწავლო პროცესზე. საგანმანათლებლო ლიდერად ჩამოყალიბებაში გარემო პირობებმაც უნდა ითამაშოს დიდი როლი. ამისათვის კი სკოლების მეტი თავისუფლებაა საჭირო. მოქმედების თავისუფლება სკოლას საშუალებას მისცემს, სასწავლო პროცესი საკუთარ საჭიროებებს მოარგოს, ხოლო კოლექტივს შეეძლება იყოს მეტად შემოქმედებითი და თავისუფალი პრობლემის გადაჭრისა თუ ნებისმიერი საკითხის მოგვარებისას; დასახოს კონკრეტული ქმედებები, რომლებიც უნდა განახორციელოს, სირთულეები, რომლებიც უნდა გადალახოს, და დაამკვიდროს ტექნოლოგიები, რომლებიც უნდა გამოიყენოს ამ სირთულის გადასალახად.

> **„როგორი უნდა იყოს სკოლის ლიდერი თანამედროვე გარემოში? კარგი მენეჯერი თუ უფრო მეტად შემოქმედებითი პიროვნება, რომელიც არ კმაყოფილდება მიღწეულით და მუდმივი განახლებისათვის იბრძვის?“**

ნინო კაპანაძე

მეთოდი, რომელიც მთელ პედაგოგიურ არსენალს ააქტიურებს

„... ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით“.

ესგ

„სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“.

ზგემ

> **პროექტული სწავლების მეთოდი ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია საიმისოდ, რომ მოზარდში განავითაროს პრობლემების მოგვარების უნარ-ჩვევები, რადგან პროექტი იმ აქტივობების ერთობლიობაა, რომელსაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი კონკრეტულ დროსა და სივრცეში კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად ახორციელებს.**

მოსწავლეთა აღჭურვა ქმედითი ცოდნით, მათთვის ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალი შედეგების მიღწევაში დაეხმარება, გულისხმობს სწავლების ისეთი მეთოდებისა და აქტივობების შერჩევას, რომელიც მოსწავლეს ზემოთ დასახელებულ უნარებს განუვითარებს.

ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გამკლავება უხდება სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის პრობლემებთან. რამდენად სწორად და რაციონალურად შეუძლია პიროვნებას, დაგეგმოს პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო საქმიანობები, ამაზე დიდად არის დამოკიდებული მისი ცხოვრება.

პროექტი, პროექტული სწავლების მეთოდი, ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია საიმისოდ, რომ მოზარდში განავითაროს პრობლემების მოგვარების უნარ-ჩვევები, რადგან პროექტი იმ აქტივობების ერთობლიობაა, რომელსაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი კონკრეტულ დროსა და სივრცეში კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად ახორციელებს. პროექტზე მუშაობის დაწყებამდე კარგ სამსახურს გაგვიწევს ესგ-ში მოცემული პროექტის შეფასების ზოგადანალიტიკური რუბრიკის ნიმუშის, მისი კრიტერიუმების გააზრება. თუმცა ყველაფერი იდეის გენერირებით იწყება. გაზაფხულზე განსაკუთრებულად აქტიურდება გარემოსდაცვითი თემატიკის პროექტები, ამიტომაც სამაგალითოდ ვთქვათ, რომ მოსწავლეებს აწუხებთ თემში არსებული დაბინძურებული გარემო და სურთ, ამ საქმეს შეეჭიდონ.

იდეა უკვე არსებობს, მაგრამ პროექტს გამოკვეთა, ჩამოყალიბება სჭირდება. პირველი პრობლემის გამოკვეთა, იდენტიფიცირებაა; დგება საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის მომენტი, პროვოცირებისათვის პედაგოგს მზად უნდა ჰქონდეს კითხვები: რა იწვევს ამ ანტისანიტარიას? (მოსახლეობის დაბალი ცნობიერება, ნაგვის ურნების არარსებობა, ნაგვის უსისტემო გატანა...) რა უარყოფითი შედეგები მოსდევს ამ პრობლემას? (დაავადებათა გავრცელების საშიშროება, მავნე ბაქტერიებით ნიადაგის, ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მღრღნელებისა და მწერების მომრავლება, პირუტყვის მოწამვლის საშიშროება...) ვინ არის პასუხისმგებელი ამ პრობლემის მოგვარებაზე? (მოსახლეობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, დასუფთავების სამსახური...) იყო თუ არა ამ პრობლემის მოგვარების მცდელობა? (კი, არა, ნაწილობრივ, უშედეგოდ...) იცნობთ თუ

არა, ანალოგიური პრობლემის გადაჭრის დადებით გამოცდილებას?

ამ საკითხებზე მსჯელობის პროცესი მოსწავლეთათვის საუკეთესო ვარჯიშია კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად. ამ პროცესში მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს, განმავითარებელი შეფასების ფორმა – დაკვირვება – მას მნიშვნელოვან ინფორმაციას დაუგროვებს. იმავდროულად, მან ხელიდან არ უნდა გაუშვას საკუთარ პროფესიულ უნარებზე დაკვირვებათვითშეფასებით ღირებული ინფორმაციის მოკრების შესაძლებლობა. თვითშფასებისთვის გამოადგება ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის უნარი, მოსწავლეთა დამოუკიდებელი ინიციატივების წახალისების უნარი, მრჩეველ-ფასილიტატორის როლის ფლობა და ასე შემდეგ. საბოლოოდ გამოიკვეთება ჩვენი მომავალი პროექტის მიზანი და ხასიათი: ეს შეიძლება იყოს პრობლემის ადვოკატირება, შეიძლება – მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, შეიძლება, მიზანი იყოს კომპლექსური: ადვოკატირება პასუხისმგებელ სტრუქტურებთან, მოსწავლეებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, დასუფთავებაში უშუალო მონაწილეობა, ნაგვის ურნების დადგმა, ბანერების დადგმა და ასე შემდეგ. პროექტის მიზანს, თუნდაც ის სათემო იყოს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს კავშირი ესგ-სთან. მიზნის არეალის განსაზღვრისას კარგად უნდა შევაფასოთ ჩვენი რესურსები, ადამიანურიც და მატერიალურიც, დავფიქრდეთ პოტენციური მხარდამჭერების შერჩევაზე და მათთან თანამშრომლობის სტრატეგიებზე. ასე მივიღებთ რეალისტურ პროექტს.

შემდეგ დგება პროექტის სამოქმედო გეგმა – განსახორციელებელ აქტივობათა ჩამონათვალი ვადებისა და ამ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით.

რადგან სიტყვა პასუხისმგებლობის განაწილებაზე ჩამოვარდა, აქვე დავძენთ, რომ ამ პროექტში თავისი ინტერესი ყველა მოსწავლემ უნდა იპოვოს, ამიტომაც, გარდა იმისა, რომ იდეების გენერირების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა განაპირობებს მათ მაღალ ინტერესსა და პასუხისმგებლობას მიზნის მიღწევაში, უმჯობესი იქნება, თუ მოსწავლეები თავადვე მოძებნიან საკუთარ ფუნქციებს პროექტში. ცხადია, მასწავლებელს შეუძლია მართოს პროცესი ისეთი კითხვებით, როგორებიცაა: დარწმუნებული ხარ, რომ ამ საქმეს კარგად გაართმევ თავს? ხომ არ დაგჭირდება სხვა თანატოლის დახმარება? ან სულაც: ვიცით, შენ ეს საქმე კარგად გამოგდის, მაგრამ ახლა იქნებ სხვა მიმართულებით გამოსცადო შენი შესაძლებლობები? და ასე შემდეგ. აქ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გათვალისწინებით, შეუქმნას მოსწავლეებს საკუთარი მიდრეკილებების გამომჟღავნების, გამოყენების პირობები, დაეხმაროს მათ საკუთარი თავის შეცნობაში და როგორც წინა ეტაპზე, ახლაც დააკვირდეს მოსწავლეებს, აამოქმედოს განმავითარებელი შეფასების ფორმები და თან გამოსცადოს ან განივითაროს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები.

> „პროექტის, როგორც მეთოდის განსაკუთრებულობა და უპირატესობა ის არის, რომ მის ფარგლებში გააქტიურებულია პედაგოგის მთელი პროფესიული არსენალი: ეს არის მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც იტევს მრავალფეროვან აქტივობებსა და მიდგომებს.“

რადგან საუბარი გარემოს

დასუფთავებას ეხება, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შეექმნას საფრთხე ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას! დასუფთავების აქციის დროს აუცილებელია ხელთათმანებისა და ერთჯერადი ნიღბების მოხმარება, კარგი იქნება ბავშვების წინასწარი ინფორმირება უსაფრთხოების წესების შესახებ. განსაკუთრებულად დაბინძურებულ ადგილებში არის მღრღნელებისა და ქვეწარმავლების საშიშროება, აქ უმჯობესია ადვოკატირების საშუალებით სწორედ ის სამსახურები ჩავრთოთ, რომელთა მოვალეობაშიც შედის ეს საკითხი. ამ მიმართულებით რისკს ვერავითარი შედეგი ვერ ამართლებს.

სამოქმედო გეგმის თითოეული აქტივობის განხორციელებას თავისი რესურსები სჭირდება, ადამიანურიც და მატერიალურიც. განვსაზღვრავთ თითოეული აქტივობისათვის საჭირო რესურსს და შემდეგ ყველა მონაცემის შეჯამებით ვადგენთ პროექტის ბიუჯეტს. ბიუჯეტში უმჯობესია გამოყოთ არსებული რესურსებისა და შესაძენი რესურსების გრაფები. არსებულ რესურსად ითვლება, რაც ჩვენს ხელთაა და შესაძენი არ არის, დანარჩენისთვის დაგვჭირდება ფინანსები და, შესაბამისად, მხარდამჭერები. მხარდამჭერები შეიძლება მოიძიოთ თვითმმართველობებში, ადგილობრივ ბიზნესში, მოსახლეობაში, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით.

თქვენს პროექტს ყველა ეტაპზე დასჭირდება საინფორმაციო უზრუნველყოფა: პირველ რიგში, მოამზადეთ საქაღალდე პრობლემის შესახებ, მასში მოათავსეთ ფოტომასალა, ვიდეომასალა, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები... ეს საქაღალდე გამოგადგებათ ადვოკატირებისთვისაც და მხარდამჭერებთან შეხვედრების დროსაც.

ფოტოები გადაიღეთ პროექტის ყველა აქტივობის დროს. შეგიძლიათ, სკოლაში მოაწყოთ ბანერი, დაფა, სადაც იქნება ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ და დროდადრო ახალ ინფორმაციებსაც განათავსებთ. ეს მასალები გამოგადგებათ პროექტის საბოლოო პრეზენტაციისათვისაც, შეგიძლიათ, მოაწყოთ სტენდები, გამოუშვათ კედლის გაზეთი, შექმნათ ვიდეოსიუჟეტი – ეს თქვენი პროექტის ისტორია იქნება; სოციალური ქსელების გამოყენება თქვენს პროექტს ცნობადობას შემატებს.

პროექტი დასრულდა და თქვენ უკვე იცით, როგორ უნდა შეაფასოთ შედეგები. დასახელებული შეფასების რუბრიკა მხოლოდ ნიმუშია – შეგიძლიათ, კრიტერიუმები უფრო მოარგოთ თქვენს საჭიროებებს. მთლიანი პროექტის შეფასების პარალელურად, შეგვიძლია შევაფასოთ მონაწილე მოსწავლეები ცალ-ცალკე, შევაფასებინოთ მათ საკუთარი და ერთმანეთის შედეგები.

პრეზენტაციამ ჩაიარა, შედეგებიც სახეზეა და დგება ისევ შიდასამუშაოს, შიდაანალიზის დრო. პროექტის ყველა მონაწილესთან ერთად იმართება მსჯელობა, რა გამოგივიდათ კარგად და რა ხარვეზები გქონდათ, რა მიგაჩნიათ ხარვეზების მიზეზებად, რა გამოცდილება მიიღეთ და რაში გამოიყენებთ ამ გამოცდილებას შემდგომში; ხომ არ ვიფიქროთ ახალ საპროექტო იდეაზე.

პროექტის როგორც მეთოდის განსაკუთრებულობა და უპირატესობა ის არის, რომ მის ფარგლებში გააქტიურებულია პედაგოგის მთელი პროფესიული არსენალი: ეს არის მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც იტევს მრავალფეროვან აქტივობებსა და მიდგომებს, უვითარებს მოსწავლეებს საკვანძო კომპეტენციებს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ბლუმის ტაქსონომიის აზროვნების ზედა დონეებზე ასასვლელად, ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობის უნარს, მოსწავლეს აძლევს უსაფრთხო გარემოში იდეის საქმედ ქცევის გამოცდილებას.

მასწავლებელს მთელ ამ პროცესშიც და პროექტის დასრულების შემდეგაც საკმაო საფიქრალი და სამუშაო რჩება. მან თვითშეფასება უნდა მოახდინოს და არგუმენტირებულად მოამზადოს ანგარიში იმის თაობაზე, თუ რომელი აქტივობა რა პედაგოგიურ მიზანს ემსახურებოდა, რა ღია და ფარულ შედეგებზე გავიდა, როგორ შეუწყო ხელი ცოდნის ტრანსფერის უნარების განვითარებას, როგორ ითანამშრომლა კოლეგებთან, დირექციასთან, მშობლებთან, თემთან, თვითმმართველობასთან. ეს გამოცდილება შემდეგ შეიძლება იქცეს კვლევად, კოლეგებისათვის გამოცდილების გაზიარებად, რაც სქემასთან დაკავშირებით კიდევ მეტ აქტუალობას იძენს.

მანანა მელიქიშვილი: „მოსწავლემ საკუთარი ასაკისა და შესაძლებლობის ადეკვატური მასალა უნდა ისწავლოს“

ესაუბრა **ია ვეკუა**

დაბადებისთანავე რაღაცას ვსწავლობთ: ჭამას, ძილს, ღიმილს, მშობლების სიყვარულს. გადის დრო და სწორედ ეს მშობლები, მასწავლებლები, ჩვენზე უფროსები და უფრო გამოცდილები, გვასწავლიან ყველაფერს, რაც ცხოვრების განმავლობაში გამოგვადგება ან, პირიქით, არასდროს გაგვახსენდება. სწორედ ამიტომ ვსვამთ კითხვას: რამდენად ადეკვატურია ჩვენ მიერ ბავშვობაში მიღებული ცოდნა, რამდენად სწორად მოგვაწოდეს ის ინფორმაცია, რომელიც მეხსიერებაში დაგვრჩა, რამდენად უფლებამოსილი არიან მასწავლებელი ან მშობელი, მოგვთხოვონ იმის სწავლა, რაც ან ჩვენს ასაკს არ შეეფერება, ან, უბრალოდ, ვერ ვიგებთ? ამ და სხვა კითხვებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი გვიპასუხებს.

ცოტა ხნის წინ ინტერნეტსივრცეში რამდენიმე ვიდეო გავრცელდა, სადაც ბავშვები მათი ასაკისთვის შეუფერებელი შინაარსის მქონე ლექსებს ზედმეტად მანერულად კითხულობენ. აუცილებელია, ბავშვებმა დიდი და სერიოზული შინაარსის ლექსები იცოდნენ? თუ უფრო მშობლის სურვილის დაკმაყოფილებასთან გვაქვს საქმე?

– ბავშვის განვითარებისთვის საჭიროა, მას იმაზე ოდნავ რთული ინფორმაცია მივაწოდოთ, ვიდრე დამოუკიდებლად, ბუნებრივი განვითარების პირობებში აითვისებს, მაგრამ სირთულეც და ინფორმაციის ხასიათიც ადეკვატური უნდა იყოს და მისი განვითარების უახლოეს ზონაში მოექცეს. მშობელი და მასწავლებელი უნდა ჩაერიონ იქ, სადაც ბავშვს დახმარება სჭირდება ანუ თავად ვეღარ ახერხებს ინფორმაციის მოპოვებასა და ათვისებას. თუ ბავშვს განვითარების უახლოესი ზონის მიღმა არსებულ ინფორმაციას მივაწვდით, რაც უნდა ვეცადოთ, მაინც ვერ აითვისებს. ამრიგად, უდავოა, რომ უნდა ვასწავლოთ შედარებით რთული მასალა, მაგრამ არ გავცდეთ კონკრეტულ საზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის განვითარებაში პროგრესს ვერ მივიღებთ.

რა პროცესები მიმდინარეობს ბავშვის ფსიქიკაში, როდესაც მისგან ზედმეტს მოვითხოვთ და ვაწვდით განვითარების უახლოესი ზონის მიღმა არსებულ ინფორმაციას? მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც ვაძალებთ იმის გაკეთებას, რაც მის ძალებს აღემატება?

– ასეთ დროს ბავშვს არასრულფასოვნების კომპლექსი უყალიბდება და კარგავს თავდაჯერებას. შემიძლია მაგალითიც მოვიყვანო: ბიჭუნა შეიყვანეს ცეკვაზე. ვინაიდან ცეკვის წრე სასწავლო წლის დასაწყისში დაკომპლექტდა, სხვა ბავშვებმა მეტი იციან, ვიდრე ახალბედამ. ბავშვი ამის ნამდვილ მიზეზს ვერ აცნობიერებს და ჰგონია, რომ, უბრალოდ, სხვები მასზე უკეთესები არიან. იჯერებს, რომ ცეკვას ვერ ისწავლის და

წრეზე სიარულზეც უარს აცხადებს. ამრიგად, თავდაჯერება ძლიერი მოტივატორია, რომელიც ინფორმაციის სირთულისა და მისი მიუღებლობის შემთხვევაში იკარგება. ასეთ დროს ბავშვს შესაძლოა გაუჩნდეს პროტესტის გრძნობაც და უარი განაცხადოს სწავლაზე. ურჩევნია, ზარმაცის იმიჯი ჰქონდეს, ვიდრე უცოდინარის.

არსებობენ ბავშვებიც, რომლებიც მიისწრაფვიან, მეტი გააკეთონ, მეტი ისწავლონ, იყვნენ პირველები, რასაც ნიჭთან ერთად აქტიურობითაც აღწევენ.

– ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ბავშვებს დაახლოებით 7 წლამდე განსაკუთრებით მაღალი თვითშეფასება აქვთ (საზოგადოდ, მაღალი თვითშეფასება არც ისე კარგია, რადგან ასეთ დროს ადამიანს უჩნდება პრეტენზია იმაზე, რაც რეალურად, შესაძლოა, არ ხელეწიფებოდეს, ამას კი საბოლოოდ ერთგვარი იმედგაცრუება მოჰყვება). ეს ის ასაკია, როდესაც ბავშვები ზედმეტად აქტიურები არიან, უნდათ, ყველაფერი მოსინჯონ, იპოვონ ყველაზე საინტერესო და ამ სფეროში დამკვიდრდნენ. ამ დროს მასწავლებლებმა და მშობლებმა აუცილებლად უნდა წაახალისონ (ცხადია, გონივრულ ფარგლებში) და მისცენ გარკვეული მიმართულებაც. უფროსები, მით უფრო – მასწავლებლები, ბავშვის შესაძლებლობას უკეთესად აფასებენ, ამრიგად, სწორედ მათ შეუძლიათ უბიძგონ იმ სფეროსკენაც, სადაც ის ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწევს. აუცილებელი არ არის, ამ დროს მწვერვალებზე ვიფიქროთ, მთავარია, ფრთხილად ვაკონტროლოთ ბავშვის ძიების პროცესი და არჩევანის გაკეთებაშიც დავეხმაროთ.

როგორია ბავშვის სტრესის ხარისხი, როდესაც სწავლობს ტექსტს, რომლის შინაარსიც არ ესმის?

– ჯერ გავარკვიოთ, რა მიზანი აქვს, საზოგადოდ, ტექსტის დასწავლას: ეს გახლავთ მისი გააზრება და ახალი ინფორმაციის მიღება. თუ ბავშვს ტექსტის შინაარსი ან ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა არ ესმის, ფაქტია, მთავარ მიზანს ვერ

> **თუ ბავშვს განვითარების უახლოესი ზონის მიღმა არსებულ ინფორმაციას მივაწვდით, რაც უნდა ვეცადოთ, მაინც ვერ აითვისებს. ამრიგად, უდავოა, რომ უნდა ვასწავლოთ შედარებით რთული მასალა, მაგრამ არ გავცდეთ კონკრეტულ საზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის განვითარებაში პროგრესს ვერ მივიღებთ.**



„არსებობენ ზედმეტად მორიდებული ბავშვებიც, რომლებსაც ვერაფრით აიძულებ ნასწავლის სხვების თანდასწრებით მოყოლას. ასეთ დროს მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა იმუშაოს, ბავშვისადმი მიდგომის განსაკუთრებული მეთოდი გამოიმუშაოს და ნელ-ნელა, აგრესიული ძალდატანების გარეშე აუდიტორიის წინაშე გამოსვლასაც მიაჩვიოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ადამიანს განვითარების ინდივიდუალური ხაზი აქვს.“



ვაღწევთ და ინფორმაციას მხოლოდ მეხსიერების დონეზე ვაწვდით ანუ ვამახსოვრებინებთ განსაზღვრული სიტყვების წყებას. დროთა განმავლობაში ადამიანის მეხსიერება უკანა პლანზე გადაინაცვლებს და დომინანტ ადგილს აზროვნებას უთმობს. ვინაიდან ბავშვს მცირე ასაკში აზროვნების უნარი კარგად არ განუვითარდა, სულ უფრო მეტ სირთულეს აწყდება: ვერ ძლევს პროგრამას და თანატოლებს ჩამორჩება, მით უფრო, რომ მაღალ კლასებში სააზროვნო მასალა უფრო მეტია. ამრიგად, დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ვეცადოთ, მასალის ათვისება არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ მეხსიერებაზე და აზროვნებას მეტი გასაქანი მივცეთ. თუ ბავშვი ვერ გაიაზრებს, არ ესმის ტექსტი, მისდამი ინტერესს კარგავს და სწავლასაც ანებებს თავს, რადგან სწავლის პროცესი ტანჯვად ექცევა. უფროსების შემთხვევაშიც ასეა – ძნელია, დრო და ენერგია დაუთმო იმის სწავლას, რაც არ გესმის.

როგორია იმ მასწავლებლის პასუხისმგებლობის ხარისხი, რომელიც მშობლებთან თავის მოსაწონებლად ცდილობს, ბავშვს მეტი ასწავლოს?

– მასწავლებელმა საუკეთესოდ იცის, რა შეუძლია ამა თუ იმ მოსწავლეს. მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბავშვის განვითარების ხარისხი, შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მის ადეკვატურ განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკისრება პასუხისმგებლობა შედეგზე, რომელსაც საბოლოოდ მიიღებს.

ბავშვის მდგომარეობა ალბათ მაშინ უფრო რთულდება, როდესაც ძალით ნასწავლი ტექსტის თქმას აუდიტორიის წინაშე აიძულებენ.

– ცხადია, ბავშვი არ უნდა დავავალდებულოთ, მისი ყოველი ქმედება სიამოვნებასა და ხალისთან უნდა იყოს დაკავშირებული. სწორედ ასეთია ბავშვის განწყობა, როდესაც ამბობს მისი ასაკისთვის შესაფერის, ემოციურად ადეკვატურ ლექსს. თუმცა არსებობს სასკოლო სიტუაცია, როდესაც მას აქვს განსაზღვრული ვალდებულება – ისწავლოს გაკვეთილი და მასწავლებლის კითხვებსაც გასცეს პასუხი. არსებობენ ზედმეტად მორიდებული ბავშვებიც, რომლებსაც ვერაფრით აიძულებ ნასწავლის სხვების თანდასწრებით მოყოლას. ასეთ დროს მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა იმუშაოს, ბავშვისადმი მიდგომის განსაკუთრებული მეთოდი გამოიმუშაოს და ნელ-ნელა, აგრესიული ძალდატანების გარეშე აუდიტორიის წინაშე გამოსვლასაც მიაჩვიოს. იმავდროულად, უნდა მოერიდოს სხვა ბავშვებთან მის შედარებასაც, არ უნდა აგრძნობინოს, რომ რაკი სხვას ლექსის ხმამაღლა თქმისა არ ერიდება, მასზე აღმატებულია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ადამიანს განვითარების ინდივიდუალური ხაზი აქვს.

ზოგჯერ ბავშვს მაინც უჭირს ტექსტის დამახსოვრება. არსებობს მეთოდი, რათა სწავლა უფრო იოლი და უმტკივნეულო გახდეს?

– უპირველესად, არამც და არამც არ უნდა დავაძალოთ. ნებისმიერი რამის შესწავლა ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს. შეგვიძლია ჩავრთოთ თამაშიც. ნებისმიერ შემთხვევაში სწავლა სიამოვნების მიმნიჭებელი საქმიანობაც უნდა იყოს და არა მხოლოდ მოსახდელი ვალდებულება. ბავშვებს ნატურალური მეხსიერება და შესაბამისი ნებისყოფა ძალიან კარგად აქვთ განვითარებული, ამრიგად, ტექსტის დამახსოვრება კარგად შეუძლიათ, მასწავლებელმა და მშობელმა კი ეს თვისება სწორად უნდა გამოიყენონ და შედეგსაც აუცილებლად მიიღებენ.

მალინა საჯაია

როგორ დავეხმაროთ ტრავმირებულ ბავშვებს

ბავშვების უმრავლესობისთვის სიკვდილი ახალი გამოცდილებაა და ამის გამო მათში დაბნეულობის და შიშის განცდას იწვევს. მათ არ იციან, რა მოჰყვება ოჯახის წევრის ან მეგობრის დაკარგვას. სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები შეიძლება ვერც მიხვდნენ, რას ნიშნავს სიკვდილი და მხოლოდ ოჯახის წევრების რეაქციების გამო შეშინდნენ. დაბნეულობა და შიში მატულობს მატრავმირებელი სიკვდილის შემთხვევაში. ამ დროს ისინი მომვლელებთან ან სხვა უფროსებთან კითხვებზე პასუხებს და კომფორტს ეძებენ. მიუხედავად იმისა, რომ მოზრდილებს სიკვდილთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე პასუხი არ აქვთ, მათ შეუძლიათ დაეხმარონ ბავშვებს მწუხარების უკეთ გაგებაში. ამ სტატიაში მოცემული ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ოჯახებისთვის, სოც. მუშაკებისთვის, მასწავლებლებისთვის და სხვა მოზრდილებისთვის, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ მგლოვიარე ბავშვებთან.

ხშირად დასმული შეკითხვები

უნდა ვუთხრათ მატრავმირებელი ამბის შესახებ?

არ შეგეშინდეთ მატრავმირებელი შემთხვევის შესახებ საუბრის. ბავშვებს არ არგებთ ის, რომ პრობლემებზე არ იფიქრონ ან დაივიწყონ და გონებიდან გააქრონ. თუ ბავშვი გრძნობს, რომ მის გარშემო უფროსები რაიმე ამბით შეწუხებულები არიან, მან შეიძლება ამ საკითხზე ლაპარაკი არ წამოიწყოს, მაშინაც კი, თუ ეს სურს. მატრავმირებელი სიკვდილისას ბავშვს ორი ცენტრალური დაბრკოლება აქვს: მატრავმირებელი მოვლენის გადამუშავება, გაცნობიერება და საყვარელი ადამიანის დაკარგვასთან შეგუება. უშუალოდ პოსტტრავმულ პერიოდში ძირითადი ემოცია არის შიში, შემდეგ – დარდი.

დანაკარგის შესახებ თავისუფლად საუბრის ან დარდის, ბრაზის, დაბნეულობის გამოხატვის გარეშე ბავშვის რეაბილიტაცია უფრო რთულია. ბავშვები ემოციური გამოხატვის და ქცევის მოდელს იღებენ მათი აღმზრდელებისგან და მათ ეხმარებათ იმის ცოდნა, რომ უფროსებიც დარდობენ და უზიარებენ, თავად როგორ უმკლავდებიან ამას. გარდაცვლილი ადამიანის შესახებ მოგონებების, რიტუალების, ჩვევების, შეხედულებების და ქცევების შენარჩუნება სასარგებლოა ბავშვებისთვის დარდთან გამკლავების პროცესში. ფორმალური სამგლოვიარო რიტუალები, ბავშვის კულტურისთვის დამახასიათებელი რწმენა და რელიგია ასევე შეიძლება სასიკეთო აღმოჩნდეს.

მატრავმირებელი ამბის შესახებ საუბრის შემდეგ (განსაკუთრებით – თუ ბავშვი იყო ამ შემთხვევის მოწმე), სანამ ბავშვი როგორღაც შეეგუება ტრავმულ ინციდენტს, საყვარელი ადამიანის გლოვის მისეული უნარი შესაძლოა დასუსტდეს. ამიტომ სასურველი არ არის ბავშვთან მხოლოდ ამის შესახებ საუბარი.

> მშობლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ბავშვმა შეიძლება თავი დაიდანაშაულოს მის სიკვდილში. თუ ბავშვთან უშუალო კავშირში მყოფი ადამიანები შეძლებენ ამ განცდის განეიტრალებას, ბავშვის რეაბილიტაციის პროცესი უფრო გაიოლდება.

როგორ უნდა ვუთხრათ მატრავმირებელი ამბის შესახებ?

საყვარელი ადამიანის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ აღმზრდელებმა უნდა უთხრან ბავშვს, რომ მატრავმირებელი ამბის შესახებ ფიქრი ნორმალურია. სასურველია, თუ უფროსები ამ ფაქტთან დაკავშირებით მას თავიანთ განცდებს და აზრებს გაუზიარებენ. რა თქმა უნდა, ამ საკითხის განხილვისას აუცილებელია ბავშვის ასაკის გათვალისწინება, საჭირო დროის შერჩევა და მისთვის გასაგები ენის გამოყენება. ნუ შეშფოთდებით, თუ ბავშვი ამ დროს ჩუმად იქნება. მას დრო სჭირდება იმისთვის, რომ ეს რთული ინფორმაცია მიიღოს. უთხარით, რომ მას შეუძლია ამის შესახებ თქვენთან ისაუბროს ყოველთვის, როცა სურვილი ექნება.

ბავშვებს დარდთან გამკლავების სხვადასხვა სტილი აქვთ, შეიძლება არ ილაპარაკონ სიკვდილზე ან უცნობებსაც კი მოუყვნენ მატრავმირებელი ამბის შესახებ. 6 წლის ბავშვმა შეიძლება ბაღის აღმზრდელს განუცხადოს, რომ „დედაჩემს ესროლეს“, როცა 15 წლის ბიჭი უფროსებს ძმის მკვლელობის შესახებ არ მოუყვება.

როცა ბავშვი მატრავმირებელ ამბავს უფრო და უფრო შორდება, შესაძლებლობა ექმნება, უფრო დიდხანს „ფოკუსირდეს“, უფრო ღრმად ჩასწვდეს და გაიაზროს, რაც ხდება. ზოგჯერ პატარა ბავშვები ისე იქცევიან, თითქოს ვერ გაიგეს, რას ეუბნები. მათ შეიძლება არ აღიარონ ახლობლის სიკვდილი ან თქვან, რომ „დედა დაბრუნდება“. დანაკარგის რეალობის აღიარებისას ბავშვები იყენებენ შეგუების მრავალ ტექნიკას, რომელთა ნაწილიც ზრდასრულთათვის შესაძლოა დამაბნეველი ან გამაღიზიანებელი იყოს.

მოუსმინეთ ბავშვებს, უპასუხეთ მათ კითხვებს. ამით შეძლებთ შეუქმნათ მათ კომფორტის და მხარდაჭერის ატმოსფერო. ჩვენ ხშირად არ გვაქვს ადეკვატური ახსნა იმისა, თუ რატომ მოხდა ეს უაზრო ან ტრაგიკული სიკვდილი. კარგია, თუ ბავშვსაც მოვუყვებით, რომ ჩვენც, მის მსგავსად, დაბნეული ვართ. დაბოლოს, ბავშვის მოსმენა და ნუგეშისცემა თავის არიდების ან ზედმეტი მგრძნობელობის გარეშე პოზიტიურ გავლენას მოახდენს ბავშვის შესაძლებლობაზე, შეეგუოს ტრავმულ დანაკარგს.

ამ ვრცელი პროცესის განმავლობაში ბავშვი განაგრძობს დანაკარგის ხელახლა განცდას. თამაშში, ხატვის პროცესში და სიტყვებში ის იმეორებს და თავიდან განიცდის მატრავმირებელი ამბის ზოგიერთ ელემენტს, ერთსა და იმავე კითხვებს უსვამს უფროსებს, ხდება უფრო ემპათიური სხვების დანაკარგის მიმართ, მულტფილმის პერსონაჟების ჩათვლით. მაგალითად, სვამს კითხვას „სად არის მიკი მაუსის დედა“ ან მკვდარი ჩიტის დანახვისას ინტერესდება ბარტყების შემდგომი ბედით.

ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ სხვადასხვა ასაკის ბავშვებს ადაპტაციის განსხვავებული სტილი და უნარები აქვთ იმის გასაგებად, რა არის სიკვდილი. პატარა ბავშვებთან საუბრისას დაუშვებელია ძილის და სიკვდილის ერთმანეთთან დაკავშირება, რადგან შეიძლება ბავშვებს შეეშინდეთ ჩაძინებული ახლობლის დანახვის. სცადეთ, გაიგოთ, რას ფიქრობს ის სიკვდილის შესახებ, როგორ წარმოუდგენია საიქიო ცხოვრება, აქვს თუ არა რაიმე სახის შიში ან შფოთვა სიკვდილთან დაკავშირებით, რაც უფრო მეტი გეცოდინებათ მისი წარმოდგენების შესახებ, უკეთ შეძლებთ მის დახმარებას.

მოუყევით მატრავმირებელი ამბის შესახებ იმ ადამიანებს, რომლებსაც ბავშვთან უშუალო კავშირი აქვთ (მასწავლებლებს, მისი მეგობრების მშობლებს). ეს დაეხმარება მათ, ამ ბავშვების მიმართ უფრო მომთმენი, გამგები და მზრუნველი გახდნენ.

რა განსხვავებაა მწუხარებას და გლოვას შორის?

მწუხარება არის „იარლიყი“ ემოციური, კოგნიტური, ქცევითი და ფიზიკური რეაქციების ნაკრებისა, რომლებიც მოჰყვება საყვარელი ადამიანის სიკვდილს. ნორმალური მწუხარების გამოხატვა შეიძლება შეიცავდეს უარყოფას, ემოციურ „სიმუნჯეს“, ბრაზს, მრისხანებას, მღელვარების შეტევებს, მოწყენილობას, შიშს, დაბნეულობას, ძილის გართულებას, ბავშვობაში დაბრუნებას, კუჭის პრობლემებს, მადის დაკარგვას, „ისტერიულ მატერიალიზაციებს“ (საყვარელი ადამიანის გამოსახულების ან ხმის წარმოსახვას) და მრავალ სხვა პოტენციურ სიმპტომს. ეს სიმპტომები ძალიან ჰგავს მწვავე პოსტტრავმული პერიოდის სიმპტომებს.

> **მოუსმინეთ ბავშვებს, უპასუხეთ მათ კითხვებს. ამით შეძლებთ შეუქმნათ მათ კომფორტის და მხარდაჭერის ატმოსფერო.**

გლოვა არის სიკვდილზე რეაქციის ფორმალიზებული პროცესი. ის მოიცავს მოსაგონარ მსახურებას (პანაშვიდებს), დაკრძალვას, ქელეხს, ძაძებს და ა.შ. ეს ნაწილობრივ რიტუალიზებული მიდგომები ძალიან სასარგებლოა „გლოვითი რეაქციის" ორგანიზებისა და ფოკუსირებისათვის უშუალოდ სიკვდილის შემდგომ პერიოდში. მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ამ პროცესში მონაწილეობაზე ნების დართვა. გლოვის მთავარი განმკურნავი ელემენტია ის, რომ საშუალებას აძლევს მგლოვიარეს, „აკონტროლოს" ტრავმისა და დანაკარგის განცდა. იმის ნაცვლად, რომ იჯდეს მარტო სიკვდილის შესახებ აკვიატებულ განმეორებად ფიქრებთან, ადამიანს შეუძლია, კონტროლირებულად გაიხსენოს გარდაცვლილი სიკვდილზე ფოკუსირების გარეშე. კონტროლის ხარისხი ტრავმულ მოვლენასთან შეგუებისას ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსასაზღვრად, რამდენად დამანგრეველი ხდება მოვლენა განსაზღვრული დროის შემდეგ.

რა თქმა უნდა, ახლობელი ადამიანის გარდაცვალების გამო მწუხარება ნორმალურია, მაგრამ გამუდმებული გლოვა – არა.

პირველი ექვსი თვის განმავლობაში ბავშვებს (და მოზრდილებს) შეიძლება ჰქონდეთ უჩვეულო სმენითი და მხედველობითი შეგრძნებები. მაგალითად, შეიძლება მოესმათ გარდაცვლილი დედის ხმა მეორე ოთახიდან, ნახონ დედის სილუეტი გადაჭედილ სავაჭრო ცენტრში. ეს „მოლანდებები" შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს რელიგიური კონტექსტით – „დედა დაბრუნდა, რომ ეთქვა: ყველაფერი კარგადაა. ის ისევ ჩემთანაა".

რა შემიძლია გავაკეთო მის დასახმარებლად?

1. იყავით გულწრფელი, ღია და მკაფიო. რაც არ უნდა საშინლად ჟღერდეს, მიაწოდეთ მას ფაქტებით გაჯერებული ინფორმაცია მომხდარის შესახებ. თუ დეტალები არ არის მოცემული, ბავშვის წარმოსახვა "შეავსებს" მას და ამბავი ხშირად უფრო შემაძრწუნებელი ხდება მისთვის, ვიდრე სინამდვილეშია.
2. არ გაექცეთ იმ თემებზე საუბარს, რომლებიც ბავშვს აინტერესებს. დაელაპარაკეთ მას ყოველთვის, როცა მოუნდება საუბარი და ნუ შეაწუხებთ გამოკითხვებით, როცა ამის სურვილი არ ექნება. თუ გრძნობთ, რომ ვერ აკონტროლებთ თქვენს ემოციებს, როცა ის დასახმარებლად მოგმართავთ, აიღეთ რამდენიმე წუთი, აიყვანეთ თავი ხელში და მხოლოდ ამის შემდეგ სცადეთ ბავშვის დახმარება. მოუყევით საკუთარი განცდების შესახებ: „ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, როცა ვდარდობთ".
3. მზად იყავით, განიხილოთ ერთი და იგივე დეტალები ისევ და ისევ. მოთმინებით მოუყევით ხელახლა ფაქტებს და თუ თქვენთვისაც რამე გაუგებარია, დაელაპარაკეთ ამის შესახებ. დაეხმარეთ მას შესაძლო ახსნის ძებნაში და მიახვედრეთ, რომ თქვენთვის და სხვებისთვისაც შეიძლება იყოს რაღაც გაუგებარი. ამ პროცესშივე უთხარით, რომ არსებობს ისეთი ფაქტები, რომელთა შესახებ ზუსტად ვიცით და მათი გაგება შეგვიძლია. საუბრისას გაიხსენეთ ფაქტები გარდაცვლილი ადამიანის შესახებ.
4. იყავით ადვილად მისაწვდომი, მზრუნველი, დამარწმუნებელი და პროგნოზირებადი. ეს ყველაფერი ბავშვს დაეხმარება, თავი დაცულად იგრძნოს. მზრუნველი აღმზრდელები, მასწავლებლები, ექიმები და სოც. მუშაკები ეხმარებიან მას დანაკარგთან შეგუებაში.
5. გაითვალისწინეთ, რომ გადარჩენილი ბავშვები თავს დამნაშავედ გრძნობენ. მშობლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ბავშვმა შეიძლება თავი დაიდანაშაულოს მის სიკვდილში. თუ ბავშვთან უშუალო კავშირში მყოფი ადამიანები შეძლებენ ამ განცდის განეიტრალებას, ბავშვის რეაბილიტაციის პროცესი უფრო გაიოლდება.
6. გამოიყენეთ სხვა რესურსები. მიმართეთ პროფესიონალებს, რომლებიც მზად არიან დაგეხმარონ თქვენ და თქვენს ბავშვს ამ პრობლემის გადაჭრაში. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ დანაკარგი არ გაივლის, გარდაცვლილ მშობელზე, და-ძმაზე ან თანატოლზე დარდი ყოველთვის ბავშვთან რჩება, მაგრამ დროთა განმავლობაში, სიყვარულის და ურთიერთგაგების გარემოში ბავშვები სწავლობენ დანაკარგთან შეგუებას ისეთი მეთოდებით, რომლებიც არ შეუშლის ხელს მათ ჯანსაღ განვითარებას.

დათოს ფიქრის გეოგრაფია და ერთი თემის ნალვლიანი ისტორია

მაია მენაბდე

ამ სტატიის დაწერას ოთხი მიზანი აქვს:

პირველი და უმთავრესი – უნდა დავამშვიდო ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის კაცობრიობა, რომ ახალი თაობა სულაც არ არის ჩვენზე მეტად ხელიდან წასული, წიგნს დაშორებული, პასუხისმგებლობასა და შრომისმოყვარეობას მოკლებული. პირიქით, ყველაფერი ბევრად უფრო კარგადაა მათთან, რადგან, მგონია, რომ ეს ,,ყველაფერი" პიროვნული თავისუფლების უკუპროპორციულია, რაც უფრო დიდია შინაგანი თავისუფლების ხარისხი, მით უფრო ცოტა ადგილი რჩება სულიერ თუ გონებრივ სიცარიელეს. ფაქტია, ისინი ჩვენზე თავისუფლები არიან. და თუ საუკუნემ ღირებულებები და პრიორიტეტები გადააფასა ან უკუღმა დააყენა, ეს სულაც არ არის მათი ბრალი.

მიზანი მეორე: დავარწმუნო მასწავლებლები, რომ შესაძლებელია, მოსწავლე დაგვეხმაროს და ისე დაგვეხმაროს, ჩვენ რომ ვერც კი წარმოვიდგენდით და ყველა ეს დახმარება კი არ აკნინებს, ასჯერ, ათასჯერ ზრდის მასწავლებლის ღვაწლსა და ავტორიტეტს.

მესამე: თუ რაიმეს ისე არ აკეთებენ ჩვენი შვილები თუ მოსწავლეები, როგორც ჩვენ გვინდა და გვეიდეალურება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია და სხვა არავისი!

მეოთხე და ძალიან პრაგმატული მიზანია, გამცნოთ მოსწავლის მიერ შექმნილი მოსწავლე – მასწავლებლისთვის საჭირო ერთი რესურსის შესახებ.

სამი წლის განმავლობაში მიტრიალებდა ეს იდეა თავში, რამდენჯერაც „დიდოსტატის მარჯვენის" სწავლებას დავიწყებდი და „დაატყდებოდათ თავზე" მოსწავლეებს ამდენი გეოგრაფიული ადგილი, ციხე, ეკლესია... ცალკე ტექსტის სიღრმეს უნდა მიჰყვე, ცალკე სიტყვებს უნდა უკირკიტო, ცალკე – ისტორიას, ცალკე კიდევ ეს გეოგრაფია გიღრღნის ტვინს.

ვეძებდი მოსწავლეს, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ამ არცთუ ისე ადვილ საქმეს. ინტერესიანი, პასუხისმგებლობიანი და უნარიანი მოსწავლე ბევრია, მაგრამ ერთი უხერხულობა იყო – მეთერთმეტეები „დიდოსტატის მარჯვენას" არ სწავლობენ, უბრალოდ წაკითხვა კი არ იყო საკმარისი, ხოლო მეთორმეტეებს თემებისა და კონფერენციებისთვის, როგორც წესი, არ სცალიათ ხოლმე.

ჰოდა, კიდევ ერთხელ რომ შევერკინეთ მე და ჩემი მოსწავლეები გამსახურდიას სამყაროს, რომ მომაყარეს, სხვა კითხვებთან ერთად, გეოგრაფიული კითხვებიც, დავიწუწუნე კლასში, ამდენი ხანია ვეძებ ბავშვს, ვინც ამ საქმისთვის მოიცლის, ამოწერს ყველა გეოგრაფიულ სახელს შესაბამისი კონტექსტით და მერე რუკაზე გადაიტანს -მეთქი. ჩემდა გასაოცრად, დათომ სასხვათაშორისოდ თქვა, რა უნდა, მე გავაკეთებო და... დაიწყო. შევდიოდით თანდათან ტექსტის სიღრმეში და დათო რვეულის ბოლოს იწერდა ყველა ციხისა თუ ეკლესიის სახელს თავისი უწვრილესი, თითქოს ბრინჯის მარცვალზე საწერად საგანგებოდ შემუშავებული ასოებით. რომ დავასრულეთ ნაწარმოები, დამიდო ეს რვეული. ახლა დაიწყე მასალების მოძიება და თემაზე მუშაობა-მეთქი. თვალები შუბლზე აუვიდა, რა თემაზეო (ოღონდ კონფერენციას, ტურსა და აუდიტორიას ნუ უხსენებ, თავისთვის ყველაფერს გააკეთებს). აბა, რისთვის დაიწყე-მეთქი? თქვენ მითხარითო. მოკლედ, ცოტა წავკამათდით (გვჩვევია), გავნაწყენდი, კარგი, არ გინდა, არ გააგრძელო-მეთქი

> **უნდა დავამშვიდო ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის კაცობრიობა, რომ ახალი თაობა სულაც არ არის ჩვენზე მეტად ხელიდან წასული, წიგნს დაშორებული, პასუხიმგებლობასა და შრომისმოყვარეობას მოკლებული.**

„ არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ დათოზე ვწერ. ჩემ გარშემო უამრავი „დათო" ტრიალებს, ზოგი წავიდა უკვე სკოლიდან და თავისი გზა ნახა, ზოგი ახლა მიდის, ზოგი ხვალ ან ზეგ დაიწყებს თავისი გზის ძებნას და ზუსტად ვიცი, სანამ მათი ჩემ შორიახლო ტრიალი მავსებს, მახალისებს და ინტერესს მიჩენს, სანამ ისინი გრძნობენ ამ ყველაფერს, მანამ არ მომბეზრდება მასწავლებლობა და არც დავბერდები. "

და გავედი კლასიდან. მეორე დღეს, გაკვეთილი რომ დამთავრდა, იწრიალა ცოტა ხანს და კარგი, მას, ვიმუშავებო, – მითხრა. ცა გამეხსნა და დავიწყეთ.

ყოველდღე რაღაც ახალი მოთხოვნა მიჩნდებოდა, ჩვენი დიდი მეგობარი და უფრო დიდი გეოგრაფი მიშა ჩავრთეთ საქმეში და ვფაცურობდით, დავტრიალებდით ორივე ქორივით თავზე ისედაც ახლახანექსტერნ-ჩაბარებულ, თავზესამეცადინოდაყრილ, გამოცდებკარზემომდგარ დათოს და მოსვენებას არ ვაძლევდით.

ერთ საღამოს მივწერე, იქნებ მხოლოდ ხელით შესრულებულ კი არა, რუკის კომპიუტერულ ვერსიაზეც იფიქრო-მეთქი. არადა, არ ვიცოდი, როგორ უნდა გაეკეთებინა. უჩხრეკია მთელი ღამე, მოუძებნია სპეციალური პროგრამა Scribble maps, რომლის საშუალებით კოსმოსიდან დანახული ესა თუ ის ადგილი ადვილად შეგიძლია დააფიქსირო, მონიშნო, დახაზო. ჩემთვის ეს ახალი კონტინენტის აღმოჩენას ჰგავდა, რადგან დათოს ასე სასარგებლო ნამუშევარი მხოლოდ მის, ჩემს ან ვინმე კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ კომპიუტერში კი

არ დარჩებოდა, ინტერნეტსივრცეში განთავსდებოდა და ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. თანაც სტატიკურად კი არ ხედავ ამა თუ იმ ადგილსა თუ ძეგლს, როგორი იყო, არამედ ახლა რაა და თუა საერთოდ შემორჩენილი, ზემოდან უყურებ.

დათოს გაუკვირდა ჩემი აღფრთოვანება, რადგან თვითონ „ციფრული სამყაროს მკვიდრია" და ძნელია გაუგო ამ შემთხვევაში ჩემნაირ „ციფრულ ემიგრანტს". ჯერ მარტო დაჯდა, მისხალ-მისხალ, გოჯი-გოჯ ზომა და ეძება ის ადგილები, რომლებიც რომანში იყო ნახსენები, ადარებდა, ქექავდა, აკვირდებოდა და ელექტრონულ რუკაზე გადაჰქონდა. როცა გაუჭირდა, მიშას მიაშურა. მერე ერთად ისხდნენ და ასჯერ გაზომილის გაჭრას მაინც აგვიანებდნენ. კარგა ხანს გაგრძელდა ასე, სანამ ფინალამდე მივიდოდით. მერე ბლოგიც მოვთხოვე, მერე – ღია გაკვეთილი, მერე – კონფერენციაზე გატანა... აპროტესტებდა, მაგრამ აკეთებდა. თებერვლის დასაწყისში რომ გავაგზავნეთ თემა, ვიცოდი, პასუხს აპრილამდე უნდა დავლოდებოდით. ველოდით. „თ" რა, მე და მიშა ველოდით, თორემ დათო არც ელოდა, ან ელოდა (ნაკლებსავარაუდოა) და არ ამბობდა.

აღდგომის დღეებში გავიგე, რომ დათო გამარჯვებულების სიაში არ ეწერა. თემის პატივმოყვარე ხელმძღვანელის ნათქვამივით კი ჟღერს, მაგრამ ძალიან დამწყდა გული (აღმოჩნდა, რომ ლიტერატურის სექციაში გაგზავნილი თემა რუკის გამო გადაუგზავნიათ გეოგრაფია – გეოლოგიის სექციაში და რადგან ლიტერატურისთვის იყო უფრო განკუთვნილი, მეორე ხარისხზე მეტი ვერ მიანიჭეს).

მაგრამ მე რა, მთავარი დათოა.

დათოს გული არ დასწყვეტია (ან არ გამიმხილა), რადგან მისი შინაგანი მე იდეალურად ეხამება და ემორჩილება დანინგ – კრუგერის ეფექტს (რაც უფრო ფართოა ადამიანის თვალსაწიერი და ცოდნა, მით უფრო დაბალია თვითშეფასება), არც ველოდიო, მითხრა. ახსნა მოვთხოვე, რატომ-მეთქი და არ ამიხსნა. თუმცა, მე ისედაც ვიცი - მისი ფიქრის გეოგრაფია ხომ ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე ჩემი ან მისი თემის გამსწორებელი გეოგრაფისა თუ გეოლოგის...

არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ დათოზე ვწერ. ჩემ გარშემო უამრავი „დათო" ტრიალებს, ზოგი წავიდა უკვე სკოლიდან და თავისი გზა ნახა, ზოგი ახლა მიდის, ზოგი ხვალ ან ზეგ დაიწყებს თავისი გზის ძებნას და ზუსტად ვიცი, სანამ მათი ჩემ შორიახლო ტრიალი მავსებს, მახალისებს და ინტერესს მიჩენს, სანამ ისინი გრძნობენ ამ ყველაფერს, მანამდე არ მომბეზრდება მასწავლებლობა და არც დავბერდები.

დედაჩემის თაობის რომ ვიყო, ამ სტატიას აუცილებლად დავასრულებდი მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით:

„.. ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი, ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი და ... იარონ, იარონ, იარონ, ამინ!"

მაგრამ მე სხვა თაობა ვარ და ძალიან პროზაულად დავასრულებ: გადადით ამ ლინკზე https://didostatismarjvena.wordpress.com
და იხილეთ, რატომ უნდა გვჯეროდეს მომავლის...

განსხვავებული რაკურსი

ნინო ლომიძე

„ვიო ლიტერატურაში სწავლობს „ნარნიის ქრონიკებს“. დავალება – ნარნიის თემაზე უნდა შექმნას სამაგიდო თამაში თავისი დაფით, ბარათებით და წესებით. სამაგიდო თამაში გიომ აარჩია, კიდევ ორი არჩევანი იყო: ნარნიის ტურისტული ბროშურის შექმნა ან ჯადოსნური კარადის მოდელის გაკეთება. რა დრო და ნერვები მაქვს დახარჯული მოსაწყენი თემების წერაზე...“

ეპიგრაფად დართული სიტყვები ჩვენი ინტერნეტგაზეთის ერთ-ერთ ბლოგერს, ნანა დიხამინჯიას ეკუთვნის. დავალება კი, რომელიც მისმა შვილმა უნდა შეასრულოს, ამერიკის პატარა ქალაქის, როლას სკოლაში მისცეს მოსწავლეს. ბლოგის დაწერის იდეა სწორედ ამ პოსტის წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა. წარმოვიდგინე, რა ინტერესით, ხალისით და მაღალი მოტივაციით შეასრულებს მოსწავლე ამ ტიპის დავალებას, როგორ გააანალიზებს და დაამუშავებს ტექსტს, როგორ მიიღებს საკუთარი შრომის შედეგად საინტერესო პროდუქტს – სამაგიდო თამაშს, როგორ ტრანსფორმირდება მისთვის ტექსტი ფურცლებზე არსებული ნარატივიდან პრაქტიკულად გამოსაყენებელ, ხელშესახებ ობიექტად...

> **აღმოჩნდა, რომ სიტყვის ოსტატებს, პოეტებს, კონკრეტული სიტყვების გამოყენების გარეშეც შეუძლიათ გარკვეული სურათხატების წარმოჩენა. სათქმელის გადმოცემა, მკითხველზე სასურველი ზემოქმედების მოხდენა.**

რამდენი ხანია, რაც სკოლა დაამთავრეთ? გახსოვთ თუ არა მოწაფეობის დროს შესრულებული რომელიმე საშინაო დავალება? აცნობიერებდით თუ არა საშინაო დავალების მიზანს ან დაგისვამთ თუ არა მასწავლებლისთვის კითხვა – ეს რატომ უნდა გავაკეთო?

საკუთარ თავს მოსწავლეების ადგილას მაშინ ვაყენებ, როცა მათთვის „სავალდებულოდ შესასრულებელი“ და, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი დავალებების მიცემა მიწევს. მართალია, „იდეალურ ქალთა სახეებს“ და „დადებითი და უარყოფითი პერსონაჟების შედარებით დახასიათებებს“ ჩვენი მოსწავლეები, საბედნიეროდ, აღარ წერენ და სტანდარტით არც საზეპირო ადგილების მონიშვნა და ჩაბარება ევალებათ, მაგრამ ვრცელ-ვრცელი თემები, რომლებშიც მკაცრად გაწერილი სტრუქტურა უნდა დაიცვან, შინაარსის დაწვრილებით დასწავლა და სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა მაინც უხდებათ. ეს კი რუტინული და ნაკლებად შემოქმედებითი საქმე მგონია (აქვე საზეპიროებთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო – ჩემი აზრით, სულ მცირე, უცნაურია, ამოიღო სტანდარტიდან საზეპირო ადგილი და საატესტატო გამოცდაზე მოსწავლეს დაუსვა შეკითხვა, რომელსაც ის ვერაფრით უპასუხებს, თუ ზეპირად ან ტექსტთან ძალიან ახლოს არ ახსოვს ნაწარმოები).

მოგეხსენებათ, დროის თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდულები ვართ, საპროგრამო მასალა მოცულობითია, სტანდარტით გაწერილი კომპეტენციები – ასათვისებელი, გამოცდები (საატესტატო და ერთიანი ეროვნული) – ჩასაბარებელი. ამიტომ ყოველთვის ვერა, მაგრამ იშვიათად მაინც შეგვიძლია თავს უფლება მივცეთ და სასიამოვნო (შესრულების პროცესი) სასარგებლოს (დასახული მიზნების, გეგმის შესრულება) შევუთავსოთ.

ქვევით ერთ უჩვეულო და ახლებურ მეთოდს შემოგთავაზებთ, რომელიც რომელიმე ეპოქის ლიტერატურული ტექსტების შესწავლის შემდეგ შეგეძლებათ გამოიყენოთ. ამ დავალების შესრულება მოსწავლეებს კრეატიული, საინტერესო იდეების გენერირების საშუალებას მისცემს. შედეგად მათ დაამახსოვრდებათ ტექსტები, გაუჩნდებათ თავიანთი დამოკიდებულება, განწყობა შესასწავლი მასალის მიმართ.

რამდენიმე ლექსი ერთად

ეს მეთოდი გერმანიაში, კასელის საერთაშორისო სემინარზე პოეტიკისა და კრეატიული წერის კურსის ფარგლებში გაგვაცნო

საინტერესო დაკვირვება – ლექსებიდან ერთ-ერთი ტატოს „სულო ბოროტო“ იყო. ისე მოხდა, რომ უმრავლესობამ სწორედ ამ ლექსის მიხედვით მოისურვა „ილუსტრაციის“ შექმნა. მოსწავლეები სიტყვებით „ხატავდნენ“ შავბნელ, იდუმალ, მისტიკურ „ნახატებს“.

კურსის ხელმძღვანელმა, ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტმა, კასელის თავისუფალი ვალდორფის სკოლის პედაგოგმა პიტერ ლუცკერმა.

კურსის მიზანი გახლდათ ლექსებისადმი თანამედროვე მოზარდების სკეპტიკური ან უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლა. „მათ უჭირთ პოეზიის გაგება, ეზარებათ ტროპების ამოხსნა, ფიქრი, კონცენტრირება. ითხოვენ მარტივ და გასაგებ ენაზე საუბარს, ისე, როგორც თავად ეხერხებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გადაცემისას. მნიშვნელოვანია, რომ მათთვის ლექსი და მისი ავტორი საინტერესო გახდეს. ამ მიზნის მისაღწევი ერთ-ერთი გზა კითხვებია. დასვით კითხვები ისე, რომ მოსწავლეს თავიდანვე შეეცვალოს განწყობა შესასწავლი ობიექტისადმი. ეს არ იქნება კითხვები, რომლებიც მათ ცოდნას, მიხვედრილობას ან გამჭრიახობას შეაფასებს. არც დასწავლილი თეორიული მასალის გამოყენება დასჭირდებათ. რეალურად, ამ კითხვებზე სწორი პასუხები, რომლებსაც ისინი შემდეგ სახელმძღვანელოში გადაამოწმებენ, არც არსებობს, რადგან კითხვები კრეატიული იდეების გენერირებას უწყობს ხელს და სხვას – არაფერს“. შესავალი სიტყვის შემდეგ პიტერმა სამუშაო ფურცელი დაგვირიგა. ფურცელზე 4 ლექსი იყო წარმოდგენილი. ბოლოს კი ჩამოყალიბებული გახლდათ საკლასო სამუშაოს პირობა და კითხვები: წაიკითხეთ ლექსები, რომლებიც დაგირიგდათ. დაფიქრდით და შეარჩიეთ, რომელ ლექსს და რომელ სტრიქონს შეარჩევთ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

1. ამ ლექსებიდან ერთ-ერთის თარგმნა რომ გთხოვონ ენაზე, რომელსაც კარგად ფლობთ, რომელს შეარჩევდით? რომელი სტრიქონის თარგმნა გაგიჭირდებოდათ ყველაზე მეტად? რატომ?
2. ამ ლექსებიდან ერთ-ერთის ილუსტრირება რომ გთხოვონ, რომელს შეარჩევდით? კონკრეტულად რომელ ეპიზოდზე შეაჩერებდით ყურადღებას? რას გამოსახავდით ნახატზე?
3. ამ ლექსებიდან ერთ-ერთის მიხედვით სკეტჩის გაკეთებას შეძლებდით? რომელი ლექსი გამოდგებოდა „სცენაზე გასაცოცხლებლად“?
4. რომელი ლექსის განწყობა შეგიძლიათ გამოხატოთ ფოტოაპარატის მეშვეობით? რა კადრი წარმოგიდგებათ თვალწინ ლექსის კითხვისას? აღწერეთ სიტყვიერად.
5. კომპოზიტორმა რომ გთხოვოთ დახმარება და ერთ-ერთი ლექსის შერჩევა მუსიკის დასაწერად, რომელ ლექსს შეარჩევდით? არის თუ არა თქვენ მიერ შერჩეულ ლექსში ადგილები, რომლებსაც რეფრენად/მისამღერად გამოიყენებდით და გაიმეორებდით?
6. ამ ლექსების ავტორებთან გასაუბრების შესაძლებლობა რომ მოგეცეთ, რომელ ავტორს შეარჩევდით? რომელი ტაეპის ახსნას, განმარტებას ან განვრცობას მოსთხოვდით პოეტს?
7. ჩაწერეთ წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან. თავად დასვით კითხვები და თავადვე უპასუხეთ მათ.

მეთოდი გამოვიყენე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების შესწავლის შემდეგ. პირობის მოდიფიცირება მომიხდა, რადგან ოთხი განსხვავებული პოეტის ლექსების ნაცვლად ერთი პოეტის სამი სხვადასხვა ლექსი შევარჩიე, თუმცა მოსწავლეებს სამუშაო საინტერესო მოეჩვენათ და ხალისითაც შეასრულეს.

საინტერესო დაკვირვება – ლექსებიდან ერთ-ერთი ტატოს „სულო ბოროტო“ იყო. ისე მოხდა, რომ უმრავლესობამ სწორედ ამ ლექსის მიხედვით მოისურვა „ილუსტრაციის“ შექმნა. მოსწავლეები სიტყვებით „ხატავდნენ“ შავბნელ, იდუმალ, მისტიკურ „ნახატებს“. ნამუშევრების კლასში გაცნობისას ვიკითხე: რომელი ფერი სჭარბობს ლექსში? რა ფერის განცდა იბადება კითხვისას/მოსმენისას? პასუხი მოსალოდნელი იყო – შავი. შემდეგ კიდევ ერთხელ მივუბრუნდით ტექსტს და აღმოჩნდა, რომ ლექსში საერთოდ არ არის ნახსენები ფერი. ფერის განცდას ლექსის საერთო სულისკვეთება, განწყობა ბადებდა. ეს დაკვირვება თავად მოზარდებსაც საინტერესო ეჩვენათ.

აღმოჩნდა, რომ პოეზია იმაზე მეტია, ვიდრე ტროპებად „დაშლა“, შინაარსობრივი დეტალები თუ „სამახსოვრო ადგილები“.

აღმოჩნდა, რომ სიტყვის ოსტატებს, პოეტებს, კონკრეტული სიტყვების გამოყენების გარეშეც შეუძლიათ გარკვეული სურათხატების წარმოჩენა. სათქმელის გადმოცემა, მკითხველზე სასურველი ზემოქმედების მოხდენა.

აღმოჩნდა, რომ კარგი ლექსი იმაზე მეტია, ვიდრე საპროგრამო, საგალდებულო შესასწავლი და განწყობა „აუ, ამას რა ისწავლის“ შეიცვალა დამოკიდებულებით „ვა, რა მაგარი ტიპი ყოფილა ეს ტატო...“